საქართველოს კომპოზიტორთა შემოქმედებითი კავშირის ჟურნალი

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4'2012

გევედრები უფალო, განუნათლე გონება მეცნიერთა, მწერალთა
და ხელოვანთა ჩვენთა. დალოცე საქმე მათი, რათა იქმნას
ნაღვაწი მათი საკეთილოდ ქვეყნისა, რათა შრომითა თვისითა
გემსახურონ შენ, ემსახურონ ერსა შენსა ივერიისასა.



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

მზია ჯაფარიძე
გული მაინც პირველია და უმთავრესი 3

მატიანე

სოფიო ჯერვალიძე. ძმები კარგელაშვილები 13

ფოლკლორი

მანანა კორძაია. ტრდიციული სიმპოზიუმი 18

ფესტივალი

ნესტან მესხი. ფესტივალის დღიურები 24

წლების გადასახედიდან

ციცინო ჯერვალიძე. რაც არასდროს გავიწყდება 28

გამოხმაურება

კაცი რომელსაც „მუსიკა“ ძალიან უყვარს 32

პორტრეტი

ალექსი შანიძე. ბედის ირონია 36

თარიღი

გულბათ ტორაძე
რევაზ და ანი ტაკიძეების ბენეფისი 47

მაესტრო

რევაზ თავაძე. გიგი 49

შტრიხები

მაკა ვირსალაძე
„დახატული მუსიკა და აჟღერებული ნახატები“ 51

ქართველი მუსიკოსები უცხოეთში

რუსუდან ხოჯავა. „Joyaux Georgiens“ 53

პრემიერა

ირაკლი ცინცაძის ახალი ნაწარმოები 57

განათლება

რუსუდან ქუთათელაძე. პედაგოგი - შემოქმედი 59

დიალოგი ხელოვანთან

ქეთევან პოლაშვილი
სტილი, აზროვნება, კონცეფცია 63

ახალი გამოცემები

თამარ წულუკიძე. „ჩვენო თბილის ქალაქო“ 68

პერსპექტივა

თინა ღვინერია. ნიჭიერი გავშვები საქართველოდან 72

საკონცერტო ცხოვრება

შუქრი გამელაური. ჰიტები აკადემიურ დარგაზში 75

ხსოვნა

თინა ღვინერია
თავდადებული პედაგოგის სიმბოლო 77

WWW 80

გამოხმაურება

წერილი რედაქციას 82

SUMMARY 83

მუსიკა

MUSIKA

Journal of Creative Union of Composers of Georgia

4•2012

ჟურნალი გამოიცემა
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის
სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ISSN 1987-7773

რედაქტორი: მიხეილ ოქელი
თანარედაქტორები: მზია ჯაფარიძე, თამარ წულუკიძე
დიზაინი: ვახტანგ რურუა, ვანო კიკნაძე, გოგი ჭეფხოძე

მისამართი: დავით აღმაშენებლის 123
ტელ.: (+99532) 954164, (+99532) 967505; ფაქსი: (+99532) 968678

გეჭდვა
შპს „ექსკლუზივ პრინტი“
დაიბეჭდა სტაბა შპს „ფავორიტი პრინტში“

C. Bechstein

...გული მაინც პირველია და უმთავრესი

(ინტერვიუ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან. ინტერვიუს უძღვებოდა მუსიკისმცოდნე მზია ჯაფარიძე)

„ძველი პედაგოგები ამბობდნენ, რომ აღზრდაში უპირველესი ადგილი უკავია მუსიკას. ისინი ამბობდნენ, რომ მუსიკა აკეთილშობილებს ადამიანის სულს და აჰყავს ზეცად. ვფიქრობ, რომ ყოველმა ადამიანმა ყოველდღე უნდა მოისმინოს მუსიკა და ეს ნამდვილად გააკეთილშობილებს მის სულს".

ილია II

არც ერთ რესპონდენტთან შეხვედრისას ასე არასდროს მიღელვია... ვღელავდით ჟურნალ „მუსიკის" მთელი ჯგუფი (მთავარი რედაქტორი მიხეილ ოძელი, დიზაინერი გიორგი ჭეფხოძე, ფოტოგრაფი თამაზ ოძელი და მე – თანარედაქტორი), ვისაც გვერგო პატივი და წილად გვხვდა ბედნიერება, პირადად შევხვედროდით და გავსაუბრებოდით სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია II-ს.

ესაა პიროვნება, რომელიც უკვე ლამის მეოთხე ათწლეულია საქართველოს სულიერი მამაა, რომელმაც საქართველოს ისტორიის ერთ-ერთ ურთულესსა და უმძიმეს პერიოდში იტვირთა ერის სულიერი წინამძღვრობა და ამიტომაც მოუწია დიდი სიმძიმისა და ტკივილის დათმენა. იოლი არაა იყო წინამძღოლი ისეთი სამწყსოსი, რომელიც უნაპირო სიყვარულს უეცრად ცვლის საპირისპირო განწყობით, გაკიცხვითა და განკითხვით — სამწუხაროდ, ამის ერთი და ორი მაგალითი როდი გვახსოვს...

ბიბლიიდან მახსენდება ებრაელი ერის ისტორია: როდესაც მოსე აღთქმულ ქვეყანაში მიუძღოდა თავის ხალხს, ყოველი სერიოზული განსაცდელისას თუ როგორ უბრუნდებოდნენ ისინი ძველ კერპებს და როგორ განიკითხავდნენ მოსეს. მოსე კი, ღვთის დიდი რწმენითა და ხალხის სიყვარულით აღვსილი, მაინც უდრეკად მიუძღოდა ერს აღთქმული ქვეყნისაკენ...

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ხშირად მოყავს ვოინო-იასენიცკის, ცნობილი ქირურგის, სიმფეროპოლის ეპისკოპოსის სიტყვები: „მე შევიყვარე განსაცდელი, რადგან განსაცდელმა დამაახლოვა ღმერთს" და დასძენს: „მთელი ჩვენი წარსულიც განსაცდელის ისტორიაა და თუ გადავრჩით, მხოლოდ იმიტომ, რომ შევიყვარეთ ღმერთი და გვსურს, მას თავდადებით ვემსახუროთ"...

ხშირად რიგით ადამიანებს თავისი პატარ-პატარა „განსაცდელები" სამყაროს დასასრულად მიაჩნიათ და პატარ-პატარა ამბიციებსა თუ ამპარტავნებას სულს

ამძიმებინებენ. ავიწყდებათ, რომ ყოველივე წარმავალია, ფუჭი და ამაოა, და რომ სულ სხვა სიღრმეები, სხვა განზომილებებია მთავარი და მოსაძიებელი.

აუდიენცია საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის ილია II-ის მისაღებ დარბაზში გაიმართა; დარბაზში, სადაც ყველაფერი გამშვენებულია სულიერებით, სილამაზითა და ... მუსიკით.

ნათელი ფერები, თეთრი როიალი, ფისჰარმონია, პატარა სცენა, ფილიგრანული ნივთები, საქართველოს სულიერ მამათა პორტრეტები, ხატები, სალოცავი კუთხე... როგორც ჩვენმა მეგზურმა გვაუწყა, აქ მუდამ ჟღერს მუსიკა; ხან ჩვენი გამოჩენილი მუსიკოსები სტუმრობენ პატრიარქს და მართავენ სალონურ კონცერტებს, თვითონ პატრიარქი კი ყოველ საღამოს უსმენს მუსიკას, მუსიკა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია...

სულიერებით, ლოცვითა და ნათელით რომაა აღვსილი პატრიარქის საგალობლები, ამიტომაც აიტაცა იგი ერმა. ,,გაეცანით პატრიარქის საგალობლებს, სასიამოვნო მოსასმენია", წერენ ერთმანეთს ინტერნეტფორუმების მომხმარებლები და არცაა გასაკვირი; დღევანდელ ხმაურიან, ეგზალტირებულ რეალობაში ხომ აგრერიგ მოკლებულნი ვართ სულიერ სიმშვიდეს, ნათელ, უშფოთველ განწყობას.

ჟურნალი ,,მუსიკა" და მისი პატარა კოლექტივი პარტიარქს წარუდგინა გოჩა არონიშიძემ, ორგანიზაცია ,,ერთსულოვნება საზოგადოების უფლებებისათვის" თავმჯდომარის მოადგილემ. ინტერვიუს ესწრებოდნენ საპატრიარქოს გუნდის ლოტბარი, სვიმონ ჯანგულაშვილი და პატრიარქის მუსიკის არანჟირების ავტორი, კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე.

მზია ჯაფარიძე *— ჩვენთვის დიდი ბედნიერებაა, ღვთის საჩუქარია, რომ თქვენთან შეხვედრისა და გასაუბრების შესაძლებლობა მოგვეცა. დიდი მადლობა, დრო რომ გამონახეთ და შეგვხვდით. თქვენთან საუბარი, რა თქმა უნდა, ყველა თემაზეა საინტერესო და მნიშვნელოვანი, მაგრამ ვინაიდან ჩვენი ჟურნალი მუსიკალურია და ამასთან, თქვენი მოღვაწეობის ამ მხარეზე მეტად ცოტა რამაა დაწერილი, სწორედ მუსიკალურ ხელოვნებაზე გვინდა გვესაუბროთ, მით უფრო, რომ თქვენი საგალობლები მთელმა საქართველომ აიტაცა.*

თუ წინააღმდეგი არ ბრძანდებით, დავიწყებთ თქვენივე გამონათქვამით: ,,მე დავიბადე მუსიკასთან ერთად". იქნებ სწორედ ამაზე გვითხრათ რამე?

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — მე არ ვიცი, ალბათ, მუსიკა დაიბადა ჩემში დაბადებასთან ერთად. მუსიკა ზეციური წარმოშობისაა, ღვთაებრივია, ღვთის ქმნილებაა, მისი სამშობლო არის ზეცა და ამის დამადასტურებელ რამდენიმე მაგალითს გავიხსენებ;

ბიზანტიის იმპერიაში იყო ასეთი შემთხვევა: დიდი მიწისძვრების, გვალვისა და სხვა კატაკლიზმების გამო მოსახლეობა პატრიარქთან ერთად სალოცავად მინდორში გავიდა. მოვარდა ქარიშხალი და ერთი ბავშვი ზეცაში აიტაცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქარბორბალამ იგი ისევ ჩამოიყვანა და უვნებლად დასვა მიწაზე. ბავშვმა თქვა: ,,მე ვნახე ზეცა, მე ვნახე ანგელოზთა დასი, რომლებიც გალობდნენ: ,,წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო!" ამ დროს მოისმა ხმა: ,,ეს საგალობელი იგალობეთ და განსაცდელი განქარდება". მართლაც ხალხმა დაიწყო გალობა და თან დაუმატა ,,შეგვიწყალენ ჩვენ". მოხდა სასწაული, ყველაფერი დაწყნარდა და ქვეყანაც გადარჩა.

ასე რომ, ეს ჰიმნი არის ზეციური წარმოშობის და ძალიან ძლიერია.

ამ საგალობელთან დაკავშირებული მეორე ისტორია კი ასეთია: ერთი წმინდა მამა ლოცულობდა მსოფლიოსათვის, განდეგილი იყო და ხშირად იმეორებდა ,,წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგვიწყალენ ჩვენ".

წლების მანძილზე იგი სულიერად იმდენად ამაღლდა, რომ დაიწყო ლოცვა ყველასათვის და ზოგადად მსოფლიოსათვის; ბოლოს კი გადაწყვიტა, ელოცა ეშმაკისთვისაც (ეშმაკი — ყოფილი ანგელოზია, რომელიც ამპარტავნებისა გამო იყო დასჯილი და იქცა ბოროტ სულად).

მას გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: ,,შენთან მოვა ბოროტი ძალა და იმასთან ერთად თქვი — ,,წმინდაო ღმერთო, წმინდაო ძლიერო, წმინდაო უკვდავო, შეგ-



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მშობლების პორტრეტები :მამა - გიორგი შიოლაშვილი, დედა - ნატალია კოზაიძე 2004 წ.

ვიწყალენ ჩვენ".

ასეც მოხდა. ბერმა დაიწყო: „წმინდაო ღმერთო"; ეშმაკმაც თქვა: „წმინდაო ღმერთო"; ეს იმიტომ, რომ ბოროტმა ძალამ იცის, რომ ღმერთი წმინდაა, წმინდათა წმინდა! ბერმა თქვა: „წმინდაო ძლიერო"; ეშმაკმაც გაიმეორა: „წმინდაო ძლიერო"; „წმინდაო უკვდავო" — თქვა ბერმა; ეშმაკმაც კვლავ გაიმეორა; მაგრამ „შეგვიწყალენ ჩვენ"... ვერ თქვა. ეს სამჯერ განმეორდა; ბოროტმა ძალამ ვერაფრით ვერ აღმოთქვა „შეგვიწყალენ ჩვენ" და ცეცხლის სახით გავარდა გამოქვაბულიდან.

ბერს ისევ გამოეცხადა ანგელოზი და უთხრა: „ხომ ხედავ, რამდენად ამპარტავანია იგი? მან იცის, რომ ღმერთი წმინდაა, ძლიერია, უკვდავია, მაგრამ არ შეუძლია თქვას, „შეგვიწყალენ ჩვენ", რადგანაც არ შეუძლია, დაიმდაბლოს თავი და ღმერთს სთხოვოს პატიება. ამიტომაც მისი შენდობა შეუძლებელია.

გალობის ზეციური წარმომავლობის შესახებ შეგახსენებთ კიდევ ერთ, საყოველთაოდ ცნობილ მოვლენას: როცა დაიბადა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, ანგელოზთა დასი გალობდა: – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება". სწორედ ეს სადიდებელი ბეთლემელმა მწყემსებმა პირველებმა მოისმინეს და საღვთო სიხარულით აღვსილებმა თაყვანი სცეს ახლადშობილ იესოს...

ეს ორივე ზეციური საგალობელი ყოველ წირვა-ლოცვაზე აღევლინება ქრისტიანულ სამყაროში.

ასე რომ, საგალობლის და ზოგადად მუსიკის, დაბადების ადგილი ზეცაა. მუსიკაში განცხადებული ღვთიური ჰარმონია ღრმად აღიბეჭდა ქართველი ადამიანის გულში. ქართულ გალობასთან განსაკუთრებული სიახლოვით გამოირჩევა ჩვენი მრავალხმიანი, უძველესი სიმღერა.

აი, ეს ყველაფერი მე ძალიან მიყვარდა ბავშვობიდან.

მ.ჯ. *— განა იმხანად ასე გავრცელებული იყო ხალხში ქართული გალობა? გალობდნენ კი მაშინ ქართულ*

საგალობლებს ასე თამამად?

კ. პ. ილია II — გალობდნენ. იმ წრეში, სადაც მე ვიზრდებოდი, გალობდნენ და ეს ძალიან მომწონდა. ძალიან მომწონდა კლასიკური მუსიკაც.

მ.ჯ. *— გვიამბეთ, თუ შეიძლება, სტუდენტობის პერიოდში რა შეხება გქონდათ მუსიკასთან და როგორ დაგებადათ სურვილი, შეგეთხზათ თქვენი პირველი, თითქოსდა მარტივი, მაგრამ ამასთან, საოცრად ამაღლებული და გულშიჩამწვდომი საგალობელი, — „წმინდაო ღმერთო", რომელიც მთელმა საქართველომ შეიყვარა?*

კ. პ. ილია II — უპირველეს ყოვლისა უნდა ვთქვა, რომ სემინარიასა და აკადემიაში კარგი მუსიკის მასწავლებელი გვყავდა — აქსიონოვი მიხაილ ნიკოლაევიჩი, რომელსაც მეფის დროს ჰქონდა განათლება მიღებული.

იგი განსაკუთრებით გვამზადებდა ხოლმე რუსეთის პატრიარქ ალექსი I შესახვედრად. პატრიარქი ალექსი არისტოკრატიული წარმოშობის დიდგვაროვანი იყო, ფრიად განსწავლული პიროვნება, გვარად სიმანსკი.

საზეიმო შეხვედრა სამი ნაწილისაგან შედგებოდა: პირველი ნაწილი იყო ოფიციალური მოხსენებები, მეორე — საეკლესიო საგალობლები, მესამე — კლასიკური მუსიკა: საგუნდო ნაწარმოებები, ნაწყვეტები ოპერებიდან... გუნდში 120 წევრი ვიყავით; ყოველივე ძალიან კარგად გამოგვდიოდა.

აკადემიაში ყოფნისას ჩემთან ოთახში ცხოვრობდა სტუდენტი ლიბანიდან, მართლმადიდებელი არაბი. აკადემიის ადმინისტრაციამ პატივი გვცა და დაგვიდგეს ფისჰარმონია. ხანდახან ვუკრავდით, ვარჩევდით ნოტებს. ზოგჯერ ჩავდიოდით მოსკოვში (აკადემია დაშორებულია მოსკოვიდან 70 კილომეტრით), ვესწრებოდით საოპერო დადგმებს დიდ თეატრში და ხანდახან ვრჩებოდით კიდეც იქ, ერთ მოხუცებულ მონაზონთან, რომელიც ეხმარებოდა სტუდენტებს.

ოპერის გამო ზოგჯერ აკადემიაში დაგვიანებითაც მივდიოდით და როცა გვეკითხებოდნენ სად იყავითო, ვპასუხობდით, — ბიბლიოთეკაში.

მახსენდება 1957 წელი (თუ არ ვცდები), ქართული კულტურის დღეები მოსკოვში, რომელიც გაიხსნა „დაისით" დიდ თეატრში. სტუდენტები წავედით. ზურაბ ანჯაფარიძე ასრულებდა მალხაზის პარტიას. მთელი დარბაზი ტიროდა. ვერც მე ვიკავებდი ცრემლს, იმდენად შთამბეჭდავი იყო.

თავიდანვე ასე ძალიან შემიყვარდა კლასიკური მუსიკა.

რაც შეეხება „წმინდაო ღმერთოს", სულ მინდოდა დამეწერა მუსიკა ამ ლოცვაზე. სხვა მელოდიები შედარებით რთული იყო და ხალხი ვერ ასრულებდა.

მ.ჯ. *— ძველი ქართული საგალობლების სირთულეს გულისხმობთ?*

კ. პ. ილია II — დიახ. რაღაც უფრო მარტივი მინდოდა. მინდოდა რომ მრევლს აეთვისა, შეეყვარებინა იგი.

სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ, განწესებული ვიყავი ბათუმში მოძღვრად. საეპისკოპოსო სახლში გამომიყვეს ორი ოთახი; ერთ-ერთში იდგა ფისჰარმონია. თავისუფალ დროს ვცდილობდი მომეძებნა მელოდია „წმიდაო ღმერთოსთვის". რაღაცა თითქოს ვნახე, რაღაც გამომივიდა. რა თქმა უნდა, არავის არ ვეუბნებოდი.

იმ პერიოდში პრაღაში სამშვიდობო კონფერენციაზე წასვლა მომიწია.

მ.ჯ. *— მაპატიეთ, რომელ წელს?*

კ. პ. ილია II — ეს შეიძლება იყო 1962-63 წლები. პატრიარქი ეფრემი წაბრძანდა პრაღაში და მე ვახლდი. კონფერენციის სხდომები ტარდებოდა დიდ შენობაში, რომელიც იყო ან საკონცერტო დარბაზი ან ყოფილი ეკლესია... ვიდრე ხალხი მოვიდოდა, შევედით, რომ ჩვენი ადგილები გვენახა. უკან იდგა ორგანი. უწმინდესს ვთხოვე, თუ შეიძლება ერთი წუთით გავალ-მეთქი. არ ვუთხარი, სად მივდიოდი. როგორ გავბედე, ახლაც მიკვირს — ავედი მაღლა და ორგანზე დავუკარი მელოდია... უწმინდესი უცბად მიხვდა, რომელი საგალობელი იყო ეს, და დაიწყო გალობა „წმიდაო ღმერთო"; მე ვუკრავდი და ის გალობდა. მეც მომეწონა,

სხვებსაც მოეწონათ და ამან მომცა ბიძგი...

ბოლო დროს დაიწერა „ავე მარია". ეს არ იყო ადვილად გადასადგმელი ნაბიჯი. ბახის, გუნოსა და შუბერტის შემდეგ ამისი გაბედვა ძალიან ძნელია.

3–4 წლის წინ საახალწლო კონცერტის გადმოცემა იყო ბათუმიდან და ერთ-ერთი სოლისტი ასრულებდა შუბერტის „ავე მარიას". მომეწონა და დამებადა აზრი, რომ მეცადა ამ ლოცვისთვის ჩემი მელოდიის შექმნა. ამაზე მუშაობა დავიწყე თბილისში და დავამთავრე გერმანიაში. ვფიქრობ, ბახი, მოცარტი, ბეთჰოვენი და სხვა გერმანელი კომპოზიტორებიც მეხმარებოდნენ...

მ. ჯ. *— ახლახანს, ფესტივალზე „აღდგომიდან ამაღლებამდე" „ავე მარიასთან" ერთად შესრულდა თქვენი ახალი ნაწარმოებები, ლიტურგიის ნაწილები — "Sanctus", "Agnus Dei" და "Te Deum"*

კ..პ. ილია II — მოცარტის „რეკვიემი" ჯერ კიდევ სტუდენტობიდან მიყვარდა. სტუდენტობიდანვე მიყვარდა ლათინური ენა.

ლათინურს მკაცრი პროფესორი გვასწავლიდა, რომელიც ქართველებისადმი სიმპათიით იყო განწყობილი და მეც ძალიან თბილად მექცეოდა. ერთხელ შემოვიდა ლექციაზე და გვეკითხება: ვინ, სად, როდის თქვა „Ex oriente lux"? და მე მიყურებს: შიოლაშვილმა, რა თქმა უნდა, იცისო. მე კი არ ვიცოდი (იცინის)... თუმცა არ მომთხოვა, რომ მეპასუხა. თურმე ეს უთქვამს სტალინს — „აღმოსავლეთიდან შუქი"-ო, ის, ალბათ, გულისხმობდა, რომ რევოლუცია მოხდა და აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ გავრცელდა.

„რეკვიემისა" და ლათინური ენის სიყვარულის გამო, მსურდა შემექმნა საგალობლები პირველი ქრისტიანების ლათინურენოვანი ლიტურგიკიდან და ჩამექსოვა ქართული სული.. ზოგი რამ გამომივიდა, ზოგი არა. ასე დაიწერა „Sanctus" და „Agnus Dei".

ამჟამად ვმუშაობთ წმინდა ამბროსი მედიოლანელის ლოცვაზე. საგალობელი იწერება დიდი ორკესტრის, სოლისტებისა და გუნდისთვის. ეს არის საკმაოდ დიდი ტექსტი და დავყავით სამ ნაწილად.
წმიდა ამბროსი V საუკუნეში მოღვაწეობდა და საკმაოდ მაღალი თანამდებობაც ეკავა, — იმპერატორის მინისტრი იყო. ქალაქ მედიოლანში (დღევანდელი მილანი) ირჩევდნენ ეპისკოპოსს. ამბროსი კრებას ესწრებოდა, როგორც მეფის წარგზავნილი. ხალხის აზრი გაყოფილი იყო და ვერ თანხმდებოდნენ ვინ აერჩიათ. ამ დროს ძუძუმწოვარა ბავშვმა დაიძახა: „ამბროსია ეპისკოპოსი"-ო. იგი ძალიან შეწუხდა და უარს ამბობდა, მაგრამ აიძულეს და ერთ კვირაში მოხდა მისი კურთხევა დიაკ-

წმინდა მეფე ვახტანგ გორგასალი 1990- იანი წწ.

გვიან გოლქვაძე, გოჩა არონიმიძე, მიხეილ ოქელი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს- პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია II, მგზია ჯაფარიძე, გიორგი ჭეფხოქე.

ვნად, მღვდლად და ეპისკოპოსად.

წმიდა ამბროსის ნაწარმოები "Te Deum laudamus", — „შენ ღმერთსა გაქებთ", ეს ტექსტი ლათინურად დაიწერა და შემდეგ სხვადასხვა ენებზე (მათ შორის ქართულადაც) ითარგმნა. ჩვენ მუსიკას ორიგინალის ენაზე ვწერთ.

აი, ასე ვითარდება ეს ყველაფერი. თუმცა არ ვიცი, წინ მივდივარ თუ უკან.

მ. ჯ. *— რა იყო პირველადი იმპულსი? როგორ მოვიდა შთაგონება? როგორც ძველი ეგვიპტელები იტყოდნენ, მუსიკოსი მუსიკით ღმერთს ესაუბრებაო. თქვენ რასაც აკეთებთ, ალბათ ზეციდან მოდის, თქვენ ამის საშუალებით უფალს ესაუბრებით და ჩვენამდე მოგაქვთ მისი ხმა...*

კ. პ. ილია II — მელოდია იბადება გონებაში, გულში... ერთხელ მკითხეს: თქვენშია ეს მუსიკა, თუ სადღაც მოგისმენიათო? მე ვუპასუხე, რომ, ალბათ, ორივეა — ჩემშიცაა და შესაძლოა სადღაც მომისმენია კიდეც, მაგრამ უფრო ჩემშია. რა თქმა უნდა, იმაზეც ბევრია დამოკიდებული, რა განწყობაა და რა ხასიათზეა ადამიანი, რა აწუხებს ან რა ახარებს. მე უფრო დარდი მაწერინებს.

მ. ჯ. — ვიცი, რომ ხატწერითაც ბრძანდებით გატაცებული, აქაც დარდი გახატვინებთ? კავშირშია თქვენი შემოქმედების ეს ორი მხარე — ხატწერა და მუსიკა?

კ. პ. ილია II — ჩემთვის ეს ერთია. მხატვრობა ეს არის მუსიკა ფერებში. მე ვისვენებ, როცა მუსიკას ვწერ და ვისვენებ, როცა ვხატავ. ეს იმიტომ, რომ მე არა ვარ პროფესიონალი და ხელოვნების ეს დარგები ჩემთვის განტვირთვის საშუალება უფროა.

მ. ჯ. — მაინც რა ურთიერთკავშირშია ფერთა გამისა და მუსიკალური გამის აღქმა თქვენში?

კ. პ. ილია II — ეს არის სილამაზის აღქმა. ვფიქრობ, ჩვენმა რთულმა და დაძაბულმა დრომ სილამაზის განცდა დაგვიჩლუნგა. დავუშვათ, რაღაც დგას მშვენიერი; შეიძლება ადამიანმა ისე გაუაროს, არც კი შეხედოს. ხოლო ვისაც სილამაზის განცდა აქვს, ასე არ მოიქცევა, — გარს შემოუვლის, დააკვირდება და ესთეტიკურ სიამოვნებას მიიღებს.

აი, თუნდაც ეს ნიკოლოზ II-ის ლარნაკი და პატრიარქმა მიგვანიშნა მაგიდაზე მდგარი ლარნაკისაკენ (ალბათ ამით ისიც გვითხრა, რომ ეს მშვენიერება ჩვენს თვალს მიღმა დაგვრჩა. ალბათ, ასეც იყო, რადგან იმდენად ვღელავდით, რომ არა მხოლოდ ნიკოლოზ II-ის ლარნაკი, ბევრი სხვა რამ დაგვრჩა ყურადღების მიღმა, სამწუხაროდ!.. — მ.ჯ.).

მე რამდენიმე ადამიანს დავავალე განემარტათ — რას ნიშნავს მათთვის სილამაზე და ვინ როგორ აღიქვამს მას; საინტერესო აზრები მოგვაწოდეს და გვინდა ისინი წიგნად დავბეჭდოთ.

სილამაზის, მშვენიერების განცდა აუცილებელია. იაპონელებზე ამბობენ, ამ უნარით ისინი განსაკუთრებულად არიან დაჯილდოებულნიო. ხშირად ვიხსენებ ერთ იაპონურ ლექსს:

„მოვიდა გაზაფხული და აყვავდა ალუბალი,
მაგრამ მოვიდა თოვლი და ვეღარ ვარჩევ,
სად არის თოვლი და სად ალუბლის ყვავილი“.

აქ მართლა ყვავილზე კი არაა საუბარი, ადამიანებზეა. ერთი ბავშვი მირბოდა და კაცი უყურებდა. პატარამ

წმინდა მთავარანგელოზი გაბრიელი. 2006 წ.

ყვავილი დაინახა და მისკენ წავიდა. კაცმა იფიქრა, ახლა მოწყვეტს და თან წაიღებსო. ბავშვი კი მივიდა ყვავილთან, აკოცა და გაიქცა...

ასეთი აღქმა უნდა გავუღვივოთ ჩვენს შვილებს; მეტად სასურველია, თუ სკოლაში სილამაზის გაკვეთილები იქნება.

მ.ჯ. *— ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე” გახსნაზე თქვენ ბრძანეთ: „განსაკუთრებით უნდა გა-*

„ღვთივდაცული საქართველო“ 1986 წ.

ვამახვილო ყურადღება ქართულ მუსიკასა და საგალობლებზე. ქართული კლასიკური და ხალხური მუსიკა ბევრადაა დამოკიდებული ქართულ საგალობლებზე, რადგან ურთიერთკავშირშია მასთან. მათ ერთი ფესვი აქვთ”–ო. დღეს ამ მხრივ როგორი მდგომარეობაა: ადრე საქართველოში იყო სამგალობლო სკოლები, გალობა საყოველთაო იყო, შესანიშნავად იცოდა როგორც თავადაზნაურობამ, ისე გლეხკაცობამ, სამეფო კარმა. ახლა, სამწუხაროდ, ახალგაზრდობამ ნაკლებად იცის ქართული საგალობელი, სხვა ფასეულობებით უფრო არიან გატაცებულნი. როგორ ფიქრობთ, როგორ უნდა მოხდეს ქართული გალობის გათავისება, როგორ უნდა გახდეს საყოველთაო, როგორ უნდა მიეწოდოს ბავშვებს?

კ. პ. ილია II — მადლობა ღმერთს დღეს ქართული გალობა ვითარდება, გუნდებია შექმნილი, მათ შორის ბავშვებისაც. აი, ეს ორი ახალგაზრდა (ივულისხმებიან სვიმონ ჯანგულაშვილი და პატრიარქის მუსიკის არანჟირების ავტორი, კომპოზიტორი ზვიად ბოლქვაძე — მ.ჯ.) და მათი მეგობრები ძალიან აქტიურად მუშაობენ.

ქალბატონი ლია სალაყაია, იცით ალბათ, სოფელ-სოფელ დადის და ასწავლის გალობას და სხვებიც ბევრია ასეთი ეკლესიაში; გამორჩეულია ანჩისხატის გუნდი, საპატრიარქოსთან შეიქმნა საერთაშორისო ფონდი „ქართული გალობა“, ფუნქციონირებს ქართული გალობის უმაღლესი სასწავლებელი...

დიდია საერო მოღვაწეთა, უპირველეს ყოვლისა, ბატონ ანზორ ერქომაიშვილისა და მის თანამდგომთა, — თემურ ქევხიშვილის, რობერტ გოგოლაშვილის, გომარ სიხარულიძის... დამსახურება. დაუვიწყარია ღვაწლი გენიალური ჰამლეტ გონაშვილისა, ჯანსუღ კახი-

ყოვლადწმინდა სამება. 2003 წ.

ძის, ედიშერ და გიორგი გარაყანიძეების.

თბილისის კონსერვატორიაში, ასევე საჩხერეში, ხობში, ბათუმში... ტარდება ქართული გალობა-სიმღერისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმები და ფესტივალები. ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მოღვაწეობენ შესანიშნავი გუნდები და ანსამბლები. ასე რომ, ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა, ეს საკმარისი არ არის.

ვფიქრობ, აუცილებელია, სკოლამ მეტი ყურადღება მიაქციოს მუსიკალურ განათლებას. უცხოეთში არაერთ ეკლესიაში შევსულვარ და მინახავს, როგორ გალობს ყველა ნოტებით ხელში. ჩვენმა ახალგაზრდებმა კი ნოტების კითხვა არ იციან.

სკოლებში უნდა დაინერგოს მუსიკის და გალობა-სიმღერის სწავლება. ბავშვებს უნდა შევაყვაროთ ეს



კათოლიკოს - პატრიარქი ილია II

ხელოვნება. თუ არ შეიყვარეს, ისე არაფერი გამოვა, რადგან გულის კულტურა განმსაზღვრელია.
ხშირად მითქვამს დიდი ფიზიოლოგის, პავლოვის სიტყვები: „ადამიანს აქვს ორი გონება: მცირე და დიდი. მცირე გონება — არის ჩვენი აზროვნება, ხოლო დიდი გონება — ეს არის გული. არ შეიძლება ადამიანი ცხოვრობდეს მხოლოდ ერთით. აუცილებლად ორივე უნდა აკონტროლებდეს ერთმანეთს: გონება — გულს და გული — გონებას. თუმცა გული მაინც პირველია და უმთავრესი".

პატრიარქთან საუბარი, ისევე, როგორც მისი მუსიკა, სწორედ ამ სიტყვების დასტურია!
ჩვენი შეხვედრის ბოლოს პატრიარქმა დაგვლოცა და მისი მადლი დღემდე თან გვდევს...
ეს იყო ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი და დაუვიწყარი დღე თითოეული ჩვენთაგანის ცხოვრებაში!

2012 წლის 4 იანვარს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს დაბადებიდან 80 წელი უსრულდება.

ჟურნალ „მუსიკის" რედაქცია და მთელი ქართული მუსიკალური საზოგადოება დიდი სიყვარულითა და მოწიწებით ულოცავს მას ამ საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას ჩვენი ქვეყნის საიმედოდ და საკეთილდღეოდ.

P.S. სტატიაში გამოყენებულია უწმინდესის და უნეტარესის ილია II-ის ფერწერული ნამუშევრები და ხატწერა.

2011 წლის 20 დეკემბერს, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის წმინდა სინოდის სხდომაზე განხილულ იქნა ძმები კარბელაშვილების ღვაწლი ერისა და ეკლესიის წინაშე და წმინდანად შეირაცხნენ: ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) (1858-1936); დეკანოზები – პოლიევქტოსი (1855-1936) და ანდრია (1851-1924); მღვდლები – ფილიმონი (1836-1879) და პეტრე (1860-1924). დეკანოზ ანდრიას და მღვდელ პეტრეს ეწოდათ წმინდა მღვდელმოწამენი; ეპისკოპოს სტეფანეს, დეკანოზ პოლიევქტოსს და მღვდელ ფილიმონს ეწოდათ წმინდა აღმსარებელნი. მათი ხსენება დაწესდა 6 სექტემბერს. ეს თარიღი დეკანოზ ანდრიასა და მღვდელ პეტრე კარბელაშვილების მოწამეობრივად აღსრულების დღეა. 2012 წლის 5-6 სექტემბერს, წმინდა ძმები კარბელაშვილების ხსენებასთან დაკავშირებით, გაიმართა სპეციალურად ამ დღისადმი მიძღვნილი წიგნი-ალბომის — „ძმები კარბელაშვილები"-ს პრეზენტაცია (გამოცემის ავტორი და ხელმძღვანელი – ლუარსაბ ტოგონიძე, ტექსტის ავტორი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სოფიო ანდღულაძე). წიგნში, უნიკალური ისტორიული ფოტო-მასალის ფონზე, გადმოცემულია ძმების ცხოვრება-მოღვაწეობის უმთავრესი ასპექტები.

ძმები კარბელაშვილები

დეკანოზი პოლიევქტოსი, დეკანოზი ვასილი, (ეპისკოპოსი სტეფანე),მღვდელი პეტრე და დეკანოზი ანდრია კარბელაშვილები

ძმებ კარბელაშვილებს საქართველოს ისტორიის უაღრესად ავბედით პერიოდში მოუხდათ მოღვაწეობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათ არ დაუკარგავთ მხნეობა, პირიქით, მტკიცედ იდგნენ სარწმუნოებისა და ეროვნული თვითმყოფადობის დაცვის სადარაჯოზე. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, რუსეთის იმპერიის ანტიეროვნული პოლიტიკის გატარების პირობებში, განსაკუთრებით აქტუალური გახდა უძველესი ქართული საეკლესიო საგალობლების მელოდიათა აღდგენა-შენარჩუნება, რომელიც შუა საუკუნეებში მნემონური ნიშნების მეშვეობით იწერებოდა. პეტრე კარბელა (ხმალაძე) (1754-1848), ძმები კარბელაშვილების პაპა, რომელიც მგალობელ კარბელაშვილთა საგვარეულოს სათავეში დგას, გალობის ხელოვნებას მცხეთის საკათალიკოსო სემინარიაში, 1766-1768 წლებში დაეუფლა. გრიგოლ კარბელაშვილმაც (1812-

1880), მამის მეცადინეობით, შიო-მღვიმის მონასტერში შეისწავლა გალობა-კითხვა (1820-1824) და ეს უდიდესი საგანძური შემდეგში მის ვაჟებს გადასცა. 1849 წლიდან მამა გრიგოლი (1844წ. იკურთხა მღვდლად) გორის მაზრის სოფელ ქვემო ჭალაში მსახურობდა, სადაც ოჯახთან ერთად ცხოვრობდა. გრიგოლ პეტრეს ძე კარბელაშვილმა და მისმა მეუღლემ, ანა სტეფანეს ასულმა, ხუთი ვაჟი და ერთი ქალიშვილი აღზარდეს: ფილიმონი, სიდონია, ანდრია, პოლიევქტოსი, ვასილი და პეტრე. მშობლებმა ბავშვობიდანვე შთაუნერგეს შვილებს სჯულისა და მამულის სიყვარული და ენა სიმღერა-გალობაში ამოადგმევინეს.

წმინდა აღმსარებელი მღვდელი ფილიმონ კარბელაშვილი, გრიგოლ კარბელაშვილის უფროსი ვაჟი, 1836 წელს დაიბადა. იგი ცნობილი ყოფილა მთელს ქართლ-კახეთში, როგორც კარგი მგალობელი და მქადაგებელი, რის გამოც მას „ნიმუშს“ ეძახდნენ. მამა ფილიმონის უშუალო ხელმძღვანელობით იზრდებოდნენ უმცროსი და-ძმები. მას სკოლაც ჰქონდა გახსნილი სახლში და გლეხის ბავშვებს წერა-კითხვას, ანგარიშს, ლოცვებს და სამშობლოს ისტორიას ასწავლიდა. ფილიმონს კარგად იცნობდა ილია ჭავჭავაძე, როგორც ნიჭიერ, ჭეშმარიტად ქართული აზროვნების, საქართველოს წარსულისა და მისი ეკლესიის თავისუფლების მოტრფიალე პიროვნებას. მისი ძმა, ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) კარბელაშვილი თავის მოგონებებში აღნიშნავს, რომ ილიას, თავის უკვდავ ნაწარმოებში „გლახის ნაამბოში“, მოძღვრის სახეში ფილიმონი ჰყავს გამოყვანილი. იგი ქადაგების განსაკუთრებული ნიჭით იყო დაჯილდოებული, რომელსაც საუკეთესოდ შეეძლო ღვთის სიტყვის მორწმუნეთა გულებამდე მიტანა. ფილიმონ კარბელაშვილის ქადაგებების კრებული, მისივე ავტოგრაფით, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული. აღნიშნული ქადაგებები ღვთისადმი მტკიცე რწმენით, სიყვარულითა და სამშობლოსადმი უდიდესი სიყვარულის გრძნობითაა განმსჭვალული.

სამშობლოსა და დედაეკლესიის წინაშე გაწეული ღვაწლით, მგალობელ კარბელაშვითა ოჯახიდან განსაკუთრებულად გამოირჩევიან წმინდა აღმსარებელნი: ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) და დეკანოზი პოლიევქტოსი. სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ძმების საქმიანობა იმთავითვე გასცდა სასულიერო სარბიელს და მათ იმ დროის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწეთა (როგორც საერო, ისე სასულიერო) გვერდით დაიმკვიდრეს საპატიო ადგილი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არ წამოჭრილა არცერთი აქტუალური საკითხი, რაშიც მათ მონაწილეობა არ მიუღიათ. ძმები კარბელაშვილები ცხოვრების ბოლომდე შეუდრეკლად იბრძოდნენ ქართველი ერისათვის ისეთი სასიცოცხლო პრობლემების გადასაწყვეტად, როგორიცაა: ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, საქართველოს ეროვნული ეკლესიის ავტოკეფალიისათვის ბრძოლა, ქართული ენის, უძველესი ქართული ხელნაწერებისა და საგანძურის, ქართული არქიტექტურული ძეგლების, ეროვნული საერო და საეკლესიო მუსიკის დაცვა-გადარჩენისათვის ბრძოლა და სხვა. სამღვდელო მოვალეობის შესრულების გარდა, ვასილი და პოლიევქტოსი სხვადასხვა დროს მუშაობდნენ საღმრთო სჯულისა და ქართული ენის მასწავლებლად სასულიერო და სამრევლო სკოლებში, ასევე უძღვებოდნენ ქართული გალობის შესწავლის საქმეს.

ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) და დეკანოზი პოლიევქტოსი აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ალექსანდრე ოქროპირიძის ინიციატივით დაარსებულ ქართული გალობის აღმდგენელი კომიტეტის მუშაობაში. ქართული გალობის ნოტებზე გადატანა ურთულეს პირობებში მიმდინარეობდა. გარდა იმისა, რომ ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა მკაცრად ზღუდავდა იმპერიაში შემავალ ცალკეულ ერთა კულტურის დარგების აღორძინების მიმართულებით გაწეულ ყოველგვარ საქმიანობას, არსებობდა პროფესიონალური დეფიციტიც აღნიშნული საქმის სრულყოფილი წარმართვისათვის. ეპისკოპოსმა სტეფანე (ვასილ) კარბელაშვილმა, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, 1896 წლისათვის, საგალობლების პირველი ნაწილი „მწუხრი” გამოსცა, მეორე ნაწილი — „ცისკარი” კი 1898 წლისათვის დაბეჭდა. 1898 წელს დეკანოზმა პოლიევქტოს კარბელაშვილმა გამოსცა მისი საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომი — „ ქართული საერო და სა-

სულიერო კილოები, ისტორიული მიმოხილვა".

ეპისკოპოსი სტეფანე (ვასილი) და დეკანოზი პოლიევქტოსი ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ 1889 წლის 24 იანვარს, თბილისში, სიონის ტაძართან დაარსებულ ქართულ საეკლესიო ისტორიულ მუზეუმთან. იყვნენ მუზეუმთან სპეციალურად შექმნილი მეცნიერთა კომიტეტის წევრები და აწარმოებდნენ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ გადაცემული ძველი ხელნაწერების მეცნიერულ კვლევას.

ვასილ კარბელაშვილი 1877-1881 წლებში აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოში ახლადჩამოყალიბებულ თეატრალურ დასთან, მის თვალსაჩინო მოღვაწეებთან: ვანო ცაგარელთან, ვასო აბაშიძესთან, ტასო საფაროვასთან, კოტე მესხთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან. მონაწილეობას ღებულობდა საქველმოქმედო კონცერტებში. 1881 წელს, ქართულ სცენაზე პირველად დაიდგა დავით ერისთავის პიესა „სამშობლო", სადაც მომღერალთა გუნდს ვასილ კარბელაშვილი ხელმძღვანელობდა.

ვასილ კარბელაშვილს ეკუთვნის ძველი ქართული სასულიერო მწერლობის ისეთი საუკეთესო ნიმუშების დაბეჭდვა და დღის სინათლეზე გამოტანა, როგორებიცაა: „გვირგვინი – ღვთივ შუენიერნი თხრობანი სულისა და ფრიად მარგებელნი" და „სამოთხის ყვავილი – 300 კიდობანი". ასევე მისი რედაქტორობით დაიბეჭდა ძველი ქართული მწერლობის შესანიშნავი ძეგლი „საკითხავი სუეტისა ცხოველისა კუართისა საუფლოისა და კათოლიკე ეკლესიისა", შედგენილი ნიკოლოზ I (1149-1160) ქართლის კათოლიკოს-პატრიარქის მიერ. ამგვარი ლიტერატურის გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერის მორალურ-ზნეობრივი სიწმინდის და სარწმუნოების განმტკიცების საქმეში.

ზემოხსენებული ნაშრომის გარდა, პოლიევქტოს კარბელაშვილს ასევე ეკუთვნის: „იერარქია საქართველოს ეკლესიისა" და „ძველი ანჩისხატის ტაძარი თბილისში". მოამზადა და გამოსცა „ვეფხისტყაოსნის" დამატებანი, ანტონ I-ის „მზა მეტყველება", „აბო თბილელის წამება" და „წმინდა ნინოს ცხოვრების მეტაფრასული რედაქციები". გარდა ამ ნაშრომებისა იგი მრავალ წერილსა და პუბლიკაციას აქვეყნებდა საქართველოში იმჟამად გამომავალ სხვადასხვა ჟურნალებსა თუ გაზეთებში.

ეპისკოპოს სტეფანე (ვასილი) და დეკანოზ პოლიევქტოს კარბელაშვილების ბრძოლა ავტოკეფალიის აღდ-



ვასილ კარბელაშვილი (ეპისკოპოსი სტეფანე)

გენისათვის ცარიზმის პერიოდში მკვეთრი რადიკალიზმით ხასიათდებოდა. იმპერიაში გამეფებული მკაცრი რეაქციის მიუხედავად, ისინი აწარმოებდნენ როგორც ლეგალურ, ისე იატაკქვეშა ბრძოლას არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. ვასილი და პოლიევქტოსი, კირიონ საძაგლიშვილის თანამოაზრენი და თანამებრძოლნი იყვნენ. ძმები ქ. ბუქარესტში გამომავალ ჟურნალ „Православный Востокъ"-ში თანამშრომლობდნენ და ხელს უწყობდნენ მის არალეგალურ გავრცელებას საქართველოში.

1917 წლის 12 მარტის ისტორიული მოვლენების შემდეგ, როდესაც ქართველმა სამღვდელოებამ სრული დაუმორჩილებლობა გამოუცხადა რუსეთის დროებით მთავრობას და უწმინდეს სინოდს, მცხეთის სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა გამოაცხადა. ვასილ



„კარბელაანთ

კილოთი“

„ᲐᲠᲘᲥᲘ“

ნოტებზედ გადაღებული ᲦᲐ საკუთრებით დაბეჭდილი

მღ.ვას.გრიგ.ძის კარბელოვის მიერ

პირველი ნაწილი

Карталино-Кахетинское Церковно-Грузин.
ПѢНІЕ
„КАРБЕЛОВСКАГО НАПѢВА“

Ічасть.

„ВЕЧЕРНЯ“

წელსა 18 თბილისი 87 Года

თბილისი, ლიტ. გ.ი. დემუროვისა.

და პოლიევქტოს კარბელაშვილები, როგორც აქტიური ავტოკეფალისტები, არჩეულ იქნენ საქართველოს ეკლესიის დროებითი მმართველობის შემადგენლობაში. აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1917 წლის 8-17 სექტემბრის I საეკლესიო ისტორიული კრების, აგრეთვე II, III, IV და V საეკლესიო კრებების მუშაობაშიც.

საქართველოს დემოკრატიული მთავრობის მმართველობის პერიოდში (1918-1921) ვასილი და პოლიევქტოსი აქტიურად აგრძელებდნენ ბრძოლას საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის დაკანონებისათვის. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ (1921წ. 25 თებერვალი), საქართველოს პოლიტიკურ-კულტურული ცხოვრება ძირ-ფესვიანად შეიცვალა. ეპოქალური მოთხოვნილებების შესაბამისად, საქართველოს ეკლესიის მესვეური სამღვდელოების წინაშე ახალი პრობლემატური საკითხების გადაწყვეტა წამოიჭრა. 1925 წლის 24 ოქტომბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ამბროსის (ხელაია) ლოცვა-კურთხევით დეკანოზი ვასილი სტეფანეს სახელით ბერად აღიკვეცა და ბოდბელ ეპისკოპოსად დაასხეს ხელი. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ეს პერიოდი კიდევ უფრო დიდი სირთულეებითა და წინააღმდეგობებით გამოირჩეოდა. ეპისკოპოსმა სტეფანემ სწორად აუღო ალღო ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში შექმნილ მძიმე პოლიტიკურ ვითარებას და როგორც საქართველოს ეკლესიის ერთერთმა მაღალმა იერარქმა, სახელმწიფოსთან ურთიერთობა იმგვარ კალაპოტში წარმართა, რომ ქრისტიანული მსოფლმხედველობის დაცვა-შენარჩუნების პირობებში, ხელი შეუწყო ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობების დარეგულირების პროცესს.

გრიგოლ კარბელაშვილის ოჯახში, მდიდარ ეროვნულ ტრადიციებზე აღიზარდნენ ასევე მღვდელმოწამე ძმები: ანდრია და პეტრე კარბელაშვილები. დეკანოზი ანდრია, გრიგოლ კარბელაშვილის რიგით მეორე ვაჟი იყო (დაიბადა 1851 წელს), მღვდელი პეტრე კი ყველაზე პატარა (დაიბადა 1860 წელს). დანარჩენი ძმების მსგავსად, ანდრია და პეტრე გამორჩეულ უნარს ამჟღავნებდნენ როგორც უძველესი ქართლ-კახური საეკლესიო გალობის შესრულებაში, ასევე ღვთისმსახურების საპატიო საქმეშიც. მაგრამ, ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე მათი განსაკუთრებული ღვაწლი — მოწამეობრივი აღსასრულია. როგორც ცნობილია, საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარებისთანავე სასულიერო პირები შეავიწროვეს და მათ ღვთისმსახურების დატოვება მოსთხოვეს. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც სადამსჯელო ოპერაციები მთელი სისასტიკით მიმდინარეობდა საქართველოში, გორის მაზრაში, მამა ანდრიასთან მოვიდა შემაშფოთებელი ცნობა: სოფელ მუხრანში, სხვა ეჭვმიტანილებთან ერთად, დაუპატიმრებიათ მისი უმცროსი ძმა, მღვდელი პეტრე კარბელაშვილი. ასაკოვანი მოძღვარი მაშინვე გაეშურა ძმის საძებნელად. ადგილზე მისულმა შემზარავი ვითარება იხილა. გაბოროტებულ ჩეკისტებს დაპატიმრებული ჰყავდათ ყველა ის პიროვნება, ვისზედაც მცირეოდენი ეჭვი შეიტანეს. ბევრი ისეთი პიროვნებაც, ვისაც არ ჰქონდა რაიმე კავშირი ამ აჯანყებაში მონაწილეობასთან. მამა პეტრესთან ერთად იყო რამოდენიმე სასულიერო პირი, მათ შორის ოჯახის ახლობელი, ქვემო ჭალის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის წინამძღვარი და სამთავისის ოლქის მთავარხუცესი, მღვდელი გაბრიელ პარკაძე. ჩეკისტები აცხადებდნენ, რომ დაპატიმრებულები მიჰყავდათ გორში, სადაც გაირკვეოდა მათი ბრალეულობა. სამწუხაროდ, მათ თავიდანვე განზრახული ჰქონდათ დაპატიმრებულთა სიკვდილით დასჯა ყოველგვარი გასამართლების გარეშე. ტირიფონას ველზე, მდინარე ტორტლასთან მისვლისთანავე ჯალათებმა მოაწყვეს პატიმართა გაქცევის ინსცენირება და გახსნეს ცეცხლი. ოცდაოთხი ქართველი პატრიოტის უსულო სხეული ღია ცის ქვეშ მიაგდეს და იქაურობა სასწრაფოდ დატოვეს. დილით, ადგილზე მისულმა ახლო სოფლების მაცხოვრებლებმა შემზარავი სურათი იხილეს, გათხარეს საერთო საფლავი და მოწამეობრივად აღსრულებულნი მიაბარეს მიწას.

ძმები კარბელაშვილების თავგანწირვას ეკლესიისა და სამშობლოს წინაშე ამაოდ არ ჩაუვლია: დეკანოზი ანდრია და მღვდელი პეტრე მოწამეების გვირგვინებით, ხოლო ეპისკოპოსი სტეფანე, დეკანოზი პოლიევქტოსი და მღვდელი ფილიმონი წმინდა აღმსარებლების გვირგვინებით შემკულნი დაემკვიდრნენ ცათა სასუფეველში.

სოფიო ანდღულაძე

ანსამბლი „პანკისი“ პანკისის ხეობიდან

ტრადიციული სიმპოზიუმი

ამა წლის 24-28 სექტემბერს, თბილისში, უკვე მეექვსედ ჩატარდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისა და ქართული ხალხური სიმღერის საერთაშორისო ცენტრის მიერ დამკვიდრებული ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმი. უნდა ითქვას, რომ კონსერვატორიის ძალისხმევით ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო ასპარეზზე გატანასა და მისი სამეცნიერო პოტენციალის ამაღლებას გაცილებით ადრე, 1984 წელს ჩაეყარა საფუძველი ანზორ ერქომაიშვილის, ევსევი ჭოხონელიძისა და რუსუდან წურწუმიას ინიციატივით. მაშინვე გადაწყდა, რომ საერთაშორისო კონფერენცია სისტემატურად გამართულიყო ორ წელიწადში ერთხელ. იმ პერიოდისათვის უკვე აშკარად შეიმჩნეოდა ქართული ხალხური მუსიკისადმი გაზრდილი ინტერესი საერთაშორისო მასშტაბით. დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში გამოჩნდნენ ამ სიმღერების შესწავლის ინდივიდუალური მსურველები თუ საგუნდო კოლექტივები. მათ გზისმკვლევი სჭირდებოდათ. ეს ძნელი, მაგრამ საშური საქმე ანზორ ერქომაიშვილმა და ედიშერ გარაყანიძემ იტვირთეს, რომლებიც სისტემატურად უწევდნენ კონსულტაციებს უცხოელ მუსიკოს-ენთუზიასტებს. უცხოური კოლექტი-

ვების პირველი წარმატებული გამოსვლები სწორედ კონფერენციების თანმხლებ საკონცერტო საღამოებზე მოვისმინეთ. შთაბეჭდილება, შეიძლება ითქვას, გრანდიოზული აღმოჩნდა. უცხოელი მომღერლები ისეთი შემართებით წარმოაჩენდნენ მათთვის სრულიად უცხო ეთნომუსიკალურ კილო-ინტონაციურ წიაღსვლებს, პოლიფონიურ სტრუქტურებს, გურულ კრიმანჭულსა თუ ქართლ-კახურ პოლიფონიას, რომ საზოგადოება აღფრთოვანებას ვერ მალავდა.

UNESCO-ს მიერ ქართული პოლიფონიის კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შედევრად აღიარებამ კიდევ უფრო ფართო მასშტაბი შესძინა ამ წამოწყებას. 2002 წელს კონსერვატორიის იმჟამინდელი რექტორის მანანა დოიჯაშვილის ინიციატივით კონფერენციას საერთაშორისო სიმპოზიუმის სტატუსი მიენიჭა. ამ სტატუსით პირველი ფორუმის ორგანიზება იტვირთა კონსერვატორიაში იმ დროს ახლად შექმნილმა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრმა პროფესორ რუსუდან წურწუმიას ხელმძღვანელობით.

ცენტრი სიმპოზიუმის მონაწილეებსა და სტუმრებს პროგრამასა და ინფორმაციულ ბუკლეტთან ერთად, როგორც წესი, სთავაზობს სქელტანიან გამოცემას, რომელიც წინა სიმპოზიუმში მონაწილე ეთნომუსიკოლოგების მოხსენებათა სრულ ვერსიებს მოიცავს ქართულ და ინგლისურ ენებზე. ამ გამოცემების მომზადებაში, ცენტრის თანამშრომლებთან ერთად, დიდია ამჟამად ავსტრალიაში მოღვაწე ქართველი ეთნომუსიკოლოგის პროფესორ იოსებ ჟორდანიას წვლილი.

შთამბეჭდავია წლევანდელ ფორუმში მონაწილეთა რაოდენობა (33 მეცნიერი) და გეოგრაფია — აშშ, კანადა, ავსტრია, ავსტრალია, ალბანეთი, ჩინეთი, იაპონია, რუსეთი, ლატვია, ესტონეთი, ნიდერლანდები, სერბეთი, პორტუგალია, ლიტვა, საფრანგეთი, ესპანეთი, მაკედონია და, რასაკვირველია, საქართველო. უცხოელ მკვლევართა შორის იყვნენ ისეთებიც, რომლებიც წინა ფორუმებშიც სტუმრობდნენ საქართველოს. მათ შორის არიან სორბონის უნივერსიტეტის დოქტორი სიმჰა არომი, ქართველი მუსიკოლოგები — ნონა ლომიძე და ნინო ციციშვილი, რომლებიც ამჟამად საზღვარგარეთ მოღვაწეობენ და სხვ.

ამჯერადაც სამეცნიერო კონფერენციები გამყარებული იყო ფოლკლორის ამსახველი დოკუმენტური ფილმებითა და კონცერტებით, რომლებშიც ჟღერდა როგორც უცხო ქვეყნების ხალხური მუსიკა, ისე მათ მიერ აჟღერებული ქართული ჰანგები. უნდა ვაღიარო, რომ მათი შესრულება ტოლს არ უდებდა ჩვენი საუკეთესო ფოლკლორული ანსამბლების გამოსვლებს.

დღევანდელი გლობალიზაციის ეპოქაში ეთნოკულტურებისადმი ესოდენ გაზრდილი ინტერესი იმ კეთილშობილური და კეთილგონივრული იმპულსების მსაზღვრელია, რომელიც აიძულებს კაცობრიობას შემოინახოს მსოფლიო კულტურათა მრავალფეროვნება და მრავალგანზომილება. ფორუმზე წარმოდგენილი ღრმად პროფესიულ კვლევებზე დაფუძნებული ძალზედ საინტერესო მოხსენებები და დისკუსიები სხვადასხვა ეთნიკურ კულტურათა დიალოგის ნათელი გამოხატულება იყო. ეს იყო პროცესი, რომელიც, ერთი მხრივ, გულისხმობდა ქართული ტრადიციული მუსიკის ინტეგრაციას მსოფლიო ეთნოკულტურულ სივრცეში და, მეორე მხრივ, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მეცნიერული გამოცდილების გაზიარებას ამ სფეროში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესო იყო წლევანდელი სიმპოზიუმის ახალი ინიციატივა — მრგვალი მაგიდა, სადაც თავისუფალი დისკუსია გაიმართა ეთნომუსიკალური პრობლემების ირგვლივ. კულტურათა დიალოგს ეხმიანებოდა პირველი მრგვალი მაგიდის თემა — შუა საუკუნეების ევროპული და ქართული პოლიფონიური მუსიკა, მოდალობა და ჰარმონია. მეორე მრგვალი მაგიდა კი მიეძღვნა ახალ მოსაზრებებს ადამიანის ევოლუციასა და ქცევაზე, მრავალხმიანობის როლს თანამედროვე ადამიანის ჩამოყალიბებაში. ამ უკანასკნელის ინტერესების სფეროში მოექცა იოსებ ჟორდანიას ინგლისურენოვანი წიგნი „Who Asked the First Questions“. **„უკანასკნელ ხანს ძალიან გაიზარდა ინტერესი მუსიკის წარმოშობის საკითხისადმი — ბრძანა რუსუდან წურწუმიამ — ამაზე მეტყველებს იოსებ ჟორდანიას ეს წიგნიც. მეცნიერებაში ბევრი პრობლემაა, რომელთა შესახებ მკვლევარები ჰიპოთეზებს გამოთქვამენ. ასეთთა რიგს განეკუთვნება მუსიკის წარმოშობის პრობლემაც. იოსებ ჟორდანია არაერთ ინოვაციურ იდეას გვთავაზობს. წიგნი დიდ ინ-**

ფორმაციას შეიცავს მრავალხმიანობის გავრცელების შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში". წიგნში მეცნიერთა კვლევების პერიოდი უძველესი დროიდან უახლეს პერიოდამდე ვრცელდება. მაგალითად, იაპონელმა კაე ჰისაოკამ ქართული პოლიფონიის საკითხები განიხილა რუსეთის იმპერიის კოლონიად ყოფნისა და 1930-იანი წლების პერიოდში, მათ ჰარვიმ წარმოადგინა მოხსენება ,,პოლიტიკური პოლიფონია", გერმანელმა სიუზან ციგლერმა შეისწავლა ქართველ ტყვეთა ჩანაწერები გერმანიაში და მრ. სხვ.

საინტერესოდ ჩაიარა ფილმების ჩვენების დღემ. რენატო მორელის ფილმმა ,,ხმები მთებიდან. სამი დღე პრემანაში" (2011 წ.), რომელიც მსოფლიოს ყველაზე მაღალი იტალიური სოფლის მოსახლეობის ცხოვრების წესს, რელიგიურ რიტუალებსა და მისთვის დამახასიათებელ გუნდურ სიმღერას გვაცნობს. ესპანელ ხელოვანთა ,,სამაკი ვანე ჯგუფის" დოკუმენტური ფილმი ,,აფრიკა: რიტმი" ტანზანიის პატარა რეგიონის ვაგოგოს ეთნომუსიკის თავისებურებებს ეხება. იყო კიდევ მესამე ფილმი — ჰუგო ზემპისა და ნინო ციციშვილის საინტერესო დოკუმენტური ნაწარმოები ,,ქართული დუდუკი". ფილმი დაგვიანებით გამოიგზავნა და ბუკლეტში ვერ შევიდა, მაგრამ მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

სიმპოზიუმის სტუმრებს შორის განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ცნობილმა ამერიკელმა მუსიკოლოგმა და მრავალმხრივმა მეცნიერმა პიტერ გოლდმა. ამ კრეატიული პიროვნების ინტერესების სიფართოვე მართლაც გაოცებას იწვევს. მომღერალი და სიმღერების ავტორი დაუღალავად ეცნობა მსოფლიოს მრავალი ქვეყნის პოლარულად განსხვავებულ ხალხურ მუსიკას, მათი ცხოვრების წესს. იგი იკვლევს ტიბეტელი ინდოელების, ესკიმოსების, ამერიკისა და მექსიკის აბორიგენთა, ბალის ხალხთა, კავკასიელთა ეთნოსის თავისებურებებს. პარალელურად მუშაობს ფილოსოფიასა და ანთროპოლოგიაში. ,,უძველესი გზების პროექტის" ფარგლებში მულტიმედიური საშუალებებით, ლექცია-სემინარებით იგი ამკვიდრებს ,,კაცობრიობის ერთიანობის" თეორიას, რომელიც ,,მრავალათასწლოვანი სიბრძნის გზათა" ანალიზის საფუძველზე, საშუალებას მისცემს დღევანდელ ადამიანს ,,საკუთარ თავშივე აღმოაჩინოს ჰარმონიული არსებობის წესი".

პიტერ გოლდის სტუმრობა საქართველოში ასევე მრავალგანზომილებიანი აღმოჩნდა. იგი საქართველოს პირველად 1968 წელს ეწვია. მაშინ იგი თურქეთს გაემგზავრა, სადაც ჩაწერა იქ მცხოვრებ ქართველ შავშელთა სიმღერები და გამოსცა კიდეც იმავე წელს. საქართველოში ახლახან მეორედ ჩამოსულმა პიტერ გოლდმა ბრძანა: — ,,ჩემი უდიდესი სურვილი იყო კიდევ ერთხელ ჩამოვსულიყავი საქართველოში და დამებრუნებინა 44 წლის წინ ჩაწერილი ეს მასალა თავის წარმოშობის ადგილთან. ახლა განზრახული მაქვს მივიღო გაცილებით მეტი ინფორმაცია. სიმპოზიუმის დამთავრების შემდეგ ამ მიზნით ვეწვევი დმანისის ისტორიულ გათხრებს, ყაზბეგს, აჭარის მაღალმთიან სოფლებს, სვანეთს..."

ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, ამ მოგზაურობის შემდეგ ჩავწერეთ.

მ.კ. — ბატონო პიტერ, ალბათ ძალიან დაღლილი ხართ. ბევრი იმოგზაურეთ ამ მოკლე დროში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში...

პ.გ. — ცდებით! მე საერთოდ არ ვიღლები. ახლა ლექცია რომ არ მქონდეს, კიდევ მოვივლიდი ერთ-ორ ადგილს. მხოლოდ ბედნიერი ვარ, რომ მომეცა შესაძლებლობა მენახა ამდენი არაჩვეულებრივი ადგილი, გასაოცრად გულღია და კეთილი ადამიანები, მომესმინა მუსიკა, რომელიც მაღელვებს. ეს ყველაფერი ჩემთვის სიცოცხლის ენერგიის წყაროა. შთაბეჭდილებები ძალიან ღრმა და მნიშვნელოვანია. ახალი სტიმულია ჩემი შემოქმედებისათვის.

მ,კ. — სიმპოზიუმი?

პ.გ. — ძალიან მომეწონა. უამრავი ფართო ხედვის იდეა მოვისმინე. ჩემი იდეებიც მივაწოდე... ანუ, შეიძლება ითქვას, გავცვალეთ იდეები. განსაკუთრებით გამოვყოფდი მრგვალ მაგიდას, სადაც ბევრი რამ ისეთი გავიგე ჩინეთზე, იაპონიაზე, რაც არ ვიცოდი. იყო მეორე ასპექტიც, არანაკლებ მნიშვნელოვანი. ეს გახლავთ ეთნოკულტურის იმ ზოგადი კანონზომიერებების

სამეცნიერო სესია: ნინო კალანდაძე, ვიჯალი ჰამილტონი, პიტერ გოლდი

კვლევა, რომელიც ავლენს საერთო თვისებებს ცალკეულ ინდივიდში. ეს არ იყო მხოლოდ ეთნომუსიკალური საკითხების დემონსტრირება. ბევრ მოხსენებაში გაცილებით ფართო სპექტრი გამოვლინდა ზოგადკულტურული, ისტორიული თუ ყოფითი ცხოვრების წესის კუთხით. ეს კარგი ბალანსი იყო.

მ.კ. — სიმპოზიუმის პრესრელიზის პირველსავე გვერდზე ვკითხულობთ: „ქართული მრავალხმიანობა უნიკალური მოვლენაა". თუ ეთანხმებით ამ აზრს, იქნებ გვითხრათ თქვენი მოსაზრება, რაში ხედავთ მის უნიკალობას.

პ.გ. — მრავალხმიანობა ძალიან ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული — ალბანეთი, სარდინია, აფრიკული ტომები... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ყველა მათგანი თავისებურად უნიკალურია. მაგრამ ქართველებმა ეს მრავალხმიანობა დღემდე შეინარჩუნეს საწყისი სახით, რაც სხვაგან ხშირად არ ხდება. ამასთან, აქ არის გამოკვეთილი კილო-ჰარმონიული მოდალური სისტემები. სწორედ ეს სისტემურობა, რომელიც, ჩვეულებრივ, პროფესიული მუსიკის მახასიათებელია, გამოარჩევს ამ ფენომენს. და კიდევ ერთი და მთავარი — მუსიკალური აზროვნება რეგიონულ დონეზე. აქ ყველგან არის პოლიფონია. საქართველოში პოლიფონიური აზროვნება დამახასიათებელია ყველა რეგიონისათვის და ყველგან იკითხება ეს სისტემური საწყისი. ვფიქრობ, ამიტომაც არის ძალზედ გამორჩეული და საინტერესო მკვლევართათვის. ეს ამ სიმპოზიუმმაც დაადასტურა.

მ.კ. — მუსიკის წარმოშობის შესახებ საკმაოდ ბევრი მოსაზრება, ჰიპოთეზა არსებობს. ამ თემას ვერც წლევანდელმა სიმპოზიუმმა აუარა გვერდი. საკმარისია დავასახელოთ თუნდაც იოსებ ჟორდანიას წიგნი, რომლის განხილვას სერიოზული დისკუსია დაეთმო მრგვალი მაგიდის ჩარჩოში. ასევე ბევრი კვლევა მიეძღვნა ცალკე-

პროფ. ბო ლავერგრენი (ა.შ.შ) კითხულობს მოხსენებას ანგულარულ (კუთხოვან) არფაზე

ული ერების მუსიკალურ აზროვნებას. რამდენიმე წლის წინ ერთ ნაშრომში ამოვიკითხე ფრაზა — „ერის ან ეთნიკური ჯგუფის კულტურის საყრდენი არის ეროვნული გენეტიკური კოდი"... რამდენად დასაშვებია „ეროვნული გენეტიკური კოდის" არსებობა და მისი „ჩართულობა" ეთნოკულტურის ევოლუციის პროცესში?

პ.გ. — უნდა ვაღიაროთ ამგვარი კოდის არსებობა. ეს ეროვნული მეხსიერებაა, რომელიც თაობებს გადაეცემა და იქნებ მართლაც წარმართავს ამ ევოლუციურ პროცესს. ეთნოკულტურა არ არის გაყინული რამ. იგი მოძრავია, ცოცხალი და იცვლება დროის შესაბამისად. მაგრამ ეს ცვლილებები გარკვეულ მოდელებს ემყარება. ეს კარგად ჩანს რეგიონულ დონეზე. ისინი ერთმანეთზე ურთიერთმოქმედებენ, ერთმანეთისგან სწავლობენ და ქმნიან ერთიან ეთნოკულტურას. ასე ურთიერთქმედებდნენ ქართველთა წინაპრები — კოლხები, მოსინიკები.... ახლა ურთიერთზემოქმედების პროცესი ბევრად დაჩქარებულია. აჭარაში და სვანეთში რომ ვიყავი, ისევე მღეროდნენ მრავალჟამიერს, როგორც კახეთში, კახელებიც ასევე სრულყოფილად მღერიან სხვა რეგიონის სიმღერებს. დღეს უკვე სახელმწიფო ცდილობს შეკრიბოს სხვადასხვა ეთნოსი ერთიან სივრცეში...

მ.კ. — როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა ახლანდელი გლობალიზაციის ეპოქაში ასეთი ღრმა ინტერესი ეთნოკულტურებისადმი...

პ.გ. — როდესაც ტექნიკურმა პროგრესმა ყველაფერი შთანთქა, ადამიანს ბუნებრივად გაუჩნდა სურვილი ჩაუღრმავდეს სულიერებას, თავის წარმომავლობას. მან დაიწყო ნამდვილი ღირებულებების ძიება. დღეს ყველაფერი შეერია ერთმანეთს, რამაც გაზარდა ინტერესი ორიგინალებისადმი. მათი მოძიების შესაძლებლობას კი ყველაზე ნათლად ეთნოკულტურული პროცესების შესწავლა იძლევა. ეს აძლევს უნარს ადამიანს საკუთარ თავშივე აღმოაჩინოს ჰარმონიული არსებობის წესი. გლობალიზაცია ერთფეროვნებას

ამკვიდრებს, ეთნოკულტურებთან შეხებას კი ამ ერთ-ფეროვნებაში ფერადოვნება შემოაქვს. ამაზე უარის თქმა შეუძლებელია.

ზმ.კ. — დაბოლოს. თქვენს მოღვაწეობაში არც თუ უკანასკნელი ადგილი უჭირავს კომპოზიციებს, ეგრეთ-წოდებულ „ფუჟენ მუსიკას", რომელსაც თქვენვე ას-რულებთ. რამდენად ახდენს მათზე ზეგავლენას ის ერთმანეთისაგან ხშირად პოლარულად განსხვავებუ-ლი ეთნომუსიკა, რომელსაც რომელიმე კონკრეტულ მომენტში სწავლობთ და იკვლევთ.

პ.გ. —დიახ, მე ვაგრძელებ ჩემს ,,ფუჟენს" და ყოვე-ლი ახალ ეთნოკულტურასთან შეხება ახალი ინსპირა-ციაა ამ კომპოზიციებისათვის. ამდენად ეს გავლენები გარდაუვალია. ამჯერად ეს, ვფიქრობ, ქართული მუ-სიკა იქნება. მე დიდი ხნის წინ გავეცანი მას, მაგრამ ახლანდელი შთაბეჭდილებები სულ სხვაა, უფრო მდი-დარია და მრავალფეროვანი. მაქვს იდეა შევქმნა პა-ტარა ,,ვეფხისტყაოსანი"...

პიტერ გოლდის ეს შთაბეჭდილებები მხოლოდ სა-ქართველოს მაღალმთიან რეგიონებში სტუმრობამ არ განაპირობა. მისი საწყისი ის კონცერტები გახლდათ, რომლებიც სიმპოზიუმის მსვლელობისას იმართებოდა. ამ მხრივ საინტერესო იყო სიმპოზიუმის გახსნა, რო-მელმაც ჭეშმარიტად ინტერნაციონალური სახე მიი-ღო და სწორედ იმ ,,ფერადოვნების" გამოხატულობა იყო, რაზეც პიტერ გოლდი მიგვანიშნებდა. ქართველ მომღერლებთან ერთად მასში მონაწილეობა მიიღეს საქართველოში მცხოვრებ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებმა. სიმპოზიუმი მასპინძლობდა რუ-სი დუხობორების ანსამბლს დმანისიდან, უკრაინულ ,,სმერკას", პოლონურ ,,ორლენტას", ებრაული ვოკა-ლური სტუდიის ჯგუფს, ევანგელ-ლუთერანულ ჯგუფს ,,გლორია" თბილისიდან, ჩეჩნურ ანსამბლს პანკისი-დან, უკრაინულ და რუსულ ანსამბლებს რუსთავი-დან. კონცერტების მასპინძლები კი იყვნენ თბილისის ფოლკლორული ანსამბლები და საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული კოლექტივები, რომელთა შესრუ-ლება სტუმრების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა. ქართული საზოგადოება ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდება უცხოეთში მოქმედ იმ ანსამბლებს, რომელთა რეპერტუარში ქართულ ტრადიციულ მუსიკას მნიშვნე-ლოვანი ადგილი უჭირავს. ბევრი მათგანი უკვე იყო გა-სული წლების სიმპოზიუმების მონაწილე. ასეთებია ,,გო-რანი" და ,,ბრიზინგ სპეისი" ავსტრალიიდან, ,,მასპინ-ძელი" დიდი ბრიტანეთიდან, ,,დარბაზი" კანადიდან და სხვ. რუსუდან წურწუმიას აზრით **„ამ აღფრთოვანებას იწვევს, ჯერ ერთი, შესრულების ძალიან მაღალი დონე, მეორეც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ,,ნასწავლ" მუ-სიკას მღერიან, ბევრად უფრო თავისუფლები, ლაღები და გახსნილები არიან სცენაზე, ვიდრე ზოგიერთი ჩვენი მომღერალი, რომელსაც ბავშვობიდან შესისხლხორცე-ბული აქვს ეს ჰანგები**". — ეს თვისებები არ აკლდა სა-ხალხო მთქმელების კონცერტს და ოჯახურ ანსამბლებს. მათი შესრულების ბუნებრივი მანერა, გულწრფელობა და ხშირად მიამიტობა, თავისუფალი ყოველგვარი ,,მუ-სიკალური პროფესიონალიზმის" ზეწოლისაგან, მართ-ლაც აბრუნებდა მსმენელს ტრადიციული სიმღერების ნატურალურ საშემსრულებლო გარემოში.

სიმპოზიუმის დასკვნით საღამოს სტუმრებს შესაძ-ლებლობა ჰქონდათ დიდი დარბაზის ფოიეში გასაც-ნობოდნენ ახალგაზრდა მხატვრების — ირაკლი ჩი-ქოვანის, ბექა სვირავას, ლევან მაჭავარიანის, დათო ურუშაძისა და სხვ. ქართული ხალხური სიმღერისადმი მიძღვნილ ფერწერულ ნამუშევრებს (პროექტის „მუსი-კა ფერებში" ავტორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქ-ტორი ია ესვანჯია).

დაბოლოს, რომ არა კონსერვატორიის ტრადიციუ-ლი მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტ-რის სამუშაო ჯგუფის — მუსიკოლოგ თამაზ გაბისონიას, ნინო რაზმაძის, მაკა ხარძიანის და მაია კაჭკაჭიშვილის თავდადებული შრომა, სიმპოზიუმის ასეთ მაღალ დონე-ზე ორგანიზება და წარმართვა შეუძლებელი იქნებოდა.

ვიმედოვნებთ, სიმპოზიუმი გააგრძელებს თავის სვლას ქართული მუსიკალური მეცნიერების წინსვლისა და ქართული ტრადიციული მუსიკის მსოფლიო ეთნო-მუსიკალურ სივრცეში სრულყოფილად ინტეგრაციის სასარგებლოდ.

მანანა კორძაია

ფესტივალის დღიურები

ქართული საზოგადოება დიდი სიყვარულით ულოცავს თავის სიამაყეს – ელისო ვირსალაძეს შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს და უძღვნის ყველაზე საუკეთესო სურვილებს მუსიკისმოყვარულთა სასიხარულოდ. ვფიქრობ, ელისოს მრავალრიცხოვანი რეგალიების ჩამოთვლა საჭირო არაა, მაგრამ, ერთს კი დავამატებდი, ბიძინა კვერნაძემ მას „ღმერთის ზაკაზი“ უწოდა.

ერთ საზოგადოებაში ლაპარაკი იყო დასასჯელ ინსტრუმენტებზე. ახსენებდნენ დანას, ნაჯახს, თოფს, დამბაჩას, ეშაფოტს...

– მოიცათ, მოიცათ, თქვენ დაგავიწყდათ ფორტეპიანო, – გაამხიარულა პირქუში თემა ენაკვიმატმა, ცოტაც ზარმაცმა, გენიალურმა როსინიმ, რომელსაც ეტყობა, ბავშვობიდან ძალით მეცადინეობის მწარე მოგონება გამოჰყვა...

წარმოიდგინეთ, რა ბედნიერებაა, როცა დიდ ტალანტს დახვდება საუკეთესო ნიადაგი. უშეცდომო საწყისი ხომ გამორიცხავს უაზრო ტანჯვას ინსტრუმენტთან.

ელისო ვირსალაძე გაჩნდა დიდი კულტურის და სულიერების სავანეში, სადაც წამყვანი ღირებულება კეთილშობილება, მაღალი ზნეობა იყო. სადაც ყველაფერი სუნთქავდა მუსიკით და პროგრესული აზროვნებით. რა გასაკვირია, რომ განგებას მისთვის გენეტიკურად ასეთი ტალანტი ებოძებინა, მაგრამ გარდა ამისა, მას ჰქონდა უნიკალური საძირკველი, აბსოლუტურად სწორად წარმართულიყო თავისი დიდედის, ქართული საფორტეპიანო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ქ-ნ ანასტასია ვირსალაძის მზრუნველობით. დიდედა დიდხანს არ ანებივრებდა მას ეფექტური რეპერტუარით. გადიოდა ბევრ პოლიფონიას და ვენის კლასიკას. ამან შესძინა მას დახვეწილი გემოვნება, მღერადი ტუშე, ტექნიკა და სტილის გრძნობა. მასში თავიდანვე ჩაისახა არაჩვეულებრივი ბალანსი ინტელექტსა და განსაკუთრებულ მუსიკალურ მგრძნობელობას შორის.

ჯერ კიდევ ნორჩი იყო ელისო, როცა საოცარი ინტონირებით აღორძინებდა, სხვა სურნელით და ფერებით აელვებდა სმენაშეჩვეულ, ამომწურავად ნაცნობ ნაწარმოებებსაც კი. მისი რიტმი და ენერგეტიკა ყოველთვის გვაგრძნობინებდა მუსიკის მფეთქავ მაჯისცემას. ბუნებრივი ფრაზირებით და მოუხელთებელი rubato-თი კი ხომ მუდამ სუნთქვას უკრავდა მსმენელს.

მას აინტერესებდა ყველაფერი: კინო, თეატრი, ენები. ფართო განათლებამ გაუღრმავა ფილოსოფიური მსოფლშეგრძნება. პოეტიკით და მშვენიერების კონტენტით გვახსენებდა დოსტოევსკის ფრთიან ფრაზას: „მშვენიერება გადაარჩენს სამყაროს".

ყველამ ვიცით, რომ გენიოსები კაცობრიობის ჩირაღდნები არიან, მაგრამ მათი ბოლომდე შეგრძნება ჩვეულებრივი მსმენელისათვის შესაძლოა მხოლოდ იმ მედიატორის წყალობით, ვისაც თვითონ ძალუძს თავისი ინტუიციით ჩაწვდეს მათ სიღრმეს, სტილის თავისებურებას. ცოცხალი ემოციით გადმოგვცეს უტყვ ნოტებში ჩაწერილი განცდათა მთელი სპექტრი: სინაზე, მგზნებარება, სევდა თუ აღტაცება, ან გნებავთ, განზოგადებული მსჯელობა.

ელისო ყველა სიმდიდრეს უხვად ფლობს და გასცემს. ასეთი შემოქმედის ნება არა მარტო იმორჩილებს ვეებერთელა აუდიტორიებს, არამედ ერთი სულისკვეთებით მსჭვალავს და თანამოაზრეებად აქცევს სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანებსაც კი. მსმენელი აქ აღარ არის სპეციალისტი, დილეტანტი თუ საერთოდ ჩაუხედავი. მხოლოდ ასეთი სიმაღლის შემსრულებელთა კონგენიალობას შეუძლია უძველესიდან, ყველა დროის მუსიკას შეუნარჩუნოს აზრი, ფერი და მშვენიერება, განგაცდევინოთ ცხოვრების დრამა თუ სიხარული. ასეთ ტალანტს ვერ შეეჩვევი, ვერ მოუდუნდები, იგი ყოველთვის გაოცებს, გახარებს, გკურნავს.

შემოქმედების ცხოველმყოფელობით ელისო ვირსალაძის შესრულება ისევე ღრმად შთამბეჭდავი და უახლოესია ჩვენს სულთან, როგორც უნიკალური, მუდამ სიახლით განმაცვიფრებელი ფიროსმანი, როგორც ჰამლეტ გონაშვილის ერთადერთი და განუმეორებელი ტემბრი, როგორც ყველაფერი პოეზიის რანგში აყვანილი.

მუსიკა ისეთი სოციალური ფენომენია, რომელსაც სიამოვნების გარდა მოაქვს თავისი ესთეტიკა და მორალიც. მისი მნიშვნელობა სცილდება პროფესიულ ფარგლებს და გვევლინება საუკეთესო ფასეულობათა დამამკვიდრებლად. კლასიკა, და განსაკუთრებით კი კამერული მუსიკა, ელიტარული ხელოვნებაა. თითქოს მისი შემეცნება გაუთვითცნობიერებელთა ხვედრი არაა, არამედ პრივილეგიაა, მაგრამ ელისო ამ პრივილეგიას ანიჭებს ყველა მსმენელს და აერთიანებს საერთო ბედნიერების განცდაში.

აი, რას წერს მასზე სვიატოსლავ რიხტერი:

— „ელისო დიდი მასშტაბის პიანისტია. დღეს შესაძლოა ყველაზე ძლიერი პიანისტი ქალია და უაღრესად კეთილსინდისიერი მუსიკოსი. მას ახასიათებს ნამდვილი სიწრფელე. გარდა ამისა, კეთილშობილი სისხლისაა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია არტისტისათვის" (აქ რიხტერი მის მუსიკალურ წარმომავლობას გულისხმობს — ნ.მ.).

— „მისი ტექნიკა სრულყოფილია და განსაცვიფრებელი. იგი მასშტაბებს უსაზღვრავს პიანისტებს".

— „ასეთი შუმანი არ მომისმენია ნეიჰაუზის შემდეგ. იგი ყოველმხრივ ხიბლავს".

— „ელისო უკრავს ისე შთაგონებულად, თითქოს თვითონ ქმნის მუსიკას". — ჰ. ნეიჰაუზი.

— „ელისო ვირსალაძის დამსახურებაა ის, რომ ქართული სახელმწიფოს კონტურები გამოიკვეთა მსოფ-

ნატალია გუტმანი, ელისო ვირსალაძე

ლიოს მუსიკალურ რუქაზე" — ი. კეჭაყმაძე.

მაგრამ რაოდენ დიდია პიანისტის ღირსება იმით, რომ მისი შემოქმედება მსხმოიარეცაა. მისი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა, იქნება ეს მოსკოვის კონსერვატორიაში, მიუნხენში თუ ფლორენციაში, სადაც ბოლო ხანებია ის მუშაობს, ან მასტერკლასები მთელ მსოფლიოში, მაგალითია იმისა, თუ როგორ ცოცხლობს და თაობიდან თაობაში გადადის ის ცხოველმყოფელი საუკეთესო ტრადიციები ქ-მა ანასტასია ვირსალაძემ რომ შემოიტანა დიდი ანა ესიპოვას სკოლიდან.

1984წ. ელისო ვირსალაძემ დააფუძნა საერთაშორისო ფესტივალი ,,ქება ვაზისა" — თელავში. ეს მყუდრო, მზიანი ქალაქი ფესტივალის ორგანიზატორთა ბედნიერი მიგნებაა. შემოდგომის წარმტაცი ფერები, ულამაზესი ხედები, ისტორიული ძეგლების გარემოცვა, შესაძლებლობა, რომ გამოეთიშო ყოველდღიურობას, და მთლიანად ჩაეშვა მუსიკის ჯადოსნურ სივრცეში, შეუცვლელს ხდის ამ არჩევანს.

ნათან პერელმანი 1988წ. წერდა:,,სექტემბერში ვტკბებოდი ელისოს სამოთხეში. ვიყავი ფესტივალზე ქ. თელავში, რომელშიაც ელისოს თაოსნობით მონაწილეობდნენ ნამდვილი ვარსკვლავები ნ. გუტმანი, ი. ბაშმეტი, და ბევრი სხვა გამოჩენილი მუსიკოსი. უამრავი მუსიკა, მზე, სითბო"... და ეს დიდი მუსიკოსი სიყვარულით და იუმორით შენიშნავს საერთო განწყობილებაზე: ,,მე აქ საყვარელი ბებრუხანა ვარ, ყბედი, ონავარი და ნებიერი".

სიმართლე გითხრათ, დანარჩენი, უფრო მომცრო ,,სიდიდეებიც" ასე ვგრძნობდით აქ თავს. ვტკბებოდით, ბევრს ვმსჯელობდით და ვნებივრობდით ამ საერთო მეგობრულ ატმოსფეროში. მაშინ ტაძრებმაც კარი გაუღეს დიდ კლასიკურ მუსიკას.

მეშვიდე ფესტივალიდან თვრამეტი წლის წყვეტის შემდეგ, კვლავ განახლდა ეს ღონისძიება. ისევ სიყვარულით ჩამოდიან აქ ძველი ფესტივალების მონაწილეები და აღფრთოვანებით უერთდებიან ახლები.

სხვათა შორის, ამ დროს აქ წარმატებით იჭრება შემოქმედებითი და პატრიოტული ამოცანები. ჩვენს ქვეყანას უჩნდებიან ახალი უცხოელი მეგობრები და თაყვანისმცემლები.

წელს ფესტივალი გაიყო ორ ნაკადად. სექტემბრის ბოლო დღეებში მასში მონაწილეობდნენ ელისოს აღზრდილი, დღევანდელი პიანიზმის ვარსკვლავი ვლ. ბერეზოვსკი და მისი ამჟამინდელი კლასის წარმომადგენლები.

ოქტომბერში, ფესტივალის მეორე ნაწილში შესრულდა მოცარტის დივერტისმენტი და ტრიო ფორტეპიანოსა და ჩასაბერი საკრავებისათვის, ბეთჰოვენის სეპტეტი, მენდელსონის და შოპენის სონატები ჩელოსა და ფორტეპიანოსათვის ნ.გუტმანთან ერთად და ბრამსის საფორტეპიანო კვინტეტი და ამ ანსამბლურ თანავარსკვლავედში მაინც ყველგან იგრძნობოდა ფორტეპიანოს იდეური, მაორგანიზებელი ძალა. შუმანის სავიოლინო კონცერტის საინტერესო ინტერპრეტაცია შემოგვთავაზა შესანიშნავმა მევიოლინემ კ. ბლაჰერმა.

საინტერესოა ამ ნაწარმოების ბედი. შუმანს იგი დაუწერია ფსიქიკური მდგომარეობის გართულების პერიოდში. მის მეუღლეს კლარა ვიკს და იოჰანეს ბრამსს იგი ჩაუდიათ „პაპკაში“ და აღმოჩნდა, რომ დიდი ხნით...

ნაცისტების დროს ეს ოპუსი აღმოაჩინეს და წინ წამოსწიეს მენდელსონის, აკრძალული ებრაელი კომპოზიტორის პოპულარული კონცერტის საწინააღმდეგოდ, როგორც კიდევ ერთი სუფთა გერმანული სავიოლინო მუსიკა.

ამ დღეებში აქ უკრავდა საგანგებო საფესტივალო ორკესტრი — რჩეული პროფესიონალები — ქართველი და უცხოელი მუსიკოსები დირიჟორ ანატოლი ლევინის ხელმძღვანელობით.

და მაინც, ფესტივალის პიკი იყო შოპენის e moll საფორტეპიანო კონცერტი. რა მშვენიერი იყო ეს კეთილშობილების განცდა, იდუმალებიდან მუსიკის აღმოცენება, დროში განფენა, ჟღერადი ჰორიზონტის სიღრმე-სიშორეები, ელეგანტურობა, იდილია თუ აღმაფრენა. და რა თქმა უნდა, ყველაფერი დრამატურგიულ მთლიანობაში! ერთი სიტყვით, თუ შეიძლება თქმა, ეს იყო ნამდვილი მხატვრული სიმართლე!

ფესტივალმა გვაჩუქა შესანიშნავი წიგნი ელისოზე, საინტერესოდ შედგენილი ქ-ნ მანანა ახმეტელის მიერ, მართლაც ისეთი, როგორიც ამ დიდ ხელოვანს და პიროვნებას ეკადრება. წიგნში შესულია პიანისტის წერილები ოჯახზე, პირველ ნაბიჯებზე, ჩვენი დროის დიდ შემსრულებლებზე და ასევე დიდი მუსიკოსების წერილები მასზე. აღმოჩნდა, რომ ელისო წერს კიდეც არაჩვეულებრივად საინტერესოდ, ღრმა წვდომით, ზუსტი დახასიათებებით. ყველაზე საინტერესოა ელისოს ინტერვიუები სადაც განხილულია პრობლემური საკითხები, ჩანს მისი პრინციპები და თვალთახედვა. აქ მთლიანად იკვეთება მისი პიროვნება, ღრმა და მაღალზნეობრივი, ვისითაც აღტაცებას ვერ მალავენ ისეთი მეტრები, როგორებიც არიან ჰ.ნეიჰაუზი, ს.რიხტერი, ი. ფლიერი, ი.ზაკი, ნ.პერელმანი.

სამენოვანი წიგნი დასურათებულია შესანიშნავი ფოტომასალით და შესრულებულია გემოვნებით, მაღალპოლიგრაფიულ დონეზე, ვფიქრობ, ეს ბოლო წლების საუკეთესო ქართული გამოცემაა.

წიგნის პრეზენტაცია შედგა წინანდლის ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში და ეს უმშვენიერესი გარემოც ძალიან უხდებოდა ამ ფესტივალს.

ვუბრუნდები ისევ ფესტივალის ბოლო წუთებს.

თელავში ცხოვრობს საოცარი ხალხი, რომლის ღვთაებრივი კუთხე, მუდამ იყო გაჯერებული სწორუპოვარი ხალხური მუსიკით. ძნელი წარმოსადგენია სად იქნებოდა ასეთი ექსტაზი, ასეთი ერთსულოვნება, როგორიც იმ საღამოს დახურვაზე სუფევდა. ალბათ ქვეყნად ასე არსად არ ჟღერდა შოპენი და არ გუგუნებდა ყველასათვის გასაოცარი „მრავალჟამიერი“.

ეს მართლაც დაუვიწყარი ,,ქება ვაზისა” იყო, როცა ფეხზე მდგარი დარბაზი მხურვალე მადლობას უხდიდა ყველას, ვინც ამ არაჩვეულებრივ ურთიერთობათა გარემო შექმნა და მის სათაყვანო ელისო ვირსალაძეს, ვინც თვითონ გახლდათ ამ ფესტივალის შთაგონება.

რაც არასდროს გავიწყდება

დიდიმ მირცხულავა – 100

1997 წლის შემოდგომაზე, ერთ დილით სამსახურში ჩვეულებრივად მისულმა, დერეფანში დავინახე, ზურგით იდგა და კედელზე გამოკრულ სარეჟისორო სამმართველოს სამუშაო განრიგს ათვალიერებდა. მივედი, მოვიკითხე, ჩვეული ღიმილით გადააქნია თავი — არა მიშავსო, თუმცა გამხდარი და უფერული მეჩვენა. გამიკვირდა, დამშვიდობებისას ჩვეულებისამებრ რომ არ მითხრა — თუ მუზეუმში იქნები, შეიძლება შემოგივი ადამიანი, რომელიც სამუდამოდ შემორჩა ჩემს მეხსიერებას...

...მიუხედავად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ჩემი ხანგრძლივი მუშაობისა, არც მომღერალი ვყოფილვარ, არც მუსიკოსი, არც ბალეტის მოცეკვავე და აქედან გამომდინარე, ბატონ დიდიმთან პროფესიული შეხება არ მქონია, მასთან მაინც ახლო ურთიერთობა მაკავშირებდა ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა

ა‌როო... ამ შეხვედრიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ თეატრში ხმა გავარდა — ჩვენი მაესტრო, დიდიმ მირცხულავა გარდაიცვალაო...

ოფიციალურად გამოცხადდა: გარდაიცვალა შესანიშნავი ქართველი დირიჟორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სახელმწიფო და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის პრემიების ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის უხუცესი დირიჟორი, თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, დიდიმ მირცხულავა... ამ ჩამონათვალს დავამატებდი, რომ გარდაიცვალა საოპერო მომღერალთა თაობების გამომზრდელი, საქმეში პირდაპირი, მკაცრი და უკომპრომისო, უკეთილშობილესი პიროვნება, ზნეობისა და თავმდაბლობის სიმბოლო. მას შემდეგ 15 წელი გავიდა, 2012 წლის 2 აგვისტოს მისი დაბადებიდან 100 წელი შესრულდა და ჩემი მოგონებაც ამ თარიღთან არის დაკავშირებული...

მე არ ვაპირებ ბატონი დიდიმის შემოქმედების განხილვასა და იმ დამსახურებაზე საუბარს, რაც მას ქართული საოპერო და საბალეტო ხელოვნების წინაშე მიუძღვის. ეს მუსიკისმცოდნეთა საქმეა. უბრალოდ, მინდა გავიხსენო დიდი პიროვნება და არაჩვეულებრივ თეატრის მაშინდელი დირექტორის, ბატონ ირაკლი ბერიძის მდივანი ვიყავი... ბატონ დიდიმს მთელი თეატრი განსაკუთრებული რიდითა და პატივისცემით ექცეოდა, როგორც კი დირექტორის მისაღებში გამოჩნდებოდა, სხვებივით მეც მაშინვე ფეხზე წამოვდგებოდი ხოლმე, — არ არის საჭირო, ვინც, აქ შემოვა ყველას რომ ფეხზე წამოუდგე, მთელი დღე ადგომა-დაჯდომაში გაგივა და რაღა უნდა გააკეთოო და ბოლოს ღიმილით დაააყოლა — დაიხსომე, ბიჭები რომ შემოდიან, გოგონები ფეხზე არ დგებიანო... „ბიჭები“ ისეთი ხაზგასმით წარმოთქვა, რომ გამეცინა, მაგრამ მისი „შეგონება“ ვერა და ვერ „დავიხსომე“, რადგან პიროვნულად საოცარ მოწიწებას იწვევდა ადამიანში და მის გამოჩენაზე ჩემი უნებლიე „წამოხტომაც“ სწორედ ამ მოწიწების გამოვლინება იყო. არადა, არ იცოდა, რომ „ყველას“ შემოსვლაზე სულაც არ ვდგებოდი ფეხზე...

...ფეხით სიარული უყვარდა, დინჯი ნაბიჯებით. თეატრში ყველამ იცოდა, რომ ყოველ დილით, მიუხედავად ამინდისა, კუს ტბაზე ფეხით ადიოდა და რაც ყველაზე უცნაურია, რეპეტიციასა თუ სპექტაკლზე, ვაკიდან ოპერის თეატრამდეც ფეხით მოდიოდა. შემოიწყობდა ზურგს უკან ხელებს და არავინ იცის, რას ფიქრობდა მაშინ, გრძელ გზას შემდგარი დიდი ხელო-

გ.ფალიაშვილის ოპ. „დაისის“ პრემიერის შემდეგ. ცენტრში დიდიმ მირცხულავა

ვანი. .. მანქანა არასოდეს ჰქონია. უკვირდა – ამდენი ხანია „ვოლგის“ რიგში ვდგავარ და რიგმა არადა არ მომიწიაო...

...ზემოთ ვახსენე, მასთან პროფესიული შეხება არ მქონია–მეთქი, თუმცა თეატრისათვის ერთმა მეტად მნიშვნელოვანმა საქმემ დაგვამეგობრა და ბატონი დიდიმი კიდევ უფრო ძვირფასი გახდა ჩემთვის...

...1979 წლის გაზაფხულზე, ოპერის თეატრის ახალმა დირექტორმა ბატონმა ზურაბ ანჯაფარიძემ, დირექტორის მდივნობიდან თეატრის მუზეუმის გამგედ გადამიყვანა. დიდ დარბაზს მუზეუმი ერქვა, თორემ შიგ ორიოდე გამურული ბიუსტისა და ნახევრად დამწვარი სამუზეუმო მასალების გარდა აღარაფერი იყო. 1973 წელს თეატრში მომხდარ ხანძარს, ყველაფერთან ერთად უნიკალური ისტორიული ფასეულობებიც გაენადგურებინა. ასე რომ, ჩემი აღტაცება და სიხარული, რომ ჩემს საყვარელ თეატრში ბოლოს და ბოლოს ჩემი ადგილი ვიპოვე, ნაადრევი აღმოჩნდა. მივხვდი, რომ ფაქტობრივად არაფრის გამგე ვიყავი...

...დავიწყე თეატრის აწმყოსთან ფეხდაფეხ სიარული, პარალელურად კი წარსულის შესწავლა. ოჯახებში შემონახული აფიშების, პროგრამების, ფოტოების შეგროვება, მაგრამ რა? ფოტოების უმრავლესობას წარწერები არ ჰქონდა. მე კი ნაკლებად ვიცნობდი გასული საუკუნის 20–30–40–იანი წლების საოპერო თუ საბალეტო ხელოვნების მოღვაწეთ... რაღაც უნდა მეღონა... ასეთი ფოტოების გარკვეული რაოდენობა რომ დამიგროვდა, ბატონ დიდიმს, როგორც თეატრში

ასაკით უფროსს, ჩემი „გასაჭირი“ გავუზიარე და დიდი ბოდიშით შველა ვთხოვე. მოვიდა... მაგიდაზე გაშლილ ფოტოებს დახედა... თვალები უცნაურად აუციმციმდა და მივხვდი, რომ ის, რაც ჩემთვის იყო უცნობი და შორეული, მისთვის საოცრად თბილი და ახლობელი იყო. დუმილი ორიოდე წუთს გაგრძელდა. მერე სათვალე გაისწორა და... მოიმარჯვე ფანქარი და დავიწყოთ... (თვითონ უმეტესად ფანქრით წერდა).

...დავიწყოთო — მითხრა და ასე დაიწყო ჩვენი „შემოქმედებითი“ ურთიერთობა, მაგრამ ეს არ იყო ფოტოებზე მხოლოდ სახელების მიწერა, ამ სახელების უკან ხომ ჩვენი თეატრის ისტორია იდგა და ბატონი დიდიმი გახდა ჩემი „მეგზური“ ამ ისტორიის უაღრესად საინტერესო ლაბირინთებში. ვეკითხებოდი, მიხსნიდა, მიამბობდა და ამას ისე აკეთებდა, რომ არცოდნის გამო, თავი უხერხულად არ მეგრძნო... ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ დიდ ჯგუფურ ფოტოებს მივადგებოდით. ასეთ ფოტოებზე ხანდახან ბატონ დიდიმსაც უჭირდა მავანთა ამოცნობდა, მაშინ მეტყოდა — კონვერტში ჩამილაგე, კონსერვატორიაში წავიღებ, ჩემს უფროს კოლეგებს ვაჩვენებ, შეიძლება მათ იცოდნენო... რამდენიმე დღის შემდეგ თეატრის შესასვლელიდან დამირეკავდა — მანდ ხარ? შენი დავალება შესრულებულია, მოვდივარ... ასე გრძელდებოდა თვეების განმავლობაში. მოგეხსენებათ თეატრის შესასვლელში სახანძრო დაცვაა განლაგებული, ბევრი ხალხი ირევა, რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენილა ბატონი დიდიმის ზარები მუზეუმში და მავანმა ჩემი თავხედობის ამბავი ზურაბ ანჯაფარიძის ყურამდე მიიტანა. შედეგმაც არ დააყოვნა და აი, მე დირექტორის კაბინეტში ვარ გამოძახებული, ჯერ არ ვიცი, რაზე. ბატონი ზურაბი გამომცდელად მიყურებს და მეკითხება — შენ იცი, ვინ არის ბატონი დიდიმ მირცხულავა? — ჩემს გაკვირვებულ პასუხს არ ელოდება, ისე აგრძელებს — შენ იცი, რომ მაგის გაზრდილები ვართ? მაგის წინ თითის წვერებზე დავდივართ, თვალებში შევყურებთ, რა ესიამოვნება და შენ როგორ ბედავ, რომ ამ ხნის კაცს რაღაც დავალებებს აძლევო... შვებით ამოვისუნთქე და ბატონ ზურაბს ვუამბე, რა დავალებებზე იყო საუბარი... გაეცინა, — ეგეთ დავალებებს მეც სიამოვნებით შეგისრულებ, თუ რამე დაგჭირდება, ნუ მომერიდებიო...

...სხვათა გულუხვად მაქებარს, კატეგორიულად არ უყვარდა საკუთარ თავზე, საკუთარ შემოქმედებაზე საუბარი, ინტერვიუების მიცემა — რა უნდა ვთქვა, უხერხულია კაცმა თავის თავზე ილაპარაკოს, ვისაც ჩემზე რამის დაწერა უნდა, ჩემს მუშაობას უნდა გაეცნოსო — იცოდა თქმა...

...ძველი ფოტოებისა და იმ საუბრების წყალობით, რაც ამ ფოტოებზე მუშაობას ახლდა, კიდევ უფრო ღრმად გავეცანი ბატონი დიდიმის პიროვნებას, ქვეცნობიერად ბევრი რამ გავიგე მის ცხოვრებაზე, ისეთი შეგრძნება მქონდა, რომ მას ჩემზე კარგად არავინ იცნობდა და მადლიერების ნიშნად, ჩემი დამოკიდებულება მისდამი, მისი დაბადებიდან 75 წელთან დაკავშირებით საიუბილეო წერილში მოვაქციე. დაიბეჭდა და მერეღა გავაცნობიერე, რომ ბატონი დიდიმისთვის არაფერი მითქვამს, ერთი სიტყვაც კი არ შემითანხმებია მასთან. ვფიქრობდი, ვაითუ, რამე არ მოეწონოს და გამიწყრეს-მეთქი. „საყვედურს“ მართლაც ვერ ავცდი... თეატრის ეზოში შევხვდი, ირაკლი ჭიაურელთან ერთად მოდიოდა, ჩემს დანახვაზე ხელები გაშალა — ეს რა გიქნია, მე გოგოებს ვეპრანჭები და შენ კი მთელ ქვეყანას გააგებინე, რომ 75 წლისა გავხდიო... მის ხუმრობაზე ყველა იცინოდა. მე კი მიხაროდა, რომ იოლად „გადავრჩი“.

ერთხელ მითხრა, ჩემი ოჯახობა კარგ ნამცხვრებს აცხობს და ჩაიზე გეპატიჟებაო. მისი „ოჯახობა“ — მისი მეუღლე, შვილმკვდარი დედა, სათნო და კეთილი, დიდებული გვარისა და ოჯახის შთამომავალი, ნიკო ბურის დისშვილი, ქალბატონი ნატა ჭავჭავაძე ბრძანდებოდა. ასეთ პატივზე უარს როგორ ვიტყოდი და რეპეტიციის შემდეგ, რუსთაველიდან ვაკემდე გზას, რა თქმა უნდა, ისევ ფეხით და ბაასით დავადექით... ასე გავიცანი მისი მშვენიერი მეუღლე — „ოჯახობა“, როგორც თავად უყვარდა თქმა.

ხშირად არა, მაგრამ არაერთხელ ვყოფილვარ მათი ჩაის მონაწილე, რომელსაც თან ახლდა საინტერესო საუბრები ცხოვრებისეულ საკითხებზე, გარდასულ დროსა და ისევ და ისევ ხელოვნებაზე. ვუსმენდი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი ამ ორი მოსიყვარულე ადამიანის გარემოში...

ბატონი დიდიმი ძალიან ფრთხილი იყო და აზრის

დიდიმ მირცხულავა

გამოთქმისას დაფიქრებული საუბარი იცოდა. დირიჟორთა კოლეგიის ოქმებს იმხანად მე ვწერდი. რამდენიმე დღის შემდეგ მუზეუმში შემოივლიდა, შეამოწმებდა სწორად თუ იყო დაფიქსირებული მისი აზრი, ეს განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა, როცა საქმე თეატრში ახალგაზრდა მომღერლის მიღება-არმიღებას ეხებოდა — არ მინდა შევცდე, არ მინდა ჩემი ნათქვამით ვინმე დავაზარალოო...

ბატონი დიდიმ მირცხულავა გარდაიცვალა... თეატრმა, კონსერვატორიამ, მუსიკალურმა საზოგადოებამ, დიდი პატივით გააცილა უკანასკნელ გზაზე, მერე კი ყველასათვის, ყველაფერი ჩვეულებრივ კალაპოტში ჩადგა, გარდა ერთი ადამიანისა. ეს ადამიანი მისი ერთგული მეუღლე და მეგობარი, ქალბატონი ნატა იყო. რამდენჯერმე მოვინახულე, ძალიან უჭირდა უდიდიმობა, ტკივილის დაფარვას ცდილობდა, თუმცა არ გამოსდიოდა, ვუსმენდი, ძნელი იყო სანუგეშო სიტყვების მოძებნა...

2002 წლის ზაფხულში ჩვენმა თეატრმა თავისი 150-ე საიუბილეო სეზონი ზაქარია ფალიაშვილის „დაისით“ დახურა, რომელიც დიდიმ მირცხულავას დაბადების 90-ე წლისთავს მიეძღვნა. თეატრის გაზეთმა „ქნარი“, ვრცლად გააშუქა მისი ცხოვრება და შემოქმედება. სპექტაკლზე მოვიწვიეთ ქალბატონი ნატა ჭავჭავაძე, ყველანაირად შევეცადეთ ცოტათი მაინც გაგვექარვებინა სევდა. ქალბატონმა ნატამ სპექტაკლის შემდეგ გულითადი მადლობა გადაუხადა თეატრის საზოგადოებას, ბატონი დიდიმის ხსოვნისა და დაფასებისათვის... საოცრად ემოციური საღამო იყო...

...მერე მე ამერიკაში წამოვედი, თუმცა ქალბატონ ნატასთან ურთიერთობა არ გამიწყვეტია, დროდადრო ვეხმიანებოდი. უკვე დაბრმავებულს დისშვილი და მისი მეუღლე მზრუნველობას არ აკლებდნენ... 2007 წლის ზაფხულში საგანგებოდ დავურეკე ბატონი დიდიმის 95-ე წლისთავთან დაკავშირებით. ავად იყო... ცოტა ხანს ვისაუბრეთ, მითხრა — წარმოგიდგენია? რას ვიფიქრებდი თუ დიდიმის გარეშე 10 წელს გავძლებდიო. სინანული გამოვთქვი, რომ ამ საიუბილეო თარიღს ვერაფრით გამოვეხმაურე და დავპირდი 100 წლისთავთან დაკავშირებით უსათუოდ რამეს ვიღონებ-მეთქი. დარდიანად მიპასუხა — არა მგონია, მე იქამდე გავძლო, მაგრამ შენ თუ არ დაგავიწყდება, კარგი იქნებაო...

...მართლაც ასე მოხდა...

მე კი არ დამვიწყებია... ანდა რა დამავიწყებდა...

ციცინო ჯერვალიძე
2012 წლის აგვისტო, ნიუ-იორკი

ციცინო ჯერვალიძე, პეტრე ხვედელიძე

კაცი, რომელსაც მუსიკა ძალიან უყვარს...

ჟურნალ „მუსიკის“ ახალი ნომერი მივიღე... წავიკითხე... დიდებულია, დიდებული... აუცილებლად უნდა გაეცნო... შეგინახავ, ან გამოგიგზავნი ... – ასე იწყებს ჩემთან სატელეფონო საუბარს ამერიკის უხუცესი ქართველი ემიგრანტი, ბატონი პეტრე ხვედელიძე, როცა თბილისიდან ჟურნალ „მუსიკას“ მორიგი ნომერი ჩამოუვა, თუმცა გამოგზავნამდე ვერ ითმენს და დეტალურად მაცნობს ჟურნალში განთავსებულ მასალებს. მე ვუსმენ და ვფიქრობ, პერიფრაზი – კაცი, რომელსაც მუსიკა ძალიან უყვარს, სავსებით შეესაბამება ბატონ პეტრეს, მაგრამ ეს მხოლოდ უბრალო სიყვარული არაა, უსმენ და გიკვირს, ადამიანი, რომელსაც მუსიკალური განათლება არ მიუღია, ასე ღრმად ერკვევა მუსიკალურ ნიუანსებში, მუსიკის ისტორიაში, თვალს ადევნებს საერთაშორისო მუსიკალურ ცხოვრებას, მხედველობიდან არ გამორჩება ქართველთა გამოსვლები მსოფლიო საოპერო სცენებზე, ხოლო თუ რომელიმე მათგანი კენედის ცენტრს ეწვევა, არათუ მხოლოდ სპექტაკლს

დაესწრება, ახალი ემიგრანტი ქართველი მეგობრების თანხლებით, არამედ სპექტაკლის შემდეგ მომღერალს მოინახულებს, გაეცნობა, გაამხნევებს, წარმატებას მიულოცავს და აუცილებლად სადილზე დაპატიჟებს. ეს მისი ცხოვრების ჩვეული წესია...

...ერთხელ, როცა ჩვეულებისამებრ ჟურნალ „მუსიკის“ მორიგ ნომერზე გატაცებით მესაუბრებოდა, ვეღარ მოვითმინე და ვკითხე — რა არის თქვენთვის მუსიკა, როდის და როგორ შემოვიდა თქვენში, ყველაზე თბილი მოგონებები, რაც მუსიკასთან გაკავშირებთ–მეთქი... პასუხი გრძელი გამოვიდა, მაგრამ იმდენად საინტერესო, რომ აღარ გამიჩერებია, ბოლომდე ისე მოვუსმინე...

„მუსიკა ჩემთვის არის სულიერი სიმშვიდის, სასიამოვნო და ხშირად ამაფორიაქებელი გრძნობის მომტანი. ალბათ, განგიცდიათ, ზოგჯერ ისეთი მოტივი მოგხვდება სმენის არეალში, რომელიც გაგახსენებს განვლილი ცხოვრების ხან სასიამოვნო, ბედნიერ, ხან კი მძიმე წუთებს. მუსიკა, როგორც ჩემზე ჭკვიან ხალხს უთქვამს, აუხსნელი გრძნობებითაა სავსე... ჟურნალთან „მუსიკა“ ბატონმა გულბათ ტორაძემ და ქალბატონმა რუსუდან ქუთათელაძემ დამაკავშირეს, რისთვისაც მადლიერი ვარ მათი. ახლახან ვესაუბრე ჟურნალის მთავარ რედაქტორს, ბატონ მიხეილ ოძელს, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩემზე... დიდი ხანია, ვღებულობ მეტროპოლიტენ ოპერის ჟურნალს „ოპერა“, რომელშიც გაშუქებულია მსოფლიო საოპერო ხელოვნების ცხოვრება, ამ ჟურნალს საქართველოშიც ვაგზავნი... ვერ ვიტყვი, რომ ოპერა განსაკუთრებით მიყვარს, საერთოდ ძალიან მიყვარს კლასიკური მუსიკა...

...ჩემს ოჯახში მუსიკოსი არავინ ყოფილა, ბავშვობაში ხშირად დავდიოდით ნათესავებთან, ხაშურის ახლოს, სოფელ ჭალაში, სადაც ყოველ საღამოს ლხინი იმართებოდა. ჩემი მესამე ძმა და და — ქეთევანი, ყოველთვის მღეროდნენ, მე კი არც ხმა მქონდა და არც სმენა... რასაკვირველია, სკოლაში ადრევე გვქონდა მუსიკის გაკვეთილები. ჩემი მუსიკის მასწავლებელი იყო დავით კავსაძე, ვიოლინოთი გვაძლევდა ტონს. მართალია, მან ჩემში ხმა და სმენა ვერ აღმოაჩინა, მაგრამ ძალიან ვუყვარდი, რადგან ბავშვობიდან ბევრს ვკითხულობდი და ბევრი რამ ვიცოდი კომპოზიტორთა ცხოვრებაზე. კახი კავსაძემ მითხრა, დავითი მამაჩემი იყოო, თუმცა, მე უფრო ასაკოვანი მახსოვს... არ ვიცი, უნდა გავარკვიო... ძალიან შემიყვარდა მუსიკა, ზაფხულობით მუშტაიდის პარკში დიდი კონცერტები იმართებოდა, სადაც ოპერის მომღერლებთან ერთად, მარჯანიშვილისა და რუსთაველის მსახიობებიც გამოდიოდნენ. მე კონცერტებზე მეგობრებთან ერთად მივდიოდი, თუმცა ისინი ჩემსავით ბოლომდე არ რჩებოდნენ, მალევე გარბოდნენ...

ჩვენს ოჯახში მოხდა კიდევ ერთი უცნაური შემთხვევა, ვიღაცამ მანდოლინა მაჩუქა, ჩემდა გასაოცრად, მალე ვისწავლე დაკვრა... მერე ჩემმა რძალმა პიანინო იყიდა, პიანინო საერთოდ ძალიან მიყვარდა, ვიფიქრე — თუ მანდოლინას ვუკრავ, პიანინოსაც ვისწავლიმეთქი. მართლაც, დავიწყე ჩემით სწავლა... ჩემმა დიდუბელმა მეგობრებმა რომ გაიგეს ჩემი პიანინოს ამბავი, დამცინეს და თავი დავანებე...

...ისე დავტოვე საქართველო, ოპერის თეატრში არ ვყოფილვარ, თუ არ ჩავთვლით ბავშვობაში, მეგობრებთან დადებულ ნიძლავზე რომ შევიპარე და მალევე გამოვედი, მეშინოდა ჩემს უფროს ძმასა და მის მეგობრებს, ან ბიძაჩემ, მწერალ ლევან მეტრეველს არ გადავყროდი, ისინი ოპერის დიდი მოყვარულები იყვნენ და ხშირად დადიოდნენ თეატრში. საოპერო ხელოვნებას პირველად ომის შემდეგ, პარიზის ულამაზესი ოპერის თეატრში ვეზიარე ბიზეს „კარმენით“... ამერიკაში, სანამ ნიუ–იორკში ვცხოვრობდი, ისე ვიყავი დატვირთული სწავლითა და მუშაობით, რომ თეატრისათვის არ მეცალა... თუმცა, კოლეჯში სხვადასხვა სავალდებულო საგნებიდან მუსიკა ავირჩიე და ამ საგანში ყოველთვის საუკეთესო ნიშნები მქონდა.

...ერთხელ ცხონებული ტატა თვალჭრელიძე რომ ჩამოვიდა და საბჭოთა კავშირიდან წამოსულ ებრაელ მეგობრებს შეხვდა, მაშინ საგანგებოდ ჩავედი ვაშინგტონიდან ნიუ–იორკში და ყველანი მეტროპოლიტენ ოპერაში დავპატიჟე, ვერდის „აიდა“ მოვისმინეთ...

...ქართველი მომღერლებიდან სატელეფონო ურთიერთობა მაქვს ბატონ ნოდარ ანდღულაძესთან. ვაფასებ, როგორც პირველ მომღერალს, რომელმაც აითვისა და საქართველოში შემოიტანა იტალიური სიმღერის იდუმალება, მრავალი კარგი მომღერალი აღზარდა, ეწევა დიდ სამეცნიერო მოღვაწეობას, უაღ-

ლადო ათანელი, პეტრე ხვედელიძე, მანანა ჩიქოვანი

რესად საინტერესო პიროვნებაა... სხვათა შორის, დეკემბერში დაბადებიდან 85 წელი უსრულდება, აუცილებლად უნდა მივულოცო...

...ნათქვამია, გემოვნებაზე არ დაობენო, მე მუსიკოსი არ ვარ, უბრალოდ მოყვარული ვარ. ძალიან მიყვარს „სამი „ბ" — ბეთჰოვენი, ბახი და ბრამსი. საოპერო ხელოვნებაში ძალიან ვაფასებ ვერდისა და პუჩინის შემოქმედებას, მოცარტს. ქართველი კომპოზიტორებიდან ვიცნობ ფალიაშვილს, არაყიშვილს, უფრო ძველებს, ვიდრე ახლებს, მომისმენია სულხან ცინცაძე, გია ყანჩელი. ძალიან მიყვარს რევაზ ლაღიძე...

...ვწუხვარ, რომ ცივი ომის დროს ძალიან ჩამოვრჩი ქართულ სინამდვილეს, თუმცა ნებსით თუ უნებლიეთ, ყოველთვის ჩემი სამშობლოს ბედთან ვიყავი დაკავშირებული და ასეა დღემდე.... ძალიან მიყვარს და სიამოვნებით ვკითხულობ ჟურნალ „მუსიკას", ბევრ საინტერესო მასალას ვეცნობი, მთელი სულით და გულით ველოდები ყოველ ნომერს, მისი დიდი გულშემატკივარი ვარ, მაგრამ არ მომწონს კულტურის სამინისტროს დახმარებით რომ გამოდის, იმიტომ კი არა, რომ რაიმე საწინააღმდეგო მაქვს კულტურის სამინისტროსი, არა, მაგრამ ამერიკაში ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე მივეჩვიე და კარგად ვიცი თავისუფლების, დამოუკიდებლობის, ადამიანთა უფლებების პატივისცემის, პიროვნული ღირსებების, შიშის გარეშე ცხოვრების ფასი. ივივე მინდა იყოს ჩემს ქვეყანაშიც, მინდა, რომ მუსიკოსები და საერთოდ, ხელოვნების მოღვაწენი საკუთარი თავის, საკუთარი ნაშრომების ბატონ-პატრონები იყვნენ, სულიერადაც და მატერიალურადაც, საკუთარი სახსრებითა და ხალხის შემოწირულობით გამოსცემდენენ არა მარტო ჟურნალს, არამედ აწყობდნენ მრავალგვარ შემოქმედებით სანახაობებს, ისე, როგორც აქ, ამერიკაში, ხდება".

საუბარი პეტრე ხვედელიძესთან ჩაიწერა
ციცინო ჯერვალიძემ
ვაშინგტონი 2012 წლის სექტემბერი

P.S. ჩვენ არა მხოლოდ ვკითხულობთ ჟურნალ „მუსიკას“, არამედ ახლო მეგობრებსაც ვაცნობთ, მერე თავს ერთად ვუყრით, რომ პირველივე შესაძლებელ შემთხვევაში, ამერიკის კონგრესის ბიბლიოთეკას გადავცეთ, ამგვარად იქ ჟურნალ „მუსიკის“ არაერთი ნომერი ინახება.

რედაქციისაგან:

ჟურნალ „მუსიკის“ რედაქცია გააკვირვა ორიოდე წლის წინანდელმა გამოხმაურებამ ამერიკიდან. მუსიკისმცოდნე რუსუდან ქუთათელაძეს დაუკავშირდა ქართველი ემიგრანტი პეტრე ხვედელიძე და გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებები ჟურნალ „მუსიკის“ შესახებ, რაც მას მუსიკისმცოდნე გულბათ ტორაძისა და სოფიო ჯერვალიძის დახმარებით მიუღია. მას შემდეგ ეს კონტაქტი არ შეწყვეტილა.

ახლახან ბ-ნი პეტრე ჩვენს რედაქციასაც დაუკავშირდა... ძალზედ გაგვახარა და თან გაგვაოცა ასეთმა ყურადღებამ.

პეტრე ხვედელიძე არის უხუცესი ქართველი ემიგრანტი, საზოგადო მოღვაწე, რომელსაც სამშობლოს სიყვარული მუდამ თან სდევს, რაც მის ბიოგრაფიაშიც ისახება. 1939 წელს იგი გაიწვიეს ჯარში. ომის დაწყებისთანავე იბრძოდა სხვადასხვა ფლანგზე და მიღებული აქვს არაერთი ჯილდო. მან გამოიარა ტყვეობა, იყო ბრანდენბურგის სასწავლო პოლკის მოხალისე, შემდეგ ქართული ლეგიონის მეომარი, რომელიც მოგვიანებით დე გოლის ნაწილებს შეუერთდა, ასევე მსახურობდა საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონში, იბრძოდა ვიეტნამის ომში, სადაც მძიმედ დაიჭრა და სამწლიანი მკურნალობის შემდეგ, როგორც ინვალიდი გაათავისუფლეს საფრანგეთის უცხოელთა ლეგიონიდან. მას შემდეგ პეტრე ხვედელიძემ ხელი მიჰყო სწავლას: დაამთავრა ელექტრონიკის ტექნიკური სასწავლებელი საფრანგეთში, 1956 წელს კი გაემგზავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში სწავლის გასაგძელებლად. 1958 წლიდან იყო აშშ-ში ქართული სათვისტომოს გამგეობის წევრი, შემდეგ მდივანი. 1967 წლიდან 1985 წლამდე ბ-ნი პეტრე მუშაობდა „ამერიკის ხმის“ ქართულ განყოფილებაში. რედაქციაში მუშაობისას მიღებული აქვს სიგელები და მადლობები. იგი ამჟამად ცხოვრობს ვაშინგტონში და წერს მემუარებს.

ბ-ნი პეტრე ქართული კულტურისა და კერძოდ მუსიკის დიდი მოყვარული და გულშემატკივარია, რისთვისაც მას კიდევ ერთხელ დიდი მადლობა!

ქ-ნი ციცინო ჯერვალიძე, რომლის მეშვეობითაც მივიღეთ წინამდებარე ინტერვიუ პეტრე ხვედელიძესთან და მოგონება დირიჟორ დიდიმ მირცხულავაზე („რაც არასდროს გავიწყდება...“), 1977-2004წწ. მუშაობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში; 1979 წლიდან 2004 წლამდე ხელმძღვანელობდა ამავე თეატრის მუზეუმს. იყო ამიერკავკასიის ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრი. არის საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაციის წევრი. 1986 წლიდან მისი წერილები საოპერო ხელოვნებაზე იბეჭდება რესპუბლიკის წამყვან გაზეთებში. 1983-84 წლებში თეატრის პარალელურად მუშაობდა კინოსტუდია „ქართულ ფილმში“, იყო რეჟისორ თენგიზ აბულაძის ასისტენტი ფილმში „მონანიება“; 1988-90 წლებში მუშაობდა ცნობილი კინოდოკუმენტალისტის, რეჟისორ კოტე კერესელიძის ფილმებზე (ზაქარია ფალიაშვილი, ვიქტორ დოლიძე, დავით ბადრიძე); 1990-1995 წლებში სწავლობდა ტელე-კინო სარეჟისორო ფაკულტეტზე; 1992-1993 წლებში საქართველოს ტელევიზიის I არხის დილის პროგრამაში „გამარჯობა, საქართველო“, ამზადებდა სიუჟეტებს საოპერო ხელოვნებაზე. 2001 წელს თბილისის ოპერის თეატრის 150 წლისთავთან დაკავშირებით ბატონ ნოდარ ანდღულაძესა და ზურაბ ლომიძესთან ერთად დააარსა და 2004 წლამდე რედაქტორობდა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გაზეთს „ქნარი“.

2004 წლიდან იწყებს უხუცესი ქართველი ემიგრანტისა და საზოგადო მოღვაწის ბატონ პეტრე ხვედელიძის ბიბლიოთეკისა და პირადი არქივის დამუშავებას. 2008 წლიდან არის ემიგრანტული ჟურნალის „თანამემამულე“ სარედაქციო საბჭოს წევრი. „პარიზიდან ვაშინგტონამდე საქართველოზე ფიქრით“ მისი II წიგნია. იგი აგრძელებს მუშაობას ამ მიმართულებით და გამოსაცემად ამზადებს ვიქტორ ნოზაძის, ლეა ფლურის, რუთ ნოიკომის, ილია კუჭუხიძის, ალექსანდრე მანველიშვილისა და სხვათა წერილებს გაერთიანებული სათაურით „ევროპიდან ამერიკამდე საქართველოზე ფიქრით“.

როდამ ჯანდიერი

ბედის ირონია

მრავალი წლის განმავლობაში ქართულმა სავიოლინო სკოლამ არაერთი ნიჭიერი და უაღრესად კვალიფიციური მევიოლინე აღუზარდა მუსიკის მოყვარულთა ფართო აუდიტორიას. საამაყოა, რომ ეს პროცესი ჩვენს დღეებშიც გრძელდება და დღესაც გვევლინებიან ის მევიოლინეები, რომელთა მკაფიო ტალანტის პირველ გამობრწყინებას – ცაზე მეტეორის გაელვებას თუ შევადარებთ.

ასე მოხდა შორეულ 1960 წელს, როდესაც 27 იანვრიდან 12 თებერვლის ჩათვლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკის დედაქალაქ ბაქოში გაიმართა ამიერკავკასიის ფორტეპიანოსა და ხემიანი საკრავების მუსკოს-შემსრულებელთა I რეგიონალური კონკურსი, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლამდე ტრადიციულად ყოველ 4 წელიწადში შენაცვლებით იმართებოდა ამიერკავკასიის სამივე რესპუბლიკის დედაქალაქში. მიუხედავად იმისა, რომ ამ მოვლენიდან თითქმის 53 წელი გვაშორებს, ჩემი ღრმა რწმენით, სამართლიანად მიმაჩნია – კიდევ ერთხელ მოვიგონოთ ამ მუსიკალური პაექრობის არაერთი მღელვარე დღე და დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ის ზოგიერთი ფაქტი, რომელიც დაუმსახურებლადაა მიჩქმალული.

კონკურსის I და II ტური მიმდინარეობდა უ.ჰაჯიბეკოვის სახ.ბაქოს სახელმწიფო კონსერვატორიის მცირე დარბაზში, ხოლო III ტურზე კონკურსანტები ორკესტრთან ერთად გამოვიდნენ მ.მაგომაევის სახ. სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში.

ცნობილია, რომ ბაქოს კონკურსი — ყველა სპეციალობის ქართველ მუსიკოს-შემსრულებელთა სრული ტრიუმფით დასრულდა.

ამ მოგონებებში მე მხოლოდ მევიოლინეთა კონკურსს შევეხები, რომლის ჟიური შედგებოდა სამივე რესპუბლიკის ხემიან საკრავთა წამყვან პროფესორებისაგან და მოსკოვიდან კი საგანგებოდ იყო მოწვეული XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მევიოლინისა და პედაგოგის, პროფესორ დავით ოისტრახის ასისტენტი, პროფ. პეტრე ბონდარენკო. ჟიურის თავჯდომარეობდა სახელგანთქმული აზერბაიჯანელი დირიჟორი ნიაზი.

ქართველ მუსიკოსებთაგან განსაკუთრებით თავი ისახელა ორმა დამწყებმა მევიოლინე გოგონამ: 17 წლის როდამ ჯანდიერმა და 18 წლის ირინე იაშვილმა. ორივე მათგანი I პრემიის ლაურეატი გახდა და დღესაც ისინი, პროფესორის წოდებით, ერთგულად ემსახურებიან დღეისათვის უკვე დიდი ტრადიციების მქონე ქართულ სავიოლინო სკოლას.

შესანიშნავმა ქართველმა პედაგოგმა — პროფ. ლ.შიუკაშვილმა მუსიკოსთა ამავე ასპარეზობაზე წარადგინა 14 წლის ლიანა ისაკაძე — კონკურსგარეშე მონაწილედ. როგორც ქალბატონმა როდამმა ამიხსნა, ზოგიერთ ცნობარში შეცდომით არის აღნიშნული ქ-ნ ლიანას „ბაქოს''-ს I კონკურსის ლაურეატობა, ვინაიდან ის იქ უკრავდა კონკურსგარეშე.

უნდა ითქვას რომ კონკურსზე პროფ. ლუარსაბ იაშვილის, შემდგომში აღიარებულ 3 მევიოლინე ქალიშვილთაგან, შუათანა — ირინეს გამარჯვება თუ მოსალოდნელი იყო, ერთი შეხედვით თითქოს სრულიად მოულოდნელად — ზ.ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის, ე.წ „ნიჭიერთა ათწლედი''-ს X კლასელმა, ტანმორჩილმა და გამხდარმა მოსწავლემ, როდამ ჯანდიერმა თავისი ოსტატობა, ღრმა ერუდიცია, მუსიკალურობა და ნაწარმოების სანიმუშო აკადემიური შესრულება გამოამჟღავნა. იგი ვიოლინოზე დაკვრას ბავშვობიდანვე ეზიარა ცნობილ პედაგოგ (შემდგომში პროფესორ) ბ-ნ შოთა შანიძის ხელმძღვანელობით.

ნაწარმოებების შესრულების მისმა მანერამ კონკურსის პირველი ტურიდანვე მიიქცია ყურადღება და საყოველთაო სიყვარული (არ მერიდება ამ სიტყვის) დაიმსახურა.

საკონკურსო პროგრამაც ისე იყო შედგენილი, რომ მისი სირთულე და მრავალფეროვნება ცოდნის სრულ კონცენტრაციას მოითხოვდა (I ტური: ი. ს. ბახი — Grave da Fuga a-moll სონატიდან, ლ. ვან ბეთჰოვენი — სონატა N 5 I ნაწ., კ.სენ-სანსი — ე.იზაი — ეტიუდი ვალსის ფორმით; IIტური: ჰ.ვენიავსკი — კონცერტი №2 d-mool II, III ნაწ., პ.ჩაიკოვსკი — „ფიქრები'', პ.ჩაიკოვსკი — ვალს-სკერცო, ნ.პაგანინი — კაპრისი N 24; III ტური: ი.კონიუსი — კონცერტი e-moll (ერთნაწილად, სიმფონიურ ორკესტრთან ერთად). დასკვნით საღამოზე როდამმა შეასრულა ჰ. ვენიავსკის №2 კონცერტის II და III ნაწილი სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა ნიაზი. უეჭველად დიდი პატივისცემით უნდა მოვიხსენიოთ ნიჭიერი პიანისტი ელენე დვალი, რომელმაც გამარჯვებულს მთელი კონკურსის განმავლობაში ღირსეულად გაუწია საფორტეპიანო თანხლება.

სავიოლინო რეპერტუარში კარგად გათვითცნობიერებული პიროვნება, როდამ ჯანდიერის საკონკურსო პროგრამის გაცნობის შედეგად, მყისვე მიხვდება, რომ ამ ნაწარმოებების უმეტესობა მრავალი ათეული წელია ამშვენებს მსოფლიოში აღიარებულ ამა თუ იმ კორიფე მევიოლინეს საკონცერტო რეპერტუარს, თუმცა თხზულებათა ამგვარი შეფასება შეიძლება ნაკლებად ეხებოდეს კონკურსანტის მიერ III ტურში შესრულებულ იულიუს კონიუსის ერთნაწილიან სავიოლინო კონცერტს.

ი. კონიუსი (1869-1942) რიგითი მევიოლინე გახლდათ. ვფიქრობ, მისი უფროსი ძმის — მოსკოვის კონსერვატორიის ცნობილი თეორეტიკოსისა და კომპოზიტორის პროფ. გიორგი კონიუსის (1862-1933) რჩევით მევიოლინემ 1896 წელს, ასევე მოსკოვის კონსერვატორიის — თავის აღიარებულ პროფესსორ — იან გრჟიმალის, დიდი პატივისცემის ნიშნად მიუძღვნა ეს უაღრესად მღელვარე და რომანტიკული პათოსით გამსჭ-

ვალული კონცერტი, რომელიც შედარებით იშვიათად სრულდება, თუმცა ამ ნაწარმოების მაღალი ღირსება ნათლად დაადასტურა იმ სამმა ერთიმეორეზე უკეთესმა აუდიო-ჩანაწერმა, რომელიც ამას წინათ მოვისმინე ერთერთ ვებ-გვერდზე და რომლის შემსრულებლები იყვნენ თანამედროვეობის სამი უდიდესი მევიოლინე: იაშა ჰეიფეცი, იცხაკ პერლმანი და რუდოლფ კიოლმანი....

ბაქოს კონკურსის დამთავრებისთანავე, გამარჯვებულ მევიოლინეებს მხურვალედ ულოცავდნენ ჟიურის წევრები და რიგითი მსმენელები, რომელთა შორის აღმოჩნდა გამოჩენილი აზერბაიჯანელი კომპოზიტორი ყარა ყარაევი. მან როდამის მისამართით აღტაცებით წამოიძახა: ''Вот кто будет играть в Карнеги-холле''. იმავე დღეებში უაღრესად გულთბილი და შთამბეჭდავი სიტყვები წააწერა ქ-ნ როდამის ფოტოსურათს ბ-ნმა ნიაზიმ: ''Желаю 10 000 побед по всем эстрадам Мира''.

მართლაც, დამწყებ ნიჭიერ მევიოლინეს წინ დიდი პერსპექტივები ელოდა: სწავლის გაგრძელება კონსერვატორიაში, ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავება, ახალ-ახალი, მისთვის უცნობი ნაწარმოებების ათვისება და მათი გამოტანა ფართო აუდიტორიის წინაშე.

ეს ყველაფერი როდამს რეალურად უნდა ახდენოდა, რადგანაც კონკურსის შესახებ მოსკოვს სასწრაფოდ გაგზავნილი ინფორმაციის შედეგად, ხალასი ნიჭით დაჯილდოვებულ დამწყებ მევიოლინეთი სერიოზულად დაინტერესდა ამ ურთულესი საკრავის XX საუკუნის ერთ-ერთი დიდოსტატი პროფესორი დავით ოისტრახი.

ეს ფაქტი იმიტომაც იყო გასათვალისწინებელი, რომ ერთი წლის შემდეგ, 1961 წელს მოსკოვში უნდა ჩატარებულიყო მუსიკოს-შემსრულებელთა საკავშირო კონკურსი, რომელზეც მაშინდელი სსრ კავშირის ახალგაზრდა მუსიკოსებთან ერთად, უეჭველად უნდა მიეღოთ მონაწილეობა ამიერკავკასიის რეგიონის კონკურსის ახალ ლაურეატებს.

ეს ჩანაფიქრი მართლაც ჰქონდა გოგონას პედაგოგს შოთა შანიძეს, მაგრამ ვფიქრობ, მან ვერ გაითვალისწინა საკავშირო კონკურსის უფრო ფართო მასშტაბურობა და მკაცრი მოთხოვნა-შეფასებანი, რომლითაც იხელმძღვანელებდა მუსიკოსთა ამ ასპარეზობის ჟიური.

უფრო მეტიც.

ის, რომ ,,ბაქოს'' ესოდენ რთულ და დამღლელ სამუსიკო ასპარეზობიდან ჩამოსულ გოგონასათვის აუცილებელი უნდა ყოფილიყო უაღრესად საფუძვლიანი დასვენება, ამის ნაცვლად პედაგოგი მას სისტემატურად ავალებდა სხვადასხვა მომცრო, ერთი შეხედვით ,,ეფექტური'' სავიოლინო პიესების შესწავლას, რომლითაც მოსწავლე გამოჰყავდა ამა თუ იმ საქალაქო პარტიულ-საზეიმო კონცერტებზე... ეს გახდა ძირითადი მიზეზი იმისა, რომ მევიოლინეთა ,,საკავშირო'' კონკურსზე უაღრესად გადაღლილი მოსწავლის მონაწილეობა — მხოლოდ პირველ ტურში გამოსვლით შემოიფარგლა. ეს მტკივნეული ფაქტი არამარტო როდამის პედაგოგმა და მშობლებმა განიცადეს, არამედ თვით დ.ოისტრახიც უაღრესად შეშფოთებული იყო, რადგან მან დაინახა ის დიდი საშემსრულებლო პოტენციალი, რომელიც მომავალში აუცილებლად უნდა განვითარებულიყო.

ბ-ნმა დავითმა საგანგებოდ მოიწვია თავის ბინაზე თავისი ასისტენტი, ქართველი მოსწავლე პედაგოგთან და დედასთან ერთად. მან ყურადღებით მოუსმინა გოგონას და გაიგო რა, რომ ახლოვდებოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში მისაღები გამოცდების დრო, დიდმა ხელოვანმა გულრწფელი და საოცარი სიტყვებით მიმართა როდამის დედას, ქ-ნ ელენეს:''Елена Константиновна, я Вам предлагаю следующее: в консерваторию Родам пусть поступит через год. Ей необходимо изучить новую скрипичную программу для международного конкурса. Мы хотим ее послать на конкурс им. Паганини в Италию. Она этого достоина. Вам надо потерпеть один год и потом все пойдет как по маслу. В Москве у Вас будет и квартира и дача и машина''.

...და მართლაც, იმავე წლის ივლისის თვეში, თბილისის კონსერვატორიის მევიოლინეთა გამოსაშვებ გამოცდებზე — სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარედ მონაწილეობის მიზნით, საქართველოში ჩამოსულმა პროფ. პ.ბონდარენკომ, ,,ნიჭიერთა ათწლედი''-ს

როდამ ჯანდიერი თავის მოწაფე მარია გელაიასთან ერთად

ახალკურსდამთავრებულ როდამს საგანგებოდ ჩაეწერინა ახალი სავიოლინო პროგრამა, რომელშიც შედიოდა ჰ.ერნსტის ერთ-ერთი ურთულესი ფანტაზია ჯ.როსინის ოპ. „ოტელო''-ს თემებზე.

საკვირველი ისიც იყო, რომ ,,ბაქოს'' კონკურსის გამაოგნებელი რეზონანსი, მოსკოვში ერთი წლის შემდეგაც ახსოვდათ სხვა გამოჩენილ მევიოლინე პედაგოგებს. ამის დასტური იყო საყოველთაოდ აღიარებულ პროფესორ იური იანკელევიჩის ასევე დიდი სურვილი იმასზედ, რომ ქართველ მოსწავლე-გოგონას სწავლა მის კლასში გაეგრძელებინა.

თბილისში დაბრუნებულ დედა-შვილს, პედაგოგმა შოთა შანიძემ ერთობ სუბიექტური აზრი განუცხადა: ,,რადგანაც როდამი ჩემს მიერ არის აღზრდილი და ამ პროცესს მე უდიდესი ენერგია და ცოდნა შევალიე, მიმაჩნია, რომ გოგონას შემდგომი გამოსვლები საერთაშორისო ასპარეზზე მხოლოდ და მხოლოდ ჩემი სახელით უნდა განხორციელდეს და სრულიად ზედმეტად მიმაჩნია ჩემი ნაღვაწით სხვა პედაგოგმა იხეიროს''. უნებლიედ გამახსენდა დიდი ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი გამონათქვამი, რომელმაც თავის გამგზავრება რუსეთში სწავლის გასაგრძელებლად — სიბნელიდან სინათლეზე გასვლას რომ შეადარა.

ბ-ნი შოთას ასეთი უცნაური განცხადება გახდა იმის საბაბი, რომ მშობლებმა გოგონა გადაიყვანეს პროფ. ლეო შიუკაშვილის კლასში.

აქვე არ შემიძლია არ მოგითხროთ, იმ ერთ-ერთ მტკივნეულ სცენაზე, რომლის უნებლიე მომსწრეც მე აღმოვჩნდი.

მრავალი წლის შემდეგ, როდესაც მხცოვან და დასნეულებულ პროფ. შოთა შანიძეს, მასთან სანახავად მისულმა მისი თაობის ერთ-ერთმა ახლობელმა ქალბატონმა, რომელმაც სხვათა შორის გაიხსენა 60-იანი წლების სხვადასხვა მუსიკალური მოვლენები, მას მორიდებულად ჰკითხა:,,ბატონო შოთა, რატომ ვერ ხვდებოდით მაშინ, რომ ,,კრემლს'' ვერ გადაახტებოდით;

სერგო (I ვიოლინო), შოთა (II ვიოლინო), ვახტანგი (ალტი), კოტე (ვიოლონჩელო) შანიძეები

ნუთუ ვერ ხვდებოდით რომ თქვენი მოსწავლის საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, უპირველეს ყოვლისა, თქვენი გამარჯვება იქნებოდა“....

პასუხად პროფესორს თვალებზე სინანულის ცრემლები მოადგა.

არ შეიძლება ორიოდე სიტყვით არ მოვიხსენიო, პროფ. შ.შანიძის ცხოვრებისეული და პედაგოგიური გზის ის ზოგიერთი დეტალი, რომელიც მან განვლო.

როდესაც 1937 წელს, მოსკოვში დიდი წარმატებით (ამავე დროს შემდგომში დიდი ტრაგედიით) ჩაიარა საქართველოს კულტურისა და ხელოვნების დეკადამ, ქართველ ხელოვანთა სხვადასხვა სფეროში მონაწილე ბრწყინვალე კოჰორტის გვერდით ერთობ მორიდებულად გამოიყურებოდა ინსტრუმენტული მუსიკის სოლისტთა საშემსრულებლო დონე.

ქართული ხელოვნების ამ დარგის შემდგომი განვითარების მიზნით, 1938 წელს თბილისში გაიხსნა ვ.სარაჯიშვილის სახ. კონსერვატორიასთან არსებული ზ.ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლედი“, რომლის პედაგოგიური არსენალი ძირითადად უნდა დაკომპლექტებულიყო იმ ახალგაზრდა ქართველ ინსტრუმენტალისტთა მიერ, რომლებიც იმ პერიოდში ცოდნას იღრმავებდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის კონსერვატორიებში. ამ ახალგაზრდებს შორის აღმოჩნდნენ ქართული კულტურის დაუდეგარ პროპაგანდისტ დომენტი შანიძის 4 ვაჟი: სერგო, შოთა, კოტე და ვახტანგი, რომლებმაც მოსკოვის კონსერვატორიაში მიიღეს ბრწყინვალე ინსტრუმენტული და საკვარტეტო მუსიკის საშემსრულებლო განათლება.

ვიოლინოს სპეციალობით ბ-ნი შოთას პედაგოგი იყო პროფ. ბორის სიბორი, რომელიც გახლდათ სი-

ძე მსოფლიო სავიოლინო სკოლის ერთ-ერთი მამამთავრისა და ბრწყინვალე პედაგოგის — ლეოპოლდ აუერისა.

საკვარეტეტო კლასში ძმები (სერგო (I ვ-ნო), შოთა (II ვ-ნო), კოტე (ვიოლონჩელო) და ვახტანგი (ალტი)) დაოსტატდნენ სახელგანთქმულ პროფესორ ევგენი გუზიკოვის ხელმძღვანელობით, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა ძმები შანიძეების ხემიან საკრავთა კვარტეტი.

ძმების დაუშრეტელ შრომას არაერთი წარმატება მოჰყვა.

ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ კონცერტზე, მათ გამოსვლა მოუწიათ ახალგაზრდა სვიატოსლავ რიხტერთანაც, მაგრამ 1941 წლის 22 ივნისს, მეორე მსოფლიო ომის რუსეთამდე მოღწევამ და ჯარში გაწვეულ ერთ-ერთი ძმის — ალტისტ ვახტანგის ფრონტზე დაღუპვამ, ამ ესოდენ უნიკალური შემადგენლობის კვარტეტს, უდროოდ შეაწყვეტინა არსებობა.

სამშობლოში დაბრუნებული ბ-ნი შოთა აქტიურად იწყებს საშემსრულებლო და განსაკუთრებით პედაგოგიურ მოღვაწეობას.

თბილისის კონსერვატორიაში, იგი ასისტენტად აიყვანა ცნობილმა მევიოლინემ, პროფ. მარკ ზატულოვსკიმ, რომელთან ურთიერთობამაც დამწყებ პედაგოგს ბევრი სარგებელი მოუტანა.

ქ-ნი როდამი იხსენებს: „1948 წლის ზაფხულში, როდესაც მე „ნიჭიერთა ათწლედში'' ჩავირიცხე, ჩემი პედაგოგი უნდა ყოფილიყო ლეო შიუკაშვილი, მაგრამ მოულოდნელად გარდაიცვალა სკოლის სავიოლინო კლასის ერთ-ერთი პედაგოგი მ.ლედნიკი და მისი კლასის მოსწავლეები ავტომატურად გადაიყვანეს ბ-ნი ლეოს კლასში, რის შედეგადაც მე აღმოვჩნდი შ. შანიძის მოსწავლეთა შორის. მას სისტემატურად დავყავდი პროფ. მ.ზატულოვსკისთან, რომელიც ყურადღებით აანალიზებდა ასისტენტის პედაგოგიურ ნამუშევარს.

1950-იანი წლების დასაწყისისათვის ბ-ნი შოთა ჩამოყალიბდა ვიოლინოს სწავლების ერთ-ერთ მცოდნე პედაგოგად, რომელსაც გამოქვეყნებული ჰქონდა ბავშვთათვის ვიოლინოზე დაკვრის ათვისების სასწავლო მეთოდურ-მუსიკალური კრებული. მოგვიანებით მას მოჰყვა ქართველ კომპოზიტორთა სხვადასხვა ნაწარმოებების — სავიოლინო ტრანსკრიპციები და ზ.ფალიაშვილის ოპერების თემებზე შექმნილი ფანტაზია ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, რომელიც არაერთხელ დიდი წარმატებით შესრულდა. იმავე პერიოდში მან დააარსა 12 მოსწავლე-მევიოლინეთა ანსამბლი, რომელმაც თითქმის 20 წელი იარსება. შემდგომში მან პროფ. ლუარსაბ იაშვილთან და პროფ. ლეო შიუკაშვილთან მხარდამხარ ქართულ სავიოლინო სკოლას აღუზარდა მრავალი მაღალი კვალიფიკაციის მუსიკოსი; მათ შორის ს.ცინცაძის სახ. საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის ორი წევრი: პროფ. თ.ბათიაშვილი და პროფ. ნ.ჟვანია.

დავუბრუნდეთ 1962 წლის ზამთრის დასაწყისს.

ამ დროს როდამი და მისი დედა, ქ-ნი ელენე სპეციალურად ჩავიდნენ მოსკოვში, რათა დ.ოისტრახის მითითებით, მის ასისტენტ პროფ. პ.ბონდარენკოს, ქართველი ვოგონასათვის — ახლა როგორც აბიტურიენტისათვის, ნახევარი წლის წინ — ივლისის თვეში დავალებულ ახალი სავიოლინო პროგრამისათვის მოესმინა. მასში შედიოდა: პ.ვერაჩინის სონატა, ჰ.ერნსტის ფანტაზია ჯ.როსინის ოპ. „ოტელო''-ს თემებზე, ნ.პაგანინის კაპრისები №№ 15,17, ჰ.ვენიავსკის 7 ეტიუდი-კაპრისი; პროგრამის მოსმენის შემდეგ პროფესორმა თავისი აღფრთოვანება შემდეგი სიტყვებით გამოხატა: ''Ей педагог уже не нужен!''.

დადგა იმ საბოლოო გადაწყვეტილების მიღების დრო, რომელზედაც უნდა გარკვეულიყო თუ სად გააგრძელებდა სწავლას ახალგაზრდა მევიოლინე.

მოსკოვიდან არ წყდებოდა გულთბილი ხასიათის წერილების მიღება, რომლებსაც ხელს აწერდა დ.ოისტრახის კლასის ფ-ნოს კონცერტმაისტერი ქ-ნი ბერტა ვერბიცკაია. ამ წერილებში იგი არ ფარავდა ახალგაზრდა მევიოლინესთან მომავალი შეხვედრებისა და მუშაობის დაუოკებელ სურვილს, რომელიც ფართო აუდიტორიის წინაშე ობიექტურად წარმოაჩენდა ქართველი ვოგონას ხალას ნიჭს.

თბილისში დაბრუნებულ ვოგონას მშობლებმა, უაღრესად ღრმა და ხანგრძლივი მსჯელობისა და ანალიზის შედეგად, მაინც ვერ გარისკეს და თავიანთი პირმშო, დიდ ქალაქში სწავლის გასაგრძელებლად მარტო ვერ გაგზავნეს...

ვფიქრობ, აქ ერთ-ერთი როლი, თვით ჯანდიერების ოჯახის მატერიალურმა მდგომარეობამაც ითამაშა.

ამგვარად, ვ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პროფ. ლეო შიუკაშვილის კლასში ჩაბარების შედეგად როდამის ცხოვრებაში დაიწყო აქტიური შემოქმედებითი გზა: როგორც სტუდენტისა, შემდგომ შესანიშნავი მევიოლინე-კონცერტანტისა და დღეს ღვაწლმოსილი პროფესორისა.

ათეული წლების მანძილზე, მას როგორც სოლისტს ჩატარებული აქვს სხვადასხვა ფორმის სავიოლინო მუსიკის უაღრესად შთამბეჭდავი კონცერტები და სონატური საღამოები. ქ-ნი როდამის მიერ შესრულებულ მრავალფეროვან და საინტერესო პროგრამას საფორტეპიანო თანხლებას უწევდა არაერთი ნიჭიერი პიანისტი. საქართველოს გარდა მას ეს გამოსვლები ჰქონდა მოსკოვში, ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებში და საფრანგეთის ქალაქ სენტ-ეტიენში - პიანისტ ელენე ძამაშვილ და მომღერალ ლიანა კალმახელიძესთან ერთად, თუმცა კი ქ-ნი როდამი სამშობლოში ჩატარებულ ყოველ კონცერტს, ყველაზე საპასუხისმგებლოდ თვლის.

ერთ-ერთი მათგანი იყო ახლახან უდროოდ გარდაცვლილი, შესანიშნავი პიანისტი ჯარჯი ბალანჩივაძე, რომელთანაც ქ-ნ როდამს წლების განმავლობაში მჭიდრო შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა.

დაუვიწყარი მერაბ კოსტავა — როგორც მუსიკისმცოდნე, ხომ პირდაპირ აღნიშნავდა იმ თვისებაზე, რომელიც ახალგაზრდა ქართველ მევიოლინეს მიერ ჯარჯისთან ერთად — 1971 წლის გაზაფხულზე თბილისის კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩატარებულ სოლო-კონცერტზე შესრულებული ერთ-ერთი ნაწარმოების, ი.ბრამსის სოლ მაჟორული სონატის შესრულებამ დაანახა. დიდი მამულიშვილი ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება''-ს 1971 წლის № 6 ნომერში დაბეჭდილ რეცენზიაში წერდა: „ახალგაზრდა მევიოლინეს პროფესიული დონე მთელი ძალით ბრამსის ურთულესი სონატის შესრულებისას გამოვლინდა. ეს სონატა ისეთი ქმნილებაა, რომლის მომგებიანობა დიდადაა განპირობებული შესრულების არტისტული დიაპაზონით. გამოსახვის საშუალებათა მრავალფეროვნებისა და სრულყოფილი აპარატის გარდა იგი მუსიკოსისაგან დიდ ძაბვისამტანიანობას მოითხოვს''.

შემდგომი წლებიც არამარტო სოლო საკონცერტო გამოსვლებს დაეთმო, არამედ მევიოლინე აქტიურ მონაწილეობას იღებს, ასევე ჯარჯი ბალანჩივაძის მიერ დაარსებულ — ორიგინალური შემადგენლობის ანსამბლ „კამერული მუსიკა''-ს თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში გამართულ კონცერტებში, რომლის პროგრამა შედგებოდა რ.შუმანის, ლ.ვან ბეთჰოვენის, რ.შტრაუსის, ა.შონბერგის, ო.მესიანისა და სხვა ავტორების იმ საფორტეპიანო კვარტეტებისა და ამა თუ იმ თხზულებებისაგან, რომლებსაც თვით ჯარჯი უკეთებდა ტრანსკრიპციებს ხემიან საკრავთა უფრო ფართო შემადგენლობისათვის.

ანსამბლის წევრები: რ.ჯანდიერი, მ.თომაძე (სოპრანო), ჯ.ბალანჩივაძე (ფ-ნო), ლ.ჩხეიძე (ვ-ნო), ი.ჯავახიშვილი (ვ-ნო), თ.ჩიქობავა (ვ-ნო), ი.ვოგიბედაშვილი (ალტი), რ.მაჩაბელი (ვ-ჩელო) ზ.დუჩიძე (ვ-ჩელო), ბ.დიაკვნიშვილი (კლარნეტი) და მ.ლორია (კონტრაბასი) ოსტატობას არ აკლებდნენ კლასიკოს კომპოზიტორთა არაერთ ნაკლებად ცნობილ მაღალმხატვრულ ნაწარმოებების სრულფასოვნად შესრულებას.

2004 წლის გაზაფხულზე ასევე დიდი გამოხმაურება ჰპოვა ქ-ნ როდამის მიერ, ნიჭიერ პიანისტ მამუკა სიხარულიძესთან ერთად ბეთჰოვენის 10-ვე სავიოლინო სონატის შესრულებამ, რომელსაც 3 საკონცერტო საღამო დაეთმო.

სონატური საღამოების ამ ციკლმა ისეთი რეზონანსი გამოიწვია, რომ ცნობილი მუსიკისმცოდნე რუსუდან ქუთათელაძე ამ კონცერტისადმი მიძღვნილ რეცენზიაში უაღრესად მართებულად აღნიშნავდა: „დღეს, როცა ჭეშმარიტი პროფესიონალიზმი დევალვაციას განიცდის, როცა მუსიკოსთა ყოფა ოდენ არსებობაა, აკადემიური საშემსრულებლო დონის შენარჩუნება, შემოქმედებითი მზადყოფნა, რომ გაბედულად შეცურდე ოკეანეში, რომელსაც ბეთჰოვენის სონატები ჰქვია, ნამდვილად თავგანწირვის ნიშანია!"...

ქ-ნი როდამის საშემსრულებლო-შემოქმედებითი პალიტრა რომ მრავალფეროვანია, ეს მკაფიოდ ჩანს მის ყოველწლიურ საკონცერტო გამოსვლებში.

2006 წლის გაზაფხულზე, მორიგი სოლო-კონცერტის პროგრამაში მან გამოცდილ კონცერტმაისტერ

ირინე პლატონოვასთან ერთად XVIII საუკუნის I ნახევარში მოღვაწე კომპოზიტორისა და მევიოლინე პ. ლოკატელის სონატა უაღრესად შთამბეჭდავად და ვირტუოზულად დაუპირისპირა ვენის კლასიკოსების – მოცარტის (არია, რონდო), ბეთჰოვენის (ფა-მაჟორული რომანსი) და რომანტიკოსების მენდელსონის („სიმღერის ფრთებზე''), პაგანინის (ლა მინორული სონატინა, კანტაბილე, პერპერტუუმმობილე, კამპანელა), შუბერტ-ჰეიფეცის (ექსპრომტი) და ასევე შუბერტ -ოისტრახის (ვალსი-კაპრისი) თხზულებებს.

ამ სტრიქონების ავტორს, აღნიშნული ნაწარმოებების უმეტესობა, სტუდენტობისას სხვადსხვა დროს თავად დაუკრავს საკონცერტო შესრულებით და შესანიშნავად აქვს აღქმული ის სილამაზე, სინატიფე და სირთულე, რომელიც ყოველ მათგანში ერთმანეთისაგან განსხვავებით შეიგრძნობა.

ცალკე განხილვას მოითხოვს პროფ. როდამ ჯანდიერის ის ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობა, რომელიც ნათლად გამოიხატა მის მიერ წლების განმავლობაში სისტემატურად ჩატარებულ კლასის კონცერტებში. მე მხოლოდ 2012 წლის 18 მაისს, თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში ჩატარებულ ერთ-ერთ მათგანზე მიღებულ შთაბეჭდილებას გაგიზიარებთ, რომელზედაც ბავშვებთან ერთად თვით მათმა აღმზრდელმაც მიიღო მონაწილეობა.

მოსწავლეთა წლოვანება, ვ.სარაჯიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორისთან არსებულ სამუსიკო სემინარიის II კლასელ ეკატერინე გელაშვილით დაწყებული, „ნიჭიერთა ათწლედის'' IX კლასელ მარიამ ბუღაძით მთავრდებოდა.

კონცერტზე აჟღერდა არამარტო დაბალ კლასელთათვის განკუთვნილი ის „წმინდა სავიოლინო'' თხზულებანი, რომელიც მრავალი ათეული წელია სამუდამოდ დამკვიდრდა მოსწავლეთა სასწავლო რეპერტუარში, არამედ აქვე შესრულდა ის ნაწარმოებები, რომელსაც ასრულებენ უკვე საყოველთაოდ აღიარებული ვიოლინოს კორიფეები.

მაგრამ შესრულებაცაა და შესრულებაც!...

აღტაცება ვერ დავფარე კონცერტის აბსოლუტურად ყველა, ხუთივე მონაწილის მიმართ, რომლებიც სცენაზე მკვიდრად მდგარნი – ასე აკადემიურად, ინტონაციურად სუფთად და უაღრესად მუსიკალურად ასრულებდნენ ნაწარმოებებს!

ორი პოპულარული საბავშვო სავიოლინო კონცერტი: რიდინგის (II , III ნაწ.) და ზეიცის (I ნაწ.) შეასრულა ორმა II კლასის მოსწავლემ – ეკატერინე გელაშვილმა (სამუსიკო სემინარია) და ელენე ჩხარტიშვილმა („ნიჭიერთა ათწლედი''), რომლებმაც დამაჯერებლად და აუღელვებლად გაართვეს თავი ნაწარმოების შესრულებას.

უფრო სერიოზული და რთული საშემსრულებლო ამოცანა ჰქონდათ დასაძლევი ასევე ორ VIII კლასელ გოგონას – ქეთევან გამგებელს (სამუსიკო სემინარია) და ანა ფანჩვიძეს („ნიჭიერთა ათწლედი"). მათ შეასრულეს:პუნიანი-კრეისლერის საყოველთაოდ ცნობილი „პრელუდია და ალეგრო'' და დიდი პოლონელი მევიოლინისა და კომპოზიტორის – ჰ. ვენიავსკის „ლეგენდა'', რომელიც თავისი სილამაზითა და ღრმა სევდიანი ელფერით მრავალი ცნობილი მევიოლინის რეპერტუარს ამშვენებს. პირველი ნაწარმოების საკმაოდ რთული ვარიაციული ფორმის შესრულება თუ ტექნიკურ მზადყოფნასა და გამახვილებულ ყურადღებას მოითხოვს, მეორე ნაწარმოებს თან უნდა სდევდეს რომანტიკული მუსიკისათვის დამახასიათებელი ემოციურობა და არტისტიზმი. ორივე მოსწავლემ დაუბრკოლებლად გადალახა ამ ნაწარმოებების ეს საშემსრულებლო მოთხოვნილებანი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო IX კლასელ მარიამ ბუღაძის („ნიჭიერთა ათწლედი'') ის წარმატება, რომელიც მან დამსახურებულად მოიპოვა სავიოლინო მუსიკის ორი შედევრის – მენდელსონის კონცერტის II, III ნაწილისა და სარასატეს „ინტროდუქცია და ტარანტელა''-ს შესრულებით.

ცნობილია ამ ორივე ნაწარმოების ის მასშტაბურობა, შეუდარებელი მუსიკალობა და ვირტუოზული მხარე, რომელიც მევიოლინესაგან მოითხოვს თავისი საშემსრულებლო პოტენციალის სრულად ამოქმედებას. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ორივე ნაწარმოები ერთ სუნთქვაზე შესრულდა და მსმენელის სამართლიანი მოწონება დაიმსახურა.

კონცერტის ბოლოს წინა ნომრად, შესრულდა ახალი ქართული საბავშვო პიესა ორი ვიოლინოსა და

ფ-ნოსათვის შექმნილი „ძველებური ვალსი'', რომლის ავტორი გახლავთ ქ-ნი როდამის და, ნიჭიერი კომპოზიტორი და თეორიული საგნების პედაგოგი — დინარა ჯანდიერი. ეს სასიამოვნო პიესა უშუალოდ და ლირიზმით შეასრულეს მარიამ ბუღაძემ და ანა ფანჩვიძემ.

ბოლო ნომრად მსმენელის წინაშე წარსდგა თვით პორფესორი როდამ ჯანდიერი, რომელმაც ჩვეული ოსტატობით შეასრულა მოცარტის № 5 კონცერტის სამივე ნაწილი და მენდელსონის პიესა „სიმღერის ფრთებზე''.

ასეთი, მე ვიტყოდი, ორიგინალური ფორმის კონცერტი, რომლის მონაწილენი არიან ვიოლინოს სპეციალური კლასის მოსწავლეები და მათი პროფესორი — უაღრესად იშვიათად ტარდება. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ ბრწყინვალე მუსიკოსის დაუღალავ ლტოლვას ესტრადისა და ფართო აუდიტორიისადმი, რაც სხვა პედაგოგებისათვის სანიმუშო მაგალითი უნდა იყოს.

ისევ ვიმეორებ, რომ კონცერტის წარმატება უკლებლივ ხუთივე მოსწავლის უზადო მომზადებამ განაპირობა, რომლებსაც უაღრესად შრომატევადი და ღირსეული თანხლება გაუწიეს კონცერტმაისტერებმა — თამარ საყვარელიძემ და ირინე პლატონოვამ.

ქ-ნ როდამს თამამად შეიძლება ვუწოდოთ ღვაწლმოსილი პედაგოგი, რადგანაც მის მიერ აღზრდილი მევიოლინეები — სამშობლოსა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ღირსეულად ეზიდებიან სერიოზული მევიოლინის მძიმე ჭაპანს. ესენი არიან: ლელა მჭედლიძე (თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერი, „მსოფლიო ორკესტრი მშვიდობისათვის" — ერთადერთი ქართველი წარმომადგენელი — დირიჟორი ვ.გერგიევი), კოტე ლემონჯავა (ე.მიქელაძის სახ. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის წევრი), იური კულიკოვი (ქ.მეხიკოს სიმფონიური ორკესტრი), დიანა ღარიბოვა (ქ.მეხიკოს სიმფონიური ორკესტრი), მარია ბელაია (იერუსალიმის ხელოვნების აკადემია), ნატო მეიფარიანი (გერმანია), ქეთევან აბიათარი (ვ.სპივაკოვის კამერული ორკესტრი „მოსკოვის ვირტუოზები''-სა და მსოფლიო ახალგაზრდული სიმფონიური ორკესტრის წევრი) და სხვები.

დაბოლოს, სულ ახლახან ქ-მა როდამმა დღის სინათლეზე გამოიტანა XX ს-ნის I ნახევარში გერმანიაში გამოშვებული მომცრო გრამფირფიტა, რომელზეც ჩაწერილია ბახისა და სკარლატის საფორტეპიანო ნაწარმოებები, მათი შემსრულებელი კი არის — მევიოლინის ერთ-ერთი წინაპარი — ბებიის ძმა (დედის მხრიდან) — ბ-ნი იოანე ანდრონიკაშვილი, რომელიც დღეს 117 წლისა იქნებოდა. ივი გარდაიცვალა 1970 წელს გერმანიაში. ამ პიროვნების ტრაგიკულ ცხოვრებაზე მსურს მოგითხროთ ორიოდე სიტყვით.

როგორც ცნობილია, ქართველთა სათაყვანო მეფის ერეკლე II-ის ერთ-ერთი შვილიშვილი — მარიამ ბაგრატიონი გათხოვილი იყო მეფის რუსეთის გენერალ ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილზე. ეს გენერალი გახლდათ XIX საუკუნის რუსეთ-ყირიმის ომის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი საბრძოლო მოვლენის, გურიაში, მდ. ჩოლოქთან თურქების წინააღმდეგ გამართულ ბრძოლაში (1854 წ.) გამარჯვებული, იმპერატორის არმიის ერთ-ერთი სახელგანთქმული მთავარსარდალი. სწორედ ამ გენერლის ერთ-ერთი შვილიშვილი გახლავთ იოანე სოლომონის-ძე ანდრონიკაშვილი.

ბატონი იოანე დაბადებულა 1895 წელს კახეთის სოფელ არაშენდაში, ოჯახში, რომელიც ყოფილა არაჩვეულებრივად მაღალი კულტურისა და მაღალი იდეალების მქონე და სწორედ ამ გარემოებამ იქონია ის სასიკეთო გავლენა, რომელმაც სამშობლოს აღუზარდა არაერთი ჭეშმარიტი მამულიშვილი.

1921 წელს საქართველოს გასაბჭოების შედეგად, ინტელიგენციასა და განსაკუთრებით ერეკლე II-ის შთამომავლებს მძიმე დრო დაუდგათ. მათ ყოველმხრივ ავიწროებდნენ (აქაც უნებლიედ მაგონდება იოსებ სტალინის ვლადიმირ ლენინისადმი გაგზავნილ ერთ-ერთი „გულითადი'' წერილის პატარა ნაწყვეტი:"Грузинскую интелингенцию надо уничтожить вдолъ и поперек''); ამის გამოძახილი იყო ის აჯანყება, რომელმაც 1924 წელს ქაქუცა ჩოლოყაშვილის მეთაურობით იფეთქა — საქართველოს რუსული ბოლშევიზმისაგან თავისდასაღწევად.

როგორ ცნობილია, ეს აჯანყება მარცხით დამთავრდა.

დამარცხებულთაგან ზოგიერთმა საზღვარგარეთ

გადახვეწით უშველა თავს. ზოგიერთი მათგანი მაშინ-დელმა „ჩეკა''-მ დააპატიმრა, მათ შორის იოანე ან-დრონიკაშვილის ძმა სოლომონი, რომელიც იმდრო-ინდელმა „უშიშროების'' ჯალათებმა სასტიკად აწამეს და შემდეგ დახვრიტეს. თვით ბატონი იოანე კი გერმა-ნიაში მოხვდა.

იოანე ანდრონიკაშვილმა ქალაქ მიუნხენში მიიღო მუსიკალური განათლება და როგორც პიანისტმა თან-დათანობით მიაღწია წარჩინებას. თავდაპირველად იგი მოღვაწეობდა როგორც აკომპანიატორი და საკმაოდ პატივცემული პიროვნება გახდა. როდესაც 1933 წელს გერმანიაში სათავეში მოვიდნენ ნაციონალ-სოციალე-ბი — ჰიტლერის მეთაურობით, ბატონი იოანე აღმოჩნ-და იმ გამოჩენილ მუსიკოსთა შორის, რომლებმაც არ დატოვეს გერმანია. ესენი იყვნენ: დირიჟორი ვილჰელმ ფურტვენგლერი, პიანისტი ვალტერ გიზეკინგი, კომ-პოზიტორი რიჰარდ შტრაუსი. ასევე გერმანია არ და-ტოვა იქ მოღვაწე დიდმა ქართველმა მწერალმა გრი-გოლ რობაქიძემ.

ვფიქრობ, რომ მათ ბოლომდე ვერ წარმოედგინათ ფაშიზმის ნამდვილი სახე.

დარწმუნებული ვარ, რომ ეს დიდი შემოქმედნი ერ-თმანეთს იცნობდნენ, მაგრამ უპირველესად აქ სულ სხვა რამის თქმა მსურს. საქმე ის არის, რომ დღეს ჩვენ ხელთაა XX საუკუნის I ნახევარში გერმანიაში გამოშ-ვებული ის ე.წ 5-წუთიანი გრამფირფიტა, რომლის თითოეულ გვერდზე მხოლოდ 5-წუთამდე ხანგრძ-ლივობის ნაწარმოების ჩაწერა ხერხდებოდა. მის ორი-ვე გვერდზე ჩაწერილია ქართველ პიანისტ იოანე ანდ-რონიკაშვილის მიერ შესრულებული ორი ნაწარმოები — ბახის „არია'' 147-ე კანტატიდან, რომლის საფორ-ტეპიანო ტრანსკრიფცია ეკუთვნის შესანიშნავ ინგლი-სელ პიანისტს — მარია ჰესს და დომენიკო სკარლატის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მი მინორული სონატა.

ეს ორივე ნაწარმოები ისეთი სრულყოფილებითა და ღრმა გემოვნებით არის შესრულებული, რომ პია-ნისტი თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ დიდ ხელო-ვანთა რიცხვს!

შეგახსენებთ, რომ გასული საუკუნის I ნახევარში ჩაწერილი მუსიკალური მასალის მონტაჟი ჯერ არ იყო პრაქტიკაში შემოღებული. ნაწარმოებები რამოდენიმე-ჯერ უნდა ჩაწერილიყო, ამ დუბლიაჟიდან საუკეთესოს ამორჩევამდე. ჩვენთვის ისიც კი უცნობია, არსებობს თუ არა ამ დიდი ხელოვანის სხვა აუდიო ჩანაწერები.

ახალგაზრდა პიანისტი იოანე ანდრონიკაშვილი
დეიდასთან ერთად

დღეს ამ გრამფირფიტის უნიკალური ჩანაწერი პო-

პულარულ ქართულ რადიო სადგურ „მუზა''-ს სტუ-დიაში დიდი სიფრთხილითა და ოსტატობით იქნა გადა-ტანილი CD დისკზე; დიდი ქართველი პიანისტის იოანე ანდრონიკაშვილის სამშობლოში მეორედ აღმოჩენის შესახებ ამავე რადიოსადგურის ეთერიდან მსმენელ-თა ფართო აუდიტორიას ამცნო ცნობილმა პიანისტმა, პროფესორმა რევაზ თავაძემ.

უაღრესად საინტერესოა ის ფაქტი, თუ როგორ აღ-მოჩნდა საქართველოში ეს უნიკალური გრამფირფიტა.

როდესაც მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შე-დეგად საბჭოთა კავშირისა და დასავლეთის ქვეყნებს შორის, მრავალი წლის განმავლობაში ე.წ. „ცივმა ომ-მა'' დაისადგურა, ამ ორ სამყაროს შორის ყოველგვა-რი კულტურული მოვლენების შესახებ ინფორმაციამ მინიმუმამდე დაიწია.

მარტო იმ სამარცხვინო ფაქტის გახსენება რად ღირს, როდესაც XX საუკუნის 60-იანი წლების შუა პე-რიოდში მოსკოვში ოფიციალური გასტროლით ჩამოსუ-ლი სახელოვანი ინგლისური როკ-ჯგუფი „ბიტლზ''-ის მუსიკოსები გაურკვეველი მიზეზების გამო ჯერ აერო-პორტ „ვნუკოვო"- ში რამოდენიმე საათით შეაყოვნეს, ხოლო შემდეგ საერთოდ უკანვე გააბრუნეს სამშობ-ლოში.

მიუხედავად ამისა, გერმანიაში მცხოვრებმა ქართ-ველა მუსიკოსებმა მაინც შეიტყვეს 1960 წელს ქ. ბა-ქოს ამიერკავკასიის რეგიონალური მუსიკოს-შემსრუ-ლებელთა კონკურსის ქართველთათვის სასიხარულო შედეგები და დიდი სურვილი გამოთქვეს გამარჯვებუ-ლი მუსიკოსების გერმანიაში საგასტროლოდ მიწვევის, მაგრამ, იმ პერიოდში საბჭოთა მუსიკოსთათვის ამის გაფიქრებაც ხომ დანაშაულის ტოლფასი იყო, ისე, რო-გორც იქაური მუსიკოსებისთვის რუსეთში ჩამოსვლა თითქმის აუხდენელ ოცნებად რჩებოდა.

თუმცა, 1960 წელს გერმანიაში მოწყობილ საბჭო-თა მხატვართა გამოფენაზე მიწვეულ ავტორთა დელე-გაციაში, შესანიშნავი ქართველი ფერმწერი უჩა ჯა-ფარიძეც აღმოჩნდა, რომელმაც შემთხვევით გაიცნო სახელოვანი პიანისტი იოანე ანდრონიკაშვილი. ბ-ნმა იოანემ ცხოველი ინტერესით გამოიკითხა სამშობლოსა და მისი კულტურის იმდროინდელი მიღწევების შესახებ და თავის ერთ-ერთ ახალგაზრდა ნიჭიერ ნათესავს — როდამ ჯანდიერს საჩუქრად გამოუგზავნა სავიოლინო სიმების ერთი კომპლექტი და პატარა ზომის გრამფირ-ფიტა, რომელზედაც ჩაწერილი იყო მის მიერ არაჩ-ვეულებრივად შესრულებული ბახისა და სკარლატის საფორტეპიანო ნაწარმოებები.

სახელოვანი პიანისტის უდიდესი ოცნება ყოფილა სამშობლოში ჩამოსვლა და თითქოს 1970 წლისათ-ვის ეს ოცნებაც უნდა განხორციელებულიყო — მისი სამშობლოში სტუმრად ჩამოსვლის სახით, მაგრამ ამ ფაქტს მასში ისეთი ვნებათა ღელვა გამოუწვევია, რომ სისხლის გაჟონვა მოუვიდა და სული განუტევა.

ბ-ნ იოანე ანდრონიკაშვილის სახელი სამშობლო-ში ალბათ კიდევ დიდხანს იქნებოდა უცნობი, რომ არა მისი ღირსეული შთამომავლის ქ-ნ როდამ ჯანდიერის ძალისხმევა და პატრიოტიზმი იმაზედ, რომ — არცერთი ღირსეული ქართველი მამულიშვილის სახელი არ უნ-და იყოს მივიწყებული და დროის მიერ შთანთქმული.

წელს შესანიშნავ ქართველ მევიოლინესა და პე-დაგოგს პროფ. როდამ ჯანდიერს 70 წელი შეუსრულ-და.

იგი კვლავ აქტიურად გამოდის მსმენელის წინაშე და კვლავ დაუღალავ ძიებაშია სამშობლოს მომავალ ღირსეულ მუსიკოსთა აღზრდის ურთულეს საქმეში.

ალექსი შანიძე

ის, ვინც 9 ნოემბერს თბილისის კონსერვატორიაში დაესწრო მამა-შვილ რევაზ და ანი ტაკიძეების კონცერტს, დიდი ესთეტიკური და მორალური კმაყოფილებით ტოვებდა დარბაზს. „ესთეტიკურით“ იმიტომ, რომ კონცერტის მხატვრულ-საშემსრულებლო დონე აკმაყოფილებდა მაღალ შემოქმედებით კრიტერიუმებს, ხოლო „მორალურით“ იმიტომ, რომ იმ საღამოს მუსიკალურმა საზოგადოებამ დაფასება და პატივი მიაგო ჩვენი ცნობილი დირიჟორის — რევაზ ტაკიძის დაბადების 70 წლისთავს.

რ. ტაკიძე უკვე 40 წელია ერთგულად და თანაბარი წარმატებით ემსახურება საოპერო-საბალეტო და სიმფონიურ შემსრულებლობას. მისი დირიჟორობით დადგმული ვ. დოლიძის „ქეთო და კოტეს“ სპექტაკლი საქართველოს სახელმწიფო პრემიით დაჯილდოვდა 1992 წელს.

2000 წლიდან ბატონი რეზო კონსერვატორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი სასწავლო ცენტრის — საოპერო სტუდიის ენერგიული და ავტორიტეტული სამხატვრო ხელმძღვანელია. მის მიერ მომზადებულმა სპექტაკლებმა სტუდიასა და საოპერო თეატრში (საკონცერტო შესრულებით) დიდი მოწონება დაიმსახურეს. იგივე უნდა ითქვას მისი სიმფონიური შემსრულებლობის შესახებაც, თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, ამ სფეროში რ. ტაკიძის უტყუარი შემოქმედებითი პოტენციალი არ არის გამოყენებული სასურველი სისრულითა და მასშტაბურობით.



რევაზ ტაკიძე

რევაზ და ანი ტაკიძეების ბენეფისი

რაც შეეხება ბატონ რეზოს ქალიშვილს-პიანისტ ანი ტაკიძეს, ივი უკვე კარგა ხანია სარგებლობს ქართველი და უცხოური მუსიკალური საზოგადოების აღიარებითა და გულწრფელი სიმპათიებით, განსაკუთრებით იმის შემდეგ, რაც მოსკოვში 2005 წელს გახდა ს. რიხტერის სახელობის უაღრესად პრესტიჟული კონკურსის ლაურეატი. ჭეშმარიტად, ეს იყო ნამდვილი შემოქმედებითი გმირობა, რამდენადაც მან — ერთადერთმა მშვენიერი სქესის წარმომადგენელმა მოიპოვა ლაურეატის საპატიო წოდება.

როგორც ცნობილია, ანი ტაკიძემ თბილისის კონსერვატორია დაამთავრა პროფ. ნანა ხუბუტიას კლასით, შემდგომ ოსტატობას სრულყოფდა მიუნხენში პროფ. ფ. მასინგერის ხელმძღვანელობით და, უკვე რამდენიმე წელია, თვითონ არის ადგილობრივი ცნობილი Hochschule-ს (ანუ, ჩვენებურად — კონსერვატორი-

ანი ტაკიძე

ის) პედაგოგი, წარმატებით ეწევა საშემსრულებლო მოღვაწეობას გერმანიასა და სხვა ევროპულ და აზიურ ქვეყნებში.

საერთაშორისო რანგის ხელოვანი, ივი რა თქმა უნდა, არ ივიწყებს თავის სამშობლოს და ყოველწლიურად ატარებს თბილისში კონცერტებს.

ამჯერადაც, კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართულმა საღამომ კიდევ ერთხელ ძალზე მკაფიოდ დაადასტურა ანი ტაკიძის საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი კლასი, ის შესანიშნავი თვისებები, რომლებმაც მას შთაგონებული, ნატიფი და დახვეწილი შემოქმედის სახელი მოუპოვეს.

ნამდვილი არტისტიზმით იქნა შესრულებული მოცარტის №27 (B-dur) და შოპენის №2 (f-moll) საფორტეპიანო კონცერტები, რომელთა მხატვრულ-ემოციური სამყარო ძალზე ახლობელია თვით პიანისტისათვის.

ამ ორი, მხატვრულად მონათესავე ნაწარმოების (შემთხვევითი ხომ არ არის, რომ შოპენს „მე-19 საუკუნის მოცარტი“ უწოდეს!) შესრულებისას განსაკუთრებული რელიეფურობით გამოვლინდა ა. ტაკიძის ხელოვნების ზემოაღნიშნული და — უფრო კონკრეტული თვისებები: მუსიკალური ფრაზირებისა და ნიუანსირების უმაღლესი კულტურა, საფორტეპიანო ბგერის გამომსახველობა.

ასეთი გახლდათ არა მარტო ჩემი, არამედ მთელი დარბაზის ერთსულოვანი აზრი!

ახლა კი, კვლავ დავუბრუნდეთ ბატონ რეზოს, რომლის წინაშე იმ საღამოს ასევე დიდი სირთულის მხატვრული ამოცანა იდგა — ბეთჰოვენის გრანდიოზული ქმნილების — მე-3 („გმირული“) სიმფონიის შესრულება. მან ეს ჩვეული პროფესიონალიზმითა და მხატვრული ადეკვატურობით წარმოგვიდგინა, რაც თანაბრად ეხება სიმფონიური შემსრულებლობის ყველა ინტერპრეტაციულ კომპონენტსა და პარამეტრს და, რაც მთავარია, თვით სიმფონიის დრამატურგიასა და ფილოსოფიურ კონცეფციას.

ყოველივე ეს მოხერხდა და განხორციელდა, მიუხედავად იმისა, რომ საოპერო თეატრის ორკესტრი (კერძოდ, ლითონის საკრავთა ჯგუფი) მისი ხანგრძლივი ნაკლები დაკავებულობის გამო, არ იმყოფებოდა ჩვეულ მხატვრულ ფორმაში.

კონცერტი ძალზე ორგანულად და სასიამოვნოდ დააგვირგვინა კონსერვატორიის რექტორის — ბატონ რევაზ კიკნაძის მისალმება-მილოცვამ იუბილარის — რ. ტაკიძის სახელზე და საოპერო მომღერლების იმპროვიზებული გუნდის დიდებულმა მისალმება — „მრავალ-ჟამიერმა“.

გულგათ ტორაძე

ᲖᲘᲖᲘ...

თენგიზ ამირეჯიბი

ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ: წუთები მიდიან, დღეები მირბიან, წლები კი მიჰქრიანო. და აი, ბატონი გიზი ამირეჯიბი 85 წლისაა. თითქოს გუშინ ვისხედით კონსერვატორიის მეორეკურსელები დიდი დარბაზის ქანდარაზე და აღტაცებულნი ვისმენდით კონსერვატორიის ახალგაზრდა პედაგოგის, თენგიზ ამირეჯიბის შთაგონებულ არტისტულ ქმედებას. ეს იყო დაუვიწყარი წუთები. შემდგომშიც მრავალჯერ დავმტკბარვარ ბატონ გიზის... აქ მსურს შევწყვიტო აზრის განვითარება და განვმარტო, თუ რატომ მოვიხსენიებ ბატონ თენგიზს შინაურული სახელით – გიზი. ალბათ იმიტომ, რომ თენგიზი ბევრია, ხოლო გიზი ერთია! მან დაიმსახურა ეს, ამ სახელით ცნობს ყველა, ეს სახელი ეპითეტადაც კი იქცა (გამიგონია, უთქვამთ „მეორე გიზიაო“) და ამ სახელით უყვართ ის მის თაყვანისმცემლებს.

ისტორია გვიჩვენებს, რომ პიანისტთა შემოქმედებითი პიკი იწყება 40 წლის ასაკიდან. აქაც ასე მოხდა. ბატონ გიზის პიანისტური შემოქმედების საუკეთესო წლები გასული საუკუნის სამოცდაათიანი წლებიდან იწყება, როცა ცხოვრებისეული გამოცდილება ღრმა ჰარმონიაში შევიდა გიზის საოცარ მუსიკალობასთან. უნატიფესი ოსტატობით უკრავდა ის შუბერტის, ლისტის, რახმანინოვის, პროკოფიევის და განსაკუთრებით შოპენის ნაწარმოებებს. მინდა აღვნიშნო ასევე ბეთჰოვენის სონატა თხზულება–111. მე ზემოთ სპეციალურად ვახსენე ოსტატობა. მაგრამ როდისმე გაგიგონიათ, ან ვინმეს უთქვამს – „აუჰ, რა ტექნიკა აქვს გიზისო?“ საუბრობდნენ ტალანტზე, მუსიკალობაზე, გემოვნებაზე, პოეტურობაზე, არტისტიზმზე და ა.შ., მაგრამ ჭეშმარიტი მაღალი ოსტატობისა და ტექნიკის გარეშე ეს ნაწარმოებები ხომ განუხორციელებელია. საიდუმლო კი მარტივია – გიზის პიანისტური ტექნიკა ჭეშმარიტად არის მუსიკის სამსახურში და არადეკლარირებულად, როგორც მრავალი სხვა პიანისტის შემთხვევაში. სამწუხაროა, რომ იმ დროს არ ხდებოდა კონცერტების აუდიოფირ–



ზე დაფიქსირება, როგორც სხვა ქალაქების დარბაზებში იყო მიღებული და ჩვენი კულტურის ისტორიისათვის დაიკარგა თენგიზ ამირეჯიბისა და სხვა მუსიკოსთა დიდი მიღწევები. ასე გაირბინეს იმ დღეებმაც.

წლები კი მიჰქროდნენ. იმ ხანაში, როცა ჩვენ ყველანი ჩაკეტილ ქვეყანაში ვარსებობდით, შეუძლებელი იყო საკონცერტო ცხოვრებით მეტ–ნაკლები მატერიალური კეთილდღეობის მოპოვება, თუნდაც, ოჯახის შენახვა. და ბატონი გიზიც იძულებული იყო პედაგოგობით ერჩინა თავი. მადლობა ღმერთს, ბატონ გიზის აღმოაჩნდა გამორჩეული პედაგოგიური ტალანტი, მას მიაწყდა ახალგაზრდა მუსიკოსთა საუკეთესო ნაწილი, და ბატონი გიზი მოგვევლინა დიდ მაესტროდ, რომლის აღზრდილნიც იქცნენ ქართული პიანიზმის სიამაყედ. მათი სახელები იმდენად ცნობილია, რომ ჩამოთვლას არ შევუდგები.

გიზი ამირეჯიბი დიდი ხანია გასცდა იმ დონეს, როცა ეპითეტები უნდა მოვიშველიოთ. დროა პირველი დასკვნები გავაკეთოთ. მისი შემოქმედება იმდენად დახვეწილია, რომ ის ელიტარულად გვესახება, ანუ – არისტოკრატულია. მეორე მხრივ, მისი შესრულება მუსიკის მოყვარულთა უაღრესად ფართო ფენებისთვისაა მისაღები და გასაგები, ანუ – დემოკრატულია. აი ეს არისტოკრატული დემოკრატულობაა ის ფენომენი, რომელიც ყველაზე მეტად მხიბლავს ბატონ გიზი ამირეჯიბის შემოქმედებაში და რომელიც გამოარჩევს მას.

ვუსურვებ დიდ მაესტროს ჯანმრთელობას. დანარჩენი თავისით დალაგდება. ის ყოველთვის ამარცხებდა დროს. კიდევ დიდხანს დაემარცხებინოს ბატონ გიზის წლების ქროლა.

რევაზ თავაძე

ეკა ჭაბაშვილი

ეკა ჭაბაშვილი 90-იანელთა თაობის „ახალი“ ქართული მუსიკის ერთ-ერთი თვალსაჩინო და ნიჭიერი წარმომადგენელია. მისი მუსიკა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში სრულდება. ის აქტიურად მუშაობს როგორც კინო, ისე თეატრალური მუსიკის ჟანრში, ამასთანავე იკვლევს მუსიკალური გენეტიკის პრობლემებს, მულტი-ტოპოფონიურ საკომპოზიციო ტექნიკას და ატომალურ-ბირთვულ მუსიკალურ სისტემას, რასაც ეძღვნება კომპოზიტორის მიერ გამოქვეყნებული მთელი რიგი სტატიები; გატაცებულია ფერწერით და ლიტერატურით. მუსიკალური საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი მისი ნაწარმოებები: „პანორამა“ ფორტეპიანოსთვის, მუსიკალური რომანი „ხმაური და მძვინვარება“ ჰოლოგრამული თეატრისთვის, ოპერა-გამოფენა — „მოხეტიალე სულები“, სიმფონიური ტრილოგია „სხეულები“, ბალეტები „ციალი“ და „ფერხული სიკვდილთან“, საორკესტრო ნაწარმოებები „ანდაზები“, „აქსიომა“, „მოზაიკა“, სხვადასხვა შემადგენლობის ანსამბლისთვის შექმნილი მუსიკალური ნოველები „მსოფლიოს შვიდი საოცრება“, „ქორალი“ გუნდისთვის (დაჯილდოვდა გერმანიაში III პრიზით), „დიფსომანია“ სოლო არფისთვის, მულტიმედია „უფლის იდეა-სფეროები“, რამდენიმე ნაწარმოები საკრავების თეატრისთვის და სხვ.

მუსიკისმცოდნე მარიკა ნადარეიშვილთან საუბარში ეკა ჭაბაშვილი ამბობს: „ქართველი კომპოზიტორები დროისა და სივრცის გზაჯვარედინზე ვცხოვრობთ...“ და მართლაც, მის შემოქმედებაში იგრძნობა ევროპული და არაევროპული კულტურის მუსიკალური ტრადიციები. ე. ჭაბაშვილის ნაწარმოებებში თქვენ ხვდებით მედიტაციურ დრამატურგიას, უახლეს მულტი-ტოპოფონიურ საკომპოზიციო ტექნიკას, სტატიკური ტიპის კომპოზიციას, სადაც ის ყურადღებას უთმობს მრავალ სივრცულ შრეში განლაგებული მუსიკალური მასალის სხვადასხვა ფსიქოდროში იმპროვიზაციულ-ვარიაციულ განვითარებას.

„დახასტული მუსიკა და აჟღერებული ნახატები“

ეკა ჭაბაშვილი კომპოზიტორი, მხატვარი

გერმანელმა კომპოზიტორმა კარლჰაინც შტოკჰაუზენმა ასე დაახასიათა მისი მუსიკა: „თავის შემოქმედებაში ის ქმნის ტემბრულ-თეატრალიზებულ კომპოზიციებს. ხშირად სიტყვის მუსიკიდან გამომდინარე ქმნის რიტმულ-მელოდიური ინტონაციების „ორატორულ-სამსახიობო“ კომპოზიციებს. ეკას საკომპოზიციო ტექნიკა არის ორიგინალური და საინტერესო. მისი მუსიკა ინ-

ეკა ჭაბაშვილი. „კამერული ორკესტრი“

ტუიციურია და ეყრდნობა „გამეორებისა და ვარირების“ პრინციპს.“

მისი მუსიკის ბგერითი პალიტრა ხშირად დაკავშირებულია ხედვით ასოციაციებთან, რასაც მუსიკალური აზროვნების ვიზუალურ საწყისთან შერწყმა იწვევს. ჯერ კიდევ წლების წინ ავტორი ინტერვიუებში ამბობდა: „მსურს დავხატო მუსიკა და პირიქით, ჩემი ნახატები ჟღერდნენო“. და მართლაც, უფრო გვიანდელ ნაწარმოებებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ტენდენცია ვიზუალისა და მუსიკის შერწყმისა, რაც აისახა მულტიმედიურ ჟანრებში, ხელოვნების სინკრეტულ ფორმებში, როგორიცაა საკრავების თეატრი და ჰოლოგრამების თეატრი, ვიდეო პარტიტურები, მუსიკის შუქით ხატვა ან მუსიკის გამოფენა და სხვ.

პირველ ეტაპზე, ეკამ საკუთარი ხედვის ფრთაშესასხმელად მიმართა ალეატორიკის ტექნიკას, რამაც გზა გაუხსნა არატრადიციულ ნოტაციას, რაც თავის მხრივ შემსრულებლის ფანტაზიას ათავისუფლებს და აჰყავს ზოგჯერ თანაავტორობის პრივილეგიამდეც კი.

მოგვიანებით კომპოზიტორი თავისი შემოქმედების საფუძველზე პოულობს ზოგადად თანამედროვე უახლეს მუსიკალურ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ტექნიკურად ასახვის ტენდენციებს. მათი კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის ნიადაგზე აყალიბებს ახალ მულტი-ტოპოფონიურ საკომპოზიციო ტექნიკის არსებობის თეორიას, რომელიც, მისი აზრით, დღევანდელ თანამედროვე მუსიკაში საკმაოდ გავრცელებულია.

ეკას მუსიკა საქართველოს საზღვრებს გარეთაც სრულდება უცხოელი შემსრულებლების მიერ, მაგალითად, ამერიკელი პიანისტი კეთრინ ვუდარდი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ასრულებს მის „პანორამას“.

წელს გერმანიაში, კერძოდ, მიუნხენში დირიჟორ დავით კინწურაშვილის ხელმძღვანელობით გუნდი ,,იბერისის“ მიერ ჩაიწერა ქართული ხალხური სიმღერებისა და საგალობლების კომპაქტ-დისკი. აღსანიშნავია, რომ დისკზე ჩაწერილი უძველესი საგალობლების გვერდით სრულდება ჩვენი თანამედროვე საგალობლების ნიმუშებიც, მათ შორისაა საქართველოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისა და ეკა ჭაბაშვილის საგალობლებიც.

ეკა ჭაბაშვილის შემოქმედებაში ხშირად შევხვდებით რელიგიურ თემატიკაზე შექმნილ ნაწარმოებებს, როგორიცაა დავით აღმაშენებ ლის „გალობანი სინანულისანის“ მიხედვით შექმნილი მიკრო-ორატორია ორგანისთვის, რომელიც შესრულდა ჰოლანდიის ქალაქ ალკმარში და თავისი თეატრალური ხასიათის გამო აღინიშნა, როგორც ახალი სიტყვა საორგანო მუსიკაში; ასევე დიდი წარმატებით შესრულდა ბერლინსა და სიეტლში კამერული ანსამბლისთვის სვანური ფრესკების მოტივებზე შექმნილი „ფრესკები“. აღსანიშნავია, მისი მონუმენტური სიმფონია „უკუნითი უკუნისამდე“ და სიმფონიური პოემა „აპოკალიფსი“, გნებავთ „ქართული რეკვიემი“ ან სიმფონია/გამოფენა „მოციქულები“ და სხვ. თუმცა, ჩანაწერში წარმოდგენილი საგალობლები, საკმაოდ, განსხვავდება ეკა ჭაბაშვილის მიერ რელიგიურ თემატიკაზე შექმნილი სხვა ნაწარმოებისგან.

ეკა ჭაბაშვილის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ მისი გამოკვეთილი ინდივიდუალური სტილი თავიდანვე იპყრობს ყურადღებას და მის დავიწყებას შეუძლებელს ხდის. ეკა ჭაბაშვილის ნაწარმოებები გაძლევს საშუალებას შეიგრძნო სამყაროს სილამაზე, მთავარი განცდა კი, რაც გვეუფლება, არის სილაღე, რომელიც ავტორისგან თითქოს მსმენელსა და მაყურებელს ,,გადაედება“.

მაკა ვირსალაძე

თეა დიკერო- მარიამიძე

„Joyaux Géorgiens“

საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა პიანისტმა თეა მარიამიძემ ასოციაცია „ქართული მარგალიტები“ დაა-ფუძნა. ასოციაციის მიზანია გააცნოს უცხოელებს ქარ-თული მუსიკა და ქართველი შემსრულებლები.

დღეს არაერთი ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსი მეტ-ნაკლებად წარმატებით მოღვაწეობს დასავლეთსა თუ აღმოსავლეთში – რა გზა აქვთ? ქვეყანა დიდია, ას-პარეზიც ჯერჯერობით არის....

ყოველი მათგანის საქმიანობას ერთმნიშვნელოვად ვერ შევაფასებთ – მთავარია, რომ ისინი ფუნქციონი-რებენ, როგორც მუსიკოსები.

მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც სამართ-ლიანად დაიმკვიდრეს (ან დამკვიდრების პროცესში არიან) ადგილი მსოფლიო არენაზე; ზოგიერთის სახე-ლი ჭეშმარიტი ხელოვნების პოზიციებიდან რამდენად-მე აჭარბებს მათ მნიშვნელობას.

ზოგმა მიაღწია კიდეც აკადემიზმის, ოსტატობის გარკ-ვეულ დონეს, მაგრამ სათქმელი ადამიანებისათვის არა აქვთ, ან რაც აქვთ, ის არ არის საინტერესო და მნიშვ-ნელოვანი.

ჩემი აზრი უფრო ნათელი რომ გახდეს, მოვიყვან ნიკოლოზ ბარათაშვილის სიტყვებს:

„სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების და

ვით ყვავილი, თავის დროზე მსწრაფლად დაჭკნე-ბის;

.....

მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსული, რომლით ნათლდება ყოვლი გრძნობა, გული და სული“.

მაგრამ, ნუ ვიქნებით ძალიან მკაცრნი, მადლობა ვუთხრათ ყველა იმათ, ვინც დღევანდელ, სულიერებას მოკლებულ საუკუნეში ნამდვილი მუსიკა მიაქვთ მსმე-ნელამდე!

მუსიკოსებს შორის გხვდებიან ისეთებიც, რომლე-ბიც მშვიდად, უხმაუროდ, მაღალ პროფესიულ დონე-ზე ეწევიან თავის საქმეს და არ ახმაურებენ თავიანთ წარმატებებს.

მსურს გაგაცნოთ საფრანგეთში მოღვაწე პიანისტი — თეა დიკერო-მარიამიძე. იგი დიდი სასოებით, სიყვა-რულით, ნიჭიერებით, პროფესიონალური ერთგულე-ბით ემსახურება მუსიკას და თავის სამშობლოს – სა-ქართველოს.

თეა მარიამიძემ თბილისის კონსერვატორია წარ-ჩინებით დაამთავრა 1999 წელს, ამ სტრიქონების ავ-ტორის კლასით. თუმცა, მისი გზა თავიდან ია-ვარდე-ბით მოფენილი არ იყო – მისი ინდივიდუალობა უცებ ვერ მოერგო ჩვენში დიდად დაფასებულ „თარგებს“. ამის მრავალი მიზეზი არსებობდა. ჩვენთან დღის წეს-რიგში არ დგას სტუდენტის ინდივიდუალურ სხვაო-

ბათა პრობლემა – უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელსაც გამოჩენილმა ფსიქოლოგმა და პიანისტმა ბ. ტეპლოვმა შესანიშნავი მონოგრაფია „Проблема индивидуальных различий“ (1961) მიუძღვნა.

დღიდან ჩემს კლასში გამოჩენისა, ჩემსა და თეას შორის ადამიანური და მუსიკალური კონტაქტი დამყარდა (თეა პირველი შეხვედრიდან წერდა დღიურებს). ახალმოსულმა სტუდენტმა საოცარი სისწრაფით დაიწყო ყოველივე იმის „აკრეფვა“, რაც არ იცოდა და რაც აკლდა. დავუმატოთ, რომ თეას საოცრად გაწაფული მუსიკალური სმენა, მუსიკალური ალღო, მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული, შრომისმოყვარეობა და ყოველივე ამას გარდა ინტელექტუალური მაჩვენებლის მაღალი დონე აღმოაჩნდა, ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამაც სწრაფი შედეგი გამოიღო.

აღმოჩნდა, რომ თეას ძალზე იზიდავდა ოლივიე მესიანის მუსიკა. მან ისწავლა და წარმატებით შეასრულა მესიანის რამოდენიმე პიესა ციკლიდან „ოცი მზერა ყრმა იესოზე“. დაიბადა აზრი მთელი ციკლის შესწავლის (ხანგრძლივობა 2 სთ 10 წთ.).

მაგრამ აქ ახალი პრობლემა წამოიჭრა! ზოგიერთმა პედაგოგმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მესიანის ამაღლებულობას ყველა ვერ შეწვდება და ამიტომ ნურც დაუკრავენ! გაახარებს უფალი ნანა ხუბუტიას – მუსიკოსს, ადამიანს, თანამედროვე მუსიკის მცოდნეს, რომელმაც ჯერ ერთი მოიწონა თეას შესრულებული მესიანი და ისიც მითხრა: „რუსიკო! ნუ გააღიზიანებ ხალხს, გამოცდაზე სხვა რამე დააკვრევინე!“ ასეც მოვიქეცით, მაგრამ იდეას არ ვუღალატეთ – მესიანის მთელი ციკლი ვისწავლეთ და ჩავწერეთ კიდეც დიდოსტატ მიშა კილასონიძესთან.

ერთ დღესაც ჩაწერას ბიძინა კვერნაძე დაესწრო და აღფრთოვანებაშიც მოვიდა, მისაყვედურა – რატომ არ ვიცნობდი ამ გოგოსო?— რა მეთქვა? რომ ჩვენს „მუსიკალურ მენტალიტეტს“ თეას დაკვრა არ შეესაბამება? — გაჩუმება ვამჯობინე. მაგრამ საქმე იქამდე მივიდა, რომ ბიძინამ არ ისურვა სხვა დიდი პიანისტის შესრულებული „მზერების“ მოსმენა, რომელიც მიშა კილოსანიძემ შესთავაზა: მოაშორე, თეა ჯობიაო! დაბოლოს, ბიძინა კვერნაძე ხომ ბიძინა კვერნაძე არ იქნებოდა, თავისი აზრი იუმორისტულ ფორმაში რომ არ გამოეხატა – მესიანი, რომ ცოცხალი ყოფილიყო, თეას მესამე ცოლად წაიყვანდა, იტყოდა: – შეფუთეთ და გამომიგზავნეთო!

თეა მარიამიძემ მიშა კილოსანიძის ჩაწერილი „ოცი მზერა ყრმა იესოზე” გადაუგზავნა პარიზში ქ-ნ ივონ ლორიოს, დიდებულ პიანისტს, ამ ციკლის პირველ შემსრულებელს, ოლივიე მესიანის მოწაფესა და მეუღლეს, რომელსაც მესიანმა ეს ციკლი მიუძღვნა. პასუხმაც არ დააყოვნა და არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, რომ ამ წერილმა ჩვენზე ისეთივე შთაბეჭდილება მოახდინა, როგორც ჭექა-ქუხილის, თავსხმის მერე მზის უეცარმა ამობრწყინებამ და ცისარტყელას აკიაფებამ.

მომყავს ივონ ლორიოს წერილი:

„ძვირფასო მადმუაზელ, ცენტრმა „Acanthes“ გადმომცა ორი კასეტა, თქვენს მიერ შესრულებული ოლივიე მესიანის ნაწარმოების „ოცი მზერა ყრმა იესოზე“ ჩანაწერი. გილოცავთ და ძალზედ მახარებს რომ გიყვართ და ასრულებთ ამ მუსიკას. გისურვებთ დიდ წარმატებებს მომავალში. ყურადღებით მოვისმინე თქვენი ჩანაწერი. მთლიანობაში თქვენ კარგად ჩაწვდით მესიანის მუსიკის სულიერებას! ძალიან კარგი ტექნიკა გაქვთ! თუმცაღა მაქვს რამდენიმე შენიშვნა, რომელსაც მოგცემდით თქვენთვის გაკვეთილი რომ ჩამეტარებინა ამ მუსიკის შესახებ. ეს არის რჩევები, რომლებიც უფრო გააუმჯობესებდა თქვენეულ ინტერპრეტაციას... ეს რჩევები გამოგადგებათ, რადგან გაქვთ ტალანტი, გიყვართ ეს მუსიკა და მთელი ცხოვრების მანძილზე დაუკრავთ მას! იმედი მაქვს თარჯიმანი ზუსტად გითარგმნით ჩემს მოსაზრებებს. გისურვებთ წარმატებებს, გილოცავთ ახალ 2001 წელს! ძვირფასო თეა, მიგულეთ თქვენს გულწრფელ, ერთგულ მეგობრად.

ივონ ლორიო – მესიანი

გიგზავნით ფოტოს, რომელსაც გიძღვნით ოლივიე მესიანი“.

თბილისში სწავლის პერიოდში თეა მარიამიძე საკმაოდ მრავალფეროვან რეპერტუარს დაეუფლა, და ბედის საცდელად პარიზს გაემგზავრა. იქ სწავლა კორტოს ეკოლ ნორმალში გააგრძელა, თუმცა ბოლომდე არ დაუსრულებია და დამოუკიდებელ საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას მიჰყო ხელი, შექმნა რა ასოციაცია „ქართული მარგალიტები“.

თეა მარიამიძე ბევრ საინტერესო კონცერტს მართავს არა მარტო ქართველ, არამედ ფრანგ მუსიკოსებთან ერთადაც: ვერსალის ბაროკოს ცენტრში, იმპერატრიცა ჟოზეფინას სასახლე „მალ მეზონში“, პარიზში არსებულ სხვადასხვა ქვეყნების კულტურულ ცენტრებში, ალფრედ კორტოს ისტორიულ დარბაზში, საფესტივალო და სხვა დარბაზებში, ეკლესიებში....

თეა მარიამიძის და „ქართული მარგალიტების“ წევრების შესრულებით ქართულ მუსიკას დიდი მოწონებით ხვდებიან, ამაზე ახალგაზრდობისა და სახალხო განათლების ეროვნული ინსტიტუტის კულტურის ხელმძღვანელის რენე ჰუგრონის (მარლი ლე რუა) რეცენზიაც მეტყველებს: „ეს ნაწარმოებები, გამსჭვალული ქართული ფოლკლორით და შეზავებული ევროპულ კლასიკურ ფორმასთან, აყალიბებს ძალზე საინტერესოდ დამუშავებულ და დასრულებულ კომპოზიციებს, საინტერესოს თავისი სხვადასხვაობით, სტილით და მუსიკალური გამომსახველობით.

მსმენელმა ძალიან კარგად შეაფასა ამ პირველად აჟღერებული ნაწარმოებების ნამდვილი ღირებულება, რაშიც დიდი წილი შემსრულებელს მიუძღვის“.

თეა მარიამიძის ასოციაცია „ქართული მარგალიტების“ უპირველესი დამსახურებაა ის, რომ იგი უცხოელებს აცნობს ქართულ კლასიკურ მუსიკას, რასაც მის საკონცერტო პროგრამებში დიდი ადგილი უკავია. მეტად ღირებულია ის ფაქტიც, რომ პროგრამებს დართული აქვთ ხოლმე საქართველოს ისტორიის ამსახველი ექსკურსი, აქვე მოთხრობილია ქართველ კომპოზიტორთა ბიოგრაფიები. თეა მარიამიძემ გრიფით „Joyaux éorgiens“ ფრანგ მევიოლინე ივორ რამოსთან ერთად ჩაწერა დისკი: სულხან ცინცაძის, ოთარ თაქთაქიშვილის, ვაჟა აზარაშვილის, ალექსანდრე შავერზაშვილის ნაწარმოებები.

ამჟამად გამოსაცემად მზადდება ოთხი დისკი: ოლივიე მესიანის „20 მზერა ყრმა იესოზე“ (სამი დისკი) და დისკი შერეული პროგრამით: შოპენი, ბრამსი, ალბან ბერგი, ალექსანდრე შავერზაშვილი, ალექსი მაჭავარიანი და პოლონელი კომპოზიტორის მილოც მაჟინის ნაწარმოებები.

ცალკე მსურს ვახსენო მილოც მაჟინის საფორტეპიანო მუსიკა. პარიზში ორ წელიწადში ერთხელ ტარდება მისი სახელობის საერთაშორისო კონკურსი. 2013 წელს ამ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად თეას ეპატიჟება მაჟინის ქალიშვილი — მარგო მაჟინი.

ამონარიდი მარგო მაჟინის წერილიდან:

„ძვირფასო თეა!

თქვენი ჩანაწერი ბევრჯერ მოვისმინე დიდი ყურადღებით. ეს საუკეთესო სავიზიტო ბარათია! ის ადასტურებს ყველა თქვენ თვისებას, რასაც ამჟღავნებთ სხვადასხვა რეპერტუართან — როგორც ცნობილ, ასევე არაცნობილ ნაწარმოებებთან შეხებისას.

თქვენ ძალიან კარგად გრძნობთ შოპენს. ეს შესანიშნავია! ბრამსიც ძალზე შთაგონებულია.

რაც შეეხება მამაჩემის ნაწარმოებებს, სკერცოში — რომელიც აღებულია ბალეტიდან „Bazyliszek“ (ვარშავის ლეგენდა) — თქვენს ინტერპრეტაციაში ძალიან კარგად იგრძნობა ამ მონსტრის მოძრაობები. „ტრიპტიქში“ ძალიან ზუსტად შეიგრძენით პოლონური სამწილადი რიტმის განსხვავებული ტიპები.

თქვენი წყალობით აღმოვაჩინე ორი ქართველი კომპოზიტორი: შავერზაშვილი — მისი სკერცო ძალზე საინტერესოა, და მაჭავარიანი, რომლის ნაწარმოებით აღფრთოვანებული ვარ. მაინტერესებს, ხორუმის რიტმი ზუსტადაა გადმოტანილი ხალხური მუსიკიდან თუ ტრადიციული ხალხური ცეკვის ფორტეპიანოზე გა-

დატანილ თანამედროვე ხედვას წარმოადგენს, რიტმი ზუსტადაა გადმოტანილი ხალხურიდან თუ მუსიკაა ამ რიტმით შთაგონებული?

თქვენი ჩანაწერი შესანიშნავია და ადასტურებს, რომ შეგიძლიათ მოიპოვოთ დიდი წარმატება ასეთი რეპერტუარით.

Bien amicalement

Margot Magin„„

„ქართული მარგალიტების“ ეგიდით თეა მარიამიძე ატარებს კლასის კონცერტებს, რაც მსმენელის დიდი მოწონებით სარგებლობს. ზოგჯერ ამ კონცერტებს საქველმოქმედო მიზანიც აქვს. ასე მაგალითად, ერთ-ერთი კლასის კონცერტი მიეძღვნა ჰაიტის ბავშვების დახმარების ასოციაციას „Ti chans pou Haiti“, ასევე ასოციაცია „მომავალი – France“-ს, რომელიც საქართველოში უნარმოკლებულ ბავშვებს ეხმარება.

თეა მარიამიძის უპირველესი მოწოდებაა აზიაროს ბავშვები მუსიკის ღირებულებებს და, შეძლებისდაგვარად, რაღაც ფარგლებში განავითაროს მათში ის თვისებები, რომლებიც მას, როგორც შემსრულებელს ახასიათებს.

თეას საშემსრულებლო მანერისათვის დამახასიათებელია ემოციური და ინტელექტუალური საწყისების შერწყმა; სიფრთხილე ტექსტთან მიმართებაში – კომპოზიტორის ჩანაფიქრის წვდომის სურვილი; ახლის ძიება, ხარისხიანი პიანიზმი. თეას მიზანია ნათლად გადმოსცეს ფაქტურა, ყველაფერი გააჟღეროს, არაფერი დარჩეს ყურადღების მიღმა, და რაც ყველაზე ფასეულია – მსმენელი შეუწყვეტლივ მიჰყვება პიანისტის აზრთა დინებას.

დღიდან პარიზში ჩასვლისა, თეა მარიამიძე პარიზის წმ. ნინოს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის მრევლია, მამა არჩილის სულიერი შვილი და ეკლესიის მგალობელთა ლოტბარიც.

თეას ჰყავს ძალიან ლამაზი ოჯახი, მეუღლე – ფრანგი მოფარიკავე იან დიკერო. იანი სწავლობს ქართულ ენას, მანაც და მისმა ძმამ საკმაოდ კარგად იციან საქართველოს ისტორია, საგანგებოდ ეცნობიან ლიტერატურას.

თეა მარიამიძე ნამდვილი ქართველია – ამ სიტყვის კარგი გაგებით. ერთ-ერთი თვისება, რაც მას გამოარჩევს, ეს არის სიყვარულის უნარი (რასაც ჩვენ, ყველანი, თანდათან კი არა, საკმაოდ სწრაფ ტემპში ვკარგავთ) – ეს მჟღავნდება მის დამოკიდებულებაში ადამიანების, ახლობლების მიმართ, ჩემს მიმართაც.

მე ბევრი მოწაფე ავღზარდე, ბევრმაც წარმატებას მიაღწია, აქედან ზოგი მადლიერია (ბედნიერი დამთხვევა – ჩემი დაბადების 80 წლისთავზე გიორგი ლაცაბიძე Berliner Philarmoniker – ში უკრავს. ეს ფაქტი წერილობით ასე შემატყობინა – „დაბადების დღის საჩუქარი თქვენთვის“). არსებობს სხვანაირი შემთხვევებიც, მაგრამ როდესაც ადამიანი ხეებს რგავს, უვლის, იმის მოლოდინში ხომ არ იქნება, რომ ამ ხეებს ფინელი მეზღაპრე ტოპელიუსის ორი უზარმაზარი ფიჭვის მსგავსი აზრები მოუვათ თავში? დარგე, უყურე, გაიხარე!

თეა ძალიან ბევრს კითხულობს – ჩვენთვის მიუწვდომელ ფრანგულ მუსიკალურ ლიტერატურას... ჩვენი სატელეფონო საუბრები მრავალ საკითხს მოიცავს: შოპენის სულიერი სამყაროს, შოპენის და ბელინის ურთიერთობას, ნიკოლოზ ბერდიაევსა თუ ეზოს ყვავილნარსაც კი... რთულ ცხოვრებისეულ საკითხებში თეა თავისი ასაკისათვის უჩვეულო სიბრძნით, სიმშვიდით ხშირად გზამკლევადაც მევლინება...

ვერ გეტყვით, თეა თავის ასოციაციას „ქართულ მარგალიტებს“ რომ არქმევდა, ფიქრობდა თუ არა იმაზე, რომ ძველ აღთქმაში მარგალიტი სიბრძნესთანაა შედარებული; იოანე ღმრთისმეტყველმა კუნძულ პათმოსზე გამოცხადებაში იხილა – ახალი იერუსალიმის კარიბჭეები მარგალიტებისაგან შედგებოდნენ: „თორმეტი ბჭე –თორმეტი მარგალიტი“ (გამოცხ. 21.21).

შესაძლოა, თეა მარიამიძის მიერ თავისი მოღვაწეობისათვის შერჩეული სათაური „ქართული მარგალიტები“ და თვით მისი პიროვნება რაღაც იდუმალ კავშირშია იმასთან, რასაც პავლე მოციქული ბრძანებს:

„მაშ, როგორც საყვარელმა შვილებმა, მიბაძეთ ღმერთს“.

(ეფეს. 5,1.).

რუსუდან ხოჯავა

ირაკლი ცინცაძე

ირაკლი ცინცაძის ახალი ნაწარმოები

13 ოქტომბერს, საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრის დარბაზში, გაიმართა ირაკლი ცინცაძის კანტატის შერეული გუნდის, სოლისტებისა და სიმფონიური ორკესტრისათვის, პრემიერა. კანტატა დაწერილია ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე (გამოყენებულია ,,სული ობოლი", ,,სულო ბოროტო", ,,ჩემი ლოცვა", ასევე იყალთოს სკოლის საგალობელი).

კონცერტში მონაწილეობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სიმფონიური ორკესტრი ჯანლუკა მარჩანოს დირიჟორობით, სოლისტები: ირინე თაბორიძე (სოპრანო), ირინე ალექსიძე (მეცო-სოპრანო), არმაზ დარაშვილი (ტენორი), გოჩა დათუსანი-ჯიღაური (ბანი).

ჟურნალ ,,მუსიკის" მკითხველს ვთავაზობთ ქართველი მუსიკოსების შაბეჭდილებებს ირაკლი ცინცაძის ახალი ნაწარმოების შესახებ.

რუსუდან ქუთათელაძე (მუსიკისმცოდნე):

ამ პრემიერაზე განსაკუთრებული მოლოდინით მოვდიოდი. უწინარეს ყოვლისა ავტორის გვარი — ცინცაძე — აღმიძრავდა ინტერესს. იყო სულხან ცინცაძის ვაჟი და ამასთან მისი პროფესიული მემკვიდრეც, ბედნიერებაცაა და დიდი პასუხისმგებლობაც. უკვე გვარისადმია მაღალი მომთხოვნელობა! ბ-მა სულხანმა ხომ უთვალსაჩინოესი ადგილი დაიმკვიდრა ჩვენს ეროვნულ კულტურაში, როგორც ქართული საკომპოზიტორო სკოლის უბრწყინვალესმა დიდოსტატმა. სასიხარულოა, რომ ირაკლის ყოველი პრემიერა ნათელს ხდის, ღირსეულად რომ აგრძელებს ჩინებულ ტრადიციას. პროფესიისადმი ძალზე სერიოზულ დამოკიდებულებას წარმოაჩენს. დასანანია,

რომ მისი ნაწარმოებები ცოტა მაქვს მოსმენილი. სულ ახლახანს, ჟურნალ „მუსიკა"-ს წინა ნომერში კი ამოვიკითხე თუ რაოდენ ნაყოფიერად უმუშავია, რომ ევროპაში გაუთქვამს სახელი, უცხოეთში მისი კომპაქტდისკებიც ყოფილა გამოსული, სასიხარულოა!

ახლა რაც უშუალოდ საპრემიერო ნაწარმოებს შეეხება. შესრულებამ დამანახა, თუ რაოდენ სერიოზულად ეკიდება ირაკლი ცინცაძე საკუთარ შემოქმედებას. კანტატა საფუძვლიანი, სოლიდური თხზულებაა. ჩემთვის მეტად სასიხარულო ის გახლდათ, რომ მუსიკაში ვიგრძენი ეროვნული მუხტი. დაე, კონსერვატორად, ჩამორჩენილად მიმიჩნიონ, ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი მუსიკაში, უდიდეს ღირსებად მიმაჩნია ნაწარმოების ეროვნული კუთვნილების სიცხადე, გამოკვეთილი რომაა ავტორის სადაურობა. ასეთია ყველა დიდი კომპოზიტორის მუსიკა. ასეთია სულხან ცინცაძის მუსიკა! ხომ კი?! არ დავმალავ, ვიტყვი, ამ პრემიერაზე რომ მოვეშურებოდი, ერთგვარი შიში მქონდა, ქართულ ინტონაციას, ქართულ წყობას ვერ ამოვიკითხავდი. ეს იმიტომ, რომ ადრე მოსმენილ ირაკლისეულ ნაწარმოებებში (გავიმეორებ — მოსმენილი ცოტა რამ მაქვს) ქართულობა ერთობ ნიველირებული მეჩვენა. ახლა კი ჩანდა — მუსიკა ეროვნული ფესვებიდანაა ამოზრდილი, კომპოზიტორის სამეტყველო ენა ზოგადქართულია, მის კანონზომიერებებსაა დაფუძნებული. იქნებ ეს სიტყვიერმა ტექსტმა განაპირობა — ბარათაშვილმა უკარნახა, იქნებ კომპოზიტორის პოზიციაა ასეთი. ერთი სიტყვით, კანტატა ფიქრიანი ადამიანის, მოაზროვნის, პროფესიული საქმიანობისადმი მოწიწებული, პასუხისმგებლური დამოკიდებულების მქონე შემოქმედის ნაღვაწია, გულდაგულაა გააზრებული, წრფელად განცდილი. გულითადად ვულოცავ და ამ გზაზე შემდეგ წარმატებებს დაველოდები!

ზურაბ ოიკაშვილი (მუსიკისმცოდნე):

ირაკლი ცინცაძის თითქმის ყველა ნაწარმოები მაქვს მოსმენილი და ამდენად, არგუმენტირებულად შემიძლია ვთქვა, რომ კანტატა ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე უთუოდ სრულფასოვანი ოსტატობისკენ გადადგმული სერიოზული ნაბიჯია. ნაწარმოებში კარგად შეიგრძნობა საკომპოზიტორო თვითმყოფადობა როგორც საგუნდო, ასევე საორკესტრო ტემბრული დრამატურგიის, ფორმაქმნადობის, რიტმული სფეროს, ინტონაციური სამყაროს თვალსაზრისით. ამასთან, ირაკლი არ ღალატობს მისთვის ჩვეულ ხელწერას, შესაბამისად, კანტატაც ეროვნულ მუსიკალურ საფუძველზე მყარად ამოზრდილი და ამასთანავე, კომპოზიტორის ინდივიდუალობასთან შეჯერებული და საკუთარი თვალთახედვისა და მსოფლაღქმის პრიზმაში გარდატეხილი ორიგინალური თხზულებაა.

კანტატის პრემიერის წარმატებაში სერიოზული წვლილი შეიტანა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის შემოქმედებითმა კოლექტივმა — გუნდმა (მთავარი ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი — შალვა შაორშაძე), ორკესტრმა, სოლისტებმა — ირინე თაბორიძემ, ირინე ალექსიძემ, არმაზ დარაშვილმა, გოჩა დათუსანმა, დირიჟორმა ჯანლუკა მარჩანომ.

გულწრფელად ვულოცავ ირაკლი ცინცაძეს მორიგ გამარჯვებას და ვიმედოვნებ, რომ ის კვლავაც მრავალ სასიამოვნო სიურპრიზს შემოგვთავაზებს.

აქვე ვისარგებლებ შემთხვევით და მივულოცავ შესანიშნავ შემოქმედებით წარმატებას ოპერის თეატრის სოლისტს ელენა პუტილოვას, რომელმაც აღნიშნული კონცერტის მეორე განყოფილებაში საუცხოოდ შეასრულა მეცო-სოპრანოს საკმაოდ რთული და დახვეწილი საოპერო რეპერტუარი და კიდევ ერთხელ ცხადჰყო, რომ ის ჭეშმარიტად საინტერესო საშემსრულებლო მანერისა და დახვეწილი გემოვნების მქონე მაღალი დონის პროფესიონალია.

რამაზ ქარუხნიშვილი (კომპოზიტორი):

ირაკლი ცინცაძე სულ ძიებაშია. მე ვიცი მისი წარმატებული ნაწარმოებები კამერულ ჟანრში. შემოქმედის გზა საკმაოდ რთული და ეკლიანია. მისი კანტატა არის ცდა შექმნას დიდი ვოკალურ-სიმფონიური ტილო. ეს, როგორც ჩანს, უფრო მეტ სითამამეს, უფრო მასშტაბურ ხედვას მოითხოვს, მითუმეტეს, როცა ნიკოლოზ ბარათაშვილის ხედვას ეხები. ალბათ, შემდგომ ნაწარმოებში ბ-ნი ირაკლი უფრო სრულად წარმოგვიჩენს იმ მხატვრულ შესაძლებლობებს, რაც გააჩნია გუნდის, სოლისტებისა და ორკესტრის სინთეზს. მე მას წარმატებებს ვუსურვებ.

ნანი სანაძე სტუდენტებთან ერთად (კლასის კონცერტის შემდეგ)

პედაგოგი - შემოქმედი

საქართველოში საფორტეპიანო პედაგოგიურ სკოლას ხანგრძლივი და სასახელო ტრადიცია აქვს, მრავლად გვყავს სახელოვანი, ღვაწლმოსილი პედაგოგები. ამდენად, პროფესიული ავტორიტეტის მოპოვება, საკუთარი ადგილის დამკვიდრება, იოლი საქმე არაა. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებულ პროფესორს და ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო გიმნაზიის (ახლა „ნიჭიერთა ათწლედის" სახელი რომ აღიდგინა) პედაგოგს, ნანი სანაძეს, უკვე დიდი ხანია მოპოვებული აქვს საუკეთესო ავტორიტეტი. ჯერ კიდევ სტუდენტობის ხანაში, ცნობილი პედაგოგის თამარ ჩხარტიშვილის

ნანი სანაძე რეპეტიციაზე

აღსაზრდელი, თანატოლთა შორის განირჩეოდა როგორც ნიჭიერებით, ისე შრომისმოყვარეობით, მუყაითობით. სწავლის დამთავრებისთანავე კი პედაგოგიური სარბიელი აირჩია, თუმცა დასაწყისში არც საკონცერტო მოღვაწეობისათვის აუქცევია გვერდი. მახსოვს, მოსკოვის კონსერვატორიაში სტაჟირების გავლის შემდეგ მშობლიური კონსერვატორიის მცირე დარბაზში გამართულ სოლო კამერულ კონცერტზე გამოტანილი ვრცელი პროგრამა, საიდანაც ჩემს მეხსიერებას განსაკუთრებით შემორჩა პროკოფიევის №7 სონატის მგზნებარე შესრულება. მერე და მერე კი პედაგოგიურმა სამუშაომ ისე გაიტაცა, იმდენი ძალისხმევა მოითხოვა, საკუთარი კონცერტებისათვის დროც აღარ რჩებოდა. თუმცა არცთუ იშვიათად საკუთარი კლასის კონცერტებში თავადაც ჩაერთობა ხოლმე, როგორც ანსამბლში, ისე სოლო შესრულებით.

დიაღ! ნანი სანაძე მუსიკალურ წრეებში კარგადაა ცნობილი, როგორც თავდადებული პედაგოგი, ენთუზიასტი, საქმის უანგარო მოყვარე, ვინც სასწავლო პროგრამებით გათვალისწინებულ საათებს არას დაგიდევთ, მეცადინეობს იმდენ ხანს, ვიდრე თავის შეგირდებისგან მისთვის სასურველ შედეგს არ მოიპოვებს. შედეგიც თვალნათელია. წელიწადი ისე როგორ ჩაივლის, საკუთარი კლასის კონცერტზე ვრცელი პროგრამა არ წარმოადგინოს, თავისი შეგირდები საზოგადოებას არ გააცნოს. ხშირად, ჩვენს კონსერვატორიაში დაკანონებული კლასის ერთი კონცერტით არც კმაყოფილდება. ნებადართული რომ ყოფილიყო ორს კი არა, წარმატებით უზრუნველჰყოფდა რამდენიმე საღამოს საკმარ ვრცელ პროგრამას.

და აი, მივადექი საკონცერტმაისტერო დახელოვნების კათედრის პედაგოგ ნანი სანაძის კიდევ ერთ, ფრიად დასაფასებელ თვისებას. მისი კლასის კონცერტები მსმენელის ინტერესს იწვევს არა მხოლოდ პროფესიული ხარისხოვნებით, არამედ მრავალფეროვანი, საინტერესო პროგრამებითაც. ეს პროგრამები მუდამ კარგადაცაა გააზრებული, დრამატურგიაც მოფიქრებულია და, რაც მეტად საგულისხმოა, სიახლითაა გაჯერებული, — თბილისელ მსმენელს ან სრულიად უცნობი თანამედროვე კომპოზიტორის, ან წარსული დროის ნაწარმოებებით იზიდავს. ხოლო სტუდენტებს, ანუ მომავალ კონცერტმაისტერებს კი ახალ-ახალ სოლისტებთან — ხან ვოკალისტებთან, ხან ხემიან-სიმებიანი, ხან ჩასაბერი საკრავების მუსიკოსებთან თანამშ-

რომლობისათვის ამზადებს. ეს უკანასკნელნი, ჩასაბერი საკრავები, უწინ სოლისტების ამპლუაში ფრიად იშვიათად თუ გამოჩენილან, ახლა კი უფრო და უფრო აქტიურად მონაწილეობენ საკონცერტო ცხოვრებაში. ნ. სანაძე თავისი პედაგოგიური მუშაობით ამასაც უწყობს ხელს.

მაგალითისათვის მოვიტან, თუნდაც უკანასკნელ ხანს, 2011-12 წლებში გამართულ კონცერტებს. ერთ-ერთ ამ კონცერტში (2011. 8 დეკემბერი) ჩვენი დედაქალაქის მსმენელი პირველად გაეცნო ფრანგი კომპოზიტორის, ჟან ფრანსეს შემოქმედებას. პედაგოგმა და სტუდენტებმა კომპოზიტორის დაბადებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღს უძღვნეს საღამო. კომპოზიტორის დაბადების 100 წელი შესრულებულა, თბილისელი მსმენელი კი პირველად ეზიარა მის მომხიბლავ მუსიკას! ნ. სანაძის სტუდენტებმა, ტყუპმა გოგონებმა, ანი და ნია სულხანიშვილებმა (ფ-ნო) და დიმიტრი ბოქოლიშვილმა (კლარნეტი, პედაგ. დ. ჯიშკარიანი) აღმაფრენით შეასრულეს ჟ. ფრანსეს კლარნეტისა და ფორტეპიანოსათვის განკუთვნილი თხზულებები. მათ ვირტუოზული გაქანებითა და არტისტიზმით გააჟღერეს ასევე ვერდი-ბასის საკონცერტო ფანტაზია „რიგოლეტოს" თემებზე, ლეო ვაინერის ბალადა, ალეკსანდრ ცფასმანის ინტერმეცო, ასტორ პიაცოლას Histoire du Tango. პროგრამის ეს ჩამონათვალიც გვითითებს, რაოდენ არასტანდარტული და საინტერესო, ჩვენთვის ახალი იყო პედაგოგის მიერ შერჩეული პროგრამა. ხოლო შესრულების მხატვრულ-პროფესიული ხარისხი ნათელჰყოფდა, თუ მასწავლებლისა და მისი მოწაფეების რაოდენ დიდი ერთობლივი შრომა იყო გაღებული ამგვარი ხარისხის მოსაპოვებლად.

აქვე აღვნიშნავ, რომ ჩვენი დროის კომპოზიტორის, ასტორ პიაცოლას მუსიკამ თბილისში პირველად სწორედ ნ. სანაძის სტუდენტების საკონცერტო პროგრამებში გაიჟღერა. მოწონება კი ისეთი ჰქონდა, სხვებმაც აიტაცეს, ახლა ხშირად ასრულებენ.

აღნიშნულ კონცერტს მალევე (21 დეკემბერი) მოჰყვა ნ. სანაძის კლასის კიდევ ერთი კონცერტი, კვლავ საინტერესო პროგრამით, რომელიც, ამჯერად რუსულ კლასიკას დაეთმო. თუმცა აქაც, მუსორგსკის, ჩაიკოვსკის, რახმანინოვის, რიმსკი-კორსაკოვის, პროკოფიევის, შჩედრინის უმდიდრესი მემკვიდრეობიდან ამოკრებილი იყო ნაწარმოებები, ფრიად იშვიათად რომ გაისმის კამერულ პროგრამებში. შესრულება იყო ისეთი, მიძნელდება პროგრამის 12 ნომრიდან რომელიმეს გამოყოფა. და მაინც, ყურადღებას შევაჩერებდი მუსორგსკის ციკლზე „საბავშვო". რთულია ეს ნაწარმოები, როგორც ვოკალური და პიანისტური თვალსაზრისით, ისე ანსამბლურობის მიღწევის, ნაწარმოების არსში, ღრმა ქვეტექსტში წვდომის, სიტყვისა და მუსიკის თანხვედრის მხრივ. სოფიო კოჭლამაზაშვილის (ფ-ნო) და მზია ჭილაძის (ვოკალი. პედ. გ. კარიაული) სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამოცანა, რომელიც პედაგოგმა მათ წინაშე დააყენა, ღირსეულად დაძლიეს. ამ საღამოსაც თავი ბრწყინვალედ აჩვენა ზემოხსენებულმა ნ. და ა. სულხანიშვილებისა და დ. ბოქოლიშვილის ანსამბლმა.

კონსერვატორიის მაგისტრატურის ახლად კურსდამთავრებული კლარნეტისტი დიმიტრი ბოქოლიშვილი, მართლაც რომ ვირტუოზულად ფლობს თავის საკრავს. ტექნიკურ გაწაფულობასთან ერთად მის შესრულებას არტისტიზმიც ამშვენებს, მუსიკალობაც უხვად აქვს მომადლებული. ივი აქტიურად მონაწილეობს ხოლმე ნ. სანაძის კონცერტებში და მოწონებაც ყოველთვის დიდი აქვს.

მისთვის ჩვეული მგზნებარებითა და ტემპერამენტით გამოირჩა მარიამ ტურაშვილის (ვოკალი, პედ. თ. მუშკუდიანი) შესრულება, ეკა ბოკუჩავასა (ფ-ნო) და სალომე ჩანტლაძის (ფ-ნო) თანხლებით. ლექსო პირმისაშვილის (ფ-ნო) შესრულება არ ითხოვდა შეღავათს პირველკურსელობის გამო, ისევე, როგორც გიმნაზიის მოსწავლე ლიზა მამრაძისეული (ფ-ნო) ჩაიკოვსკის ვალსი-სკერცო. ალუდა თოდუამ (ვოკალი, პედ. ე. გეწაძე) გვიჩვენა, თუ ღვთით ბოძებულ ლამაზი ტემბრის ხმას რარიგ ამშვენებს პროფესიული გაწაფულობა. მომღერალს მშვენიერი მონაცემების წარმოსაჩენად საუკეთესო პირობა შეუქმნა ანი გიგაურის საფნო აკომპანემენტმა. ფაქიზი ლირიზმით გამოირჩა ნინო კუპრეიშვილის (ფ-ნო) და თორნიკე გეწაძის (ჩელო. პედ. თ. გაბარაშვილი) შესრულებით რახმანინოვისეული Andante. მაია ლელუაშვილის, ანი ნიკურაძისა და თამარ მიდელაშვილის მხატვრული აკომპანემენტიც მოწოდების სიმაღლეზე იდგა.

მინდა უსათუოდ აღვნიშნო, რომ ნ. სანაძის ყურადღების მიღმა არ რჩება ქართული საკომპოზიტორო სკოლა. ჩვენი კონსერვატორიის საფორტეპიანო მუსიკის კონცერტებში ქართული მუსიკის გაჟღერება ხშირი რომ არაა, ამ ღირსებას ამიტომ განსაკუთრებით ვუფასებ ნ. სანაძის კლასის საღამოებს. ზ. ფალიაშვილის, ო. თაქთაქიშვილის, ს. ცინცაძის, რ. ლაღიძის, ვ. აზარაშილის, რ. კემულარიას ნაწარმოებებს ერთხელ და ორჯერ როდი დაუმშვენებიათ მისი კლასის საკონცერტო პროგრამები.

გავიხსენებ ნ. სანაძის საახალწლოსა და საშობაო კონცერტების საზეიმო, მხიარული განწყობის შესაქმნელად გამიზნულ საკონცერტო პროგრამებსაც, მონოგრაფიულ საღამოებსაც (მაგალითად რახმანინოვის, მუსორგსკის რომანსები, მათივე ვოკალური ციკლები).

2012 წ. აპრილის კლასის კონცერტი ასევე კვალში ედგა ნ. სანაძისეულ პრინციპს — ვრცელი, მრავალფეროვანი, საინტერესო, სიახლით გაჯერებული იყო პროგრამა. ჩვენი მსმენელი აუდიტორიისთვის კარგად ცნობილ, კლასიკოსების, შუბერტის, ჩილეას, ფორეს, მასნეს, სენ-სანსის, ბელინის, ვერდის, ვაგნერის, სარასატეს, კრაისლერის თხზულებებს, ენაცვლებოდა ჟ. ბ. დე ბუაღმატიეს, დოპლერის (ბაროკოს ეპოქა), ენესკუს, პულენკის, ბერნსტაინის, მარტინუს (XXს.) მუსიკა. ცალკეული ამ ნაწარმოებთაგანი თბილისურ კამერულ კონცერტში პირველად გაისმა. ასეთი იყო, მაგალითად, ბუაღმატიეს ტრიო-სონატა, თავი რომ დაგვამახსოვრა თამარ საკანდელიძის (ფლეიტა. პედაგ. მ. ჟვანია), ლელიკო გოკიელის (ფლეიტა. თბილისის შემდეგ ბერლინის კონსერვატორიაში რომ ხვეწს პროფესიულ უნარს), ზურაბ გვანცელაძისა (ჰობოი. პედაგ. გ. ბერიძე) და პიანისტ მაია ლელუაშვილის შესრულებით.

ნ. სანაძის კონცერტებს ხშირად ამშვენებს უკვე აღიარებული, ცნობილი მუსიკოსების მონაწილეობა. ამჯერადაც კონცერტში მოწვეული იყვნენ ოპერის სოლისტები: ლიანა კალმახელიძე, ირმა ბერძენიშვილი, ელენე პუტილოვა, სულხან გველესიანი, ვისაც ღირსეული საფ-ნო პარტნიორობა გაუწიეს ანი ნიკურაძემ, ნინო კუპრეიშვილმა, სოფიო კოჭლამაზაშვილმა, ეკა ბოკუჩავამ. საუცხოო მუსიკოსების, სიმფონიური ორკესტრის ფლეიტისტის, ირაკლი ევსტაფიშვილისა და კლარნეტისტ შოთა გოგოძის, კონცერტმაისტერ მაია მამარდაშვილის (ვიოლინო), პიანისტებთან ია სილაგავასთან, ლიზა მამრაძესთან, მაია ლელუაშვილთან, ერთობლივმა გამოსვლამაც მხურვალე ტაში დაიმსახურა. ზურაბ გვანცელაძემ (ჰობოი) და პიანისტმა გიორგი ესიაშვილმაც მშვენიერი ანსამბლი შექმნეს. ნინო ბარქაიას (ფ-ნო) და სალომე ბუკიას (ვიოლინო) დუეტსაც, სარასატეს და კრაისლერის შესრულებით მოწონება ჰქონდა. ვერდის „მაკბეტიდან" ბანკოს არიამ ჩინებულად გაიჟღერა ლევან მაკარიძის (ვოკალი. პედაგ. თ. მუშკუდიანი) და ირინა ვაშაკიძის (ფ-ნო) ანსამბლში.

პროგრამის კაშკაშა საფინალო აკორდი იყო მარტინუს სექსტეტი. ამ არცთუ იოლი სანოტო ტექსტის სათანადო მხატვრულ დონეზე გაჟღერება იყო ისეთი, დარბაზის დაჟინებული მოთხოვნით bis-ზე გაამეორებინეს კიდეც. სალომე ბუკიამ (ვიოლინო. პედაგ. კ. ვარდელი), ირაკლი ჯიბუხაიამ (კლარნეტი. პედაგ. რ. ჯიბლაძე), შალვა ნანობაშვილმა (ფაგოტი. პედაგ. მ. მაწკეპლაძე), გიორგი შამანაურმა (საყვირი. სიმფ. ორკესტრის სოლისტი). გვანცა მათიაშვილმა (ჩელო. პედაგ. თ. გაბარაშვილი) და სოფო კოჭლამაზაშვილმა (ფ-ნო) ეს თხოვნა ხალისით შეასრულეს.

ამ კონცეტში ნანი სანაძემ, თავისი გამოსვლით ტონი მისცა შეგირდებს — ბელინის „ნორმა"-დან ნორმას და ადალჯესტას დუეტს (ირმა ბერძენიშვილი, ელენე პუტილოვა) გაუწია თანხლება.

ყველაფერი ზემოთქმულის შედეგია, რომ ნ. სანაძის კლასის კონცერტების დასრულების შემდეგ მსმენელს არ სურს დარბაზის დატოვება, bis-ზე დაჟინებით იწვევს ახალბედა მუსიკოსებს და ისინიც მზად არიან გამოცხადებული პროგრამის მიღმა დარჩენილი ნაწარმოებები შეასრულონ.

სჩანს, პედაგოგის ერთ-ერთი მიზანია იშვიათად გაიმეოროს პროგრამა, მუდამ სიახლეს ესწრაფვის, თუმცა შემსრულებელთა სახელები წლითი-წლობით განახლებას განიცდის. ასევე ნათელია შემოქმედებითი ძიების წყურვილი, რაც ახალ-ახალი ამოცანების პირისპირ აყენებს განა მარტო მოსწავლე-ახალგაზრდობას, არამედ თავად პედაგოგსაც. ეს კი წინსვლის საწინდარია, პედაგოგიური საქმიანობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მაჩვენებელია.

რუსუდან ძუთათელაძე

იოსებ ბარდანაშვილი

სტილი, აგროვნება, კონცეფცია

საუბარი კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილთან

2012 წლის ფესტივალის „შემოდგომის თბილისი“ ერთ-ერთი სტუმარი იყო კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილი. ამ საფესტივალო დღეებში შედგა ჩვენი ხანგრძლივი საუბარი კომპოზიტორთან. ჟურნალის ფორმატის გათვალისწინებით გთავაზობთ იოსებ ბარდანაშვილის პასუხებს იმ კითხვებზე, რომელიც, ვფიქრობ, უპირველესად პროფესიონალი მუსიკოსებისთვის იქნება საინტერესო.

— ბატონო სოსო, კომპოზიტორისთვის, ხელოვანისთვის, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოს, კონტექსტს, რომელშიც ის ქმნის თავის ნაწარმოებებს. თქვენ 1995 წელს მოგიხდათ ერთი კულ-

ტურის კონტექსტიდან მეორეში გადასვლა. სოციალურად ეს რომ რთული იქნებოდა, აბსოლუტურად გასაგებია. შემოქმედების თვალსაზრისით თუ მოგიხდათ თქვენი პრინციპების კორექტირება ახალი გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ხშირად მიწევს ინტერვიუებში... შემიძლია ვთქვა, რომ პრინციპულად, მსოფლმხედველობის თვალსაზრისით, არაფერი შეცვლილა (მე ხომ ისრაელში 1995 წელს 47 წლის ასაკში წავედი, საკმაოდ ჩამოყალიბებული მუსიკალურ-ესთეტიკური ხედვით და 25 წლიანი შემოქმედებითი გამოცდილებით), მაგრამ გაფართოვდა მუსიკალური შესაძლებლობების სპექტრი. ადრე თუ სიმფონიურ ან მცირე, ძირითადად ტრადიციული, ტიპური ფორმის და შემადგენლობის ნაწარმოებების წერით ვიყავი დაკავებული, აქ, ისრაელში მომეცა მეტად ფართო საშუალება სხვადასხვა შემადგენლობის ინსტრუმენტული ანსამბლებისთვის ვწერო. ისრაელში ძალიან დიდი არჩევანია, დიდი საშემსრულებლო რესურსებია. კიდევ ერთი, რასაც აღვნიშნავდი არის ის, რომ მართალია ყოველთვის, ბავშვობიდან ვიყავი დაინტერესებული რელიგიით (მე ტრადიციის მიმდევარი ებრაული ოჯახის შვილი ვარ), მაგრამ სწორედ ისრაელში ჩასვლის შემდეგ გამიღრმავდა ინტერესი თეოლოგიის მიმართ.

ჩემი უფროსი ძმა, რუბენი, ქართველი სიონისტი იყო და პირველად სწორედ მან დამაინტერესა ებრაული რელიგიისთვის დამახასიათებელი მრავალშრიანი აზროვნებით, რომელმაც მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა ჩემი საკომპოზიტორო აზროვნების განვითარებას. მე ვგულისხმობ იმ ტიპის მხატვრულ აზროვნებას, რომელიც ერთ საყრდენ ღერძზეა დაფუძნებული და ყველა სხვა ერთეული მასზეა დამოკიდებული. აქ მახსენდება ჩემი ძმის არქიტექტურული პროექტები – დაკიდებული კონსტრუქციები, რომლებიც, სამწუხაროდ, იმ დროს ვერ განხორციელდა, იმდენად არარეალურად ეჩვენებოდა ყველას. ეს დაკიდებული კონსტრუქციებიც ანალოგიურ პრინციპზეა დაფუძნებული.

ამრიგად, მსგავსმა აზროვნებამ საშუალება მომცა სხვადასხვა მხრიდან შემეხედა ერთი ობიექტისთვის (თუნდაც ინტერვალისთვის). შესაძლებელია ჯერ მასში მხოლოდ ერთი შრე დაინახო, შემდეგ კიდევ სხვა, ახალი შუქით აღვსილი და ა. შ.

ჩემთვის, ასევე, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გარემო. ისრაელმა ბევრი სხვადასხვა დიასპორის — პოლონური, ესპანური, რუსული, ქართული, გერმანული, ეთიოპიურიც კი – წარმომადგენელი გააერთიანა და თითოეული ეს დიასპორა ამ ქვეყნების კულტურული ფასეულობების მატარებელია. რაც, თავისთავად, ჩემთვის წარმოუდგენლად საინტერესო კულტურული ექსპერიმენტია და დიდი შენაძენი.

მახსენდება ჩემი სტუდენტური ცხოვრებისდროინდელი თბილისური თუ ბათუმური ეზო, სადაც სხვადასხვა ეროვნების და რწმენის ადამიანები ერთად ცხოვრობდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთის კულტურას, წეს-ჩვეულებებს. ასე რომ, ჩემი მუსიკალური ენა, რომელიც „ახალი ეკლექტიზმის“ თავისებური გამოძახილია, ისრაელში თვისობრივად არ შეცვლილა.

ისრაელში ყოფნისას გამიძლიერდა ინტერესი ივრითის, ალეფ-ბეთის ენის მიმართ, ასევე, რიცხვთა სიმბოლიკის, ნუმეროლოგიის მიმართ, რაც ჩემთვის წესრიგთან, ნაწარმოების არქიტექტონიკურ სიმყარესთანაა დაკავშირებული.

მთლიანობაში შემიძლია ვთქვა, რომ რეალურად არაფერი შეცვლილა, რადგან უცვლელი დარჩა მთავარი: ნაწარმოებზე მუშაობის დაწყებისთვის ჩემთვის მნიშვნელოვანია გარკვეული მუსიკალური ამოცანის ან იდეის არსებობა, რომელიც, როგორც წესი, არ არის მიბმული გარკვეულ საკრავზე თუ შემადგენლობაზე. ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, არაპრაქტიკული კომპოზიტორი ვარ. ამიტომაცაა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ჩემი პირველი წარმატება ფორტეპიანოსთან და ნანა ხუბუტიას სახელთანაა დაკავშირებული, მაქვს მხოლოდ რამდენიმე საფორტეპიანო პიესა ე. ი. დღეისთვის არ გამაჩნია რაიმე ახალი, განსაკუთრებული იდეა ამ საკრავთან მიმართებით (თუმცა ფორტეპიანო, ჩემი კამერული ანსამბლების საკმაოდ ხშირი სტუმარია და საკმაოდ ხშირია თხოვნაც — შევქმნა რაიმე ახალი).

დღეს ძალიან ბევრი კომპოზიტორი წარმატებას სწორედ მცირე ფორმის სოლო თუ ანსამბლური პიესებით აღწევს. ახალი ექსპერიმენტული მუსიკა ამერიკაში თუ ევროპაში უნივერსიტეტებში იწერება და მათ ბაზა-

ზე შექმნილი ანსამბლების, გუნდების და ორკესტრების მიერვე სრულდება. დიდმასშტაბიანი ნაწარმოების საკონცერტო ესტრადაზე შესრულება ძალიან რთულია, მცირე ეფექტური საკონცერტო პიესების შექმნა კი გარკვეული გამოსავალია კომპოზიტორებისთვის.

— ლექციებში, საუბარში თქვენ ხშირად აღნიშნავთ კონცეფციის მნიშვნელობას. კონცეფცია, როგორც ცნობილია, სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს: ერთისთვის ეს ადამიანის და სამყაროს ურთიერთობაა, მეორესთვის რაიმე იდეის მხატვრული ხორცშესხმა, მაგალითად მათემატიკურის, ან სივრცულის და ა. შ. თქვენთვის რა არის ნაწარმოების კონცეფცია?

— ჩემთვის ნაწარმოების კონცეფცია, პირობითად რომ ვთქვა, არის გზა. ეს დაკავშირებულია ჩემს ერთერთ ადრინდელ, ჯერ კიდევ სტუდენტურ განცდასთან. ერთხელ ვიყავი ახალგაზრდა კომპოზიტორების ფესტივალზე. ბევრი ჩვენგანი მაშინ გატაცებული იყო ახალი გერმანული თუ პოლონური საკომპოზიტორო სკოლების წარმომადგენელთა შემოქმედებითი მიგნებებით და აი, ამ კონცერტზე გამიჩდა აზრი, რომ ყველა შესრულებული ნაწარმოები, თითქოსდა, ერთ ქარგაზე იყო აგებული. ჩემი ნაწარმოებიც მათგან დიდად არ გამოირჩეოდა თავისი ფერით თუ ავტორისეული ხედვით. სწორედ მაშინ დავფიქრდი პირველად: ვინ ვარ? საიდან ვარ? რას ვეძებ მუსიკაში? მაშინ პირველად ამომიტივტივდა ებრაული თემა. გამახსენდა ბაბუაჩემის სიტყვები:— „წადი, ბაბუ, სალოცავში და მოისმინე რა ლამაზი ლოცვები გვაქვსო“. — რა თქმა უნდა, სალოცავში ადრეც დავდიოდი და მესმოდა, მაგრამ მაშინ პირველად მოვისმინე (!!). მოვისმინე და დავინახე ძალიან საინტერესო რიტუალი, მკაცრად დადგმული, ზუსტად დადგენილი დეტალებით. ეს იმდენად შეესაბამებოდა ჩემს იმდროინდელ ძიებებს, რომ აღმოჩენა ჩემთვის შოკისმომგვრელი იყო. მაშინ დავფიქრდი ჩემს მუსიკალურ ენაზე, შესაბამისად, გამიჩნდა სურვილი, რაღაც დონეზე, ახალი განცდების, ჩემთვის ახალი მუსიკალური ენის მოსაძებნად წარმომედგინა თავი სხვადასხვა ეპოქაში თუ ქვეყანაში დაბადებულ ებრაელ კომპოზიტორად. ასე დავიწყე მოგზაურობა კულტურებში.

კომპოზიტორები: თეიმურაზ ბაკურაძე, იოსებ ბარდანაშვილი და მერი დავითაშვილი

— ნაწარმოებებში თქვენ ხშირად მიმართავთ ციტაციას. ესეც, ალბათ, მოგზაურობაა.

— არასოდეს არ ვიყენებ ციტირების ხერხს. ეს უფრო მინიშნებას ჰგავს. აი, მაგალითად, მეორე საფორტეპიანო სონატაზე მუშაობისას წარმოვიდგინე, რომ ვარ XVIII საუკუნის კომპოზიტორი, ვთქვათ კარლ ფილიპ ემანუელ ბახი (!!?), ებრაელად დაბადებული (?). ამ იდეამ მიკარნახა კონკრეტული გამომსახველი ხერხები. საოცარია, მაგრამ ასეთ შეზღუდვას, უმეტესწილად, საოცარი თავისუფლება მოაქვს! სხვა შემთხვევებში ნაწარმოების იდეა განსხვავებული იმპულსიდან იბადება. ყოველთვის მაინტერესებს ჰარმონიული ენის საკითხი, კონსტრუქციისა, რომელიც ნაწარმოების თვისობრივი ნიშნის, განსაკუთრებული ფერის მატარებელია. იგი ჩემია და ყოველთვის ნაწარმოების მთავარ იდეას, მის კონცეფციას, გზას უკავშირდება.

— ვინაიდან ჰარმონიაზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა დაგისვათ უფრო კონკრეტული კითხვა, რომელიც თქვენი შემოქმედებითი პროცესის საიდუმლოებს ცოტათი მაინც ახდის ფარდას. მაინტერესებს, ნაწარმოების შექმნისას იმპულსად მუსიკალური ენის რომელ კომპონენტს (რიტმი, ინტონაცია, ჰარმონია და ა. შ.), ან

რაიმე ექსტრამუსიკალურ მოვლენას (ფერწერას, ლიტერატურას, ან სულაც ბუნების მოვლენებს) მიიჩნევთ? რა მნიშვნელობას ანიჭებთ მუსიკალური დროის და სივრცის ორგანიზებას?

— როგორც ვთქვი, ჩემთვის მუსიკალური ენის ორგანიზებაში ძალიან მნიშვნელონავია ჰარმონია, თუმცა, ასევე უმნიშვნელოვანესია ინტონაცია. ქართული მუსიკა თავისი ბუნებით ხომ ვოკალურია და, ამდენად, ინტონაციას, გამღერებულ ინტონაციას ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ნაწარმოების შექმნისას იმპულსი შესაძლოა სხვა კომპოზიტორის შემოქმედება, მისი კონკრეტული ნაწარმოები იყოს. აი, მაგალითად, ჩემი „მოჩვენებანი მთვარისეულ შუქზე“ კამერული ანსამბლისთვის უნდა შესრულებულიყო შონბერგის Pierrot lunaire-თან ერთად. მე ჩავთვალე, რომ ჩემი ნაწარმოები თავისებური პრელუდია უნდა ყოფილიყო და ვეცადე შემექმნა გარკვეული თემატური თაღი ჩემი ნაწარმოების დასასრულსა და შონბერგის დასაწყისს შორის. დაკვეთაში თავიდანვე მითითებული იყო, რომ ის დაიწერება შონბერგის შემადგენლობისათვის, მაგრამ მე ვითხოვე ორი გიტარის (კლასიკური და ელექტროგიტარა) დამატება, რადგან მინდოდა შონბერგის ნაწარმოების დეკადენტურობისთვის გამესვა ხაზი. სხვა გამომსახველ ელემენტებთან ერთად, კლასიკური გიტარის (ადამიანური, ინტიმური) და დღევანდელი სენსორული ელექტროგიტარის (მკვეთრი, აგრესიული, კოსმიურიც კი) შეჯახება მსმენელთათვის ასეთ ინფორმაციის მიტანას შეძლებდნენ.

— მაგრამ ეს ხომ არაა ე. წ. პოლისტილისტიკა? თქვენ არა სხვადასხვა სტილების მექანიკურ, კოლაჟურ შეერთებას, არამედ კონცეპტუალურ, ასე ვთქვათ, სხვა სტილიდან „ამოზრდის“, სხვა სტილური ელემენტებით ოპერირების პრინციპს მიმართავთ. ეპყრობით მათ, როგორც საკუთარი სტილის ელემენტებს.

— დიახ, ეს არაა პოლისტილისტიკა. ჩემი მუსიკალური ენა ნიშანთა ენაა. მე ვფიქრობ, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანია. სხვადასხვა ესთეტიკის და გემოვნების აღრევას ხშირად საოცარი სიღრმეების წარმოჩენა შეუძლია, რომლის გახსნა არ ძალუძს თვით ყველაზე სრულყოფილ მუსიკალურ ენასაც კი. მაგალითად, საფორტეპიანო კონცერტის Quazi una fantazia-ს თემა, ერთი შეხედვით, საშინლად ჭრელი ინტონაციური მასალისგან შედგება: იწყება შოსტაკოვიჩის მეხუთე სიმფონიის მესამე ნაწილის თემის საწყისი ინტონაციით, მერე იქვე შემოდის მალერის, შოპენის ნოქტიურნის, ბახის და ჯაზის ალუზიები. ასე იბადება რაღაც ახალი, განსხვავებული, უსასრულო, რაც სრულიად ინდივიდუალურია. ეს არც შოსტაკოვიჩია და არც მალერი, ეს მხოლოდ ჩემი, სრულიად ორგანული მუსიკაა, რომელშიც ათასწლეულის სმენითი გამოცდილება ორგანულად ერწყმის ერთნანეთს.

— თქვენ, როგორც თქვენი თაობის მრავალი სხვა კომპოზიტორი, დიდი ისტორიული ეტაპის თვისებების მატარებელი ხართ, რომელიც 70-იანი წლებიდან დაიწყო და პოსტმოდერნის სახელითაა ცნობილი. მართალია, ეს ტერმინი საკმაოდ ხელოვნურია, რადგან არ ასახავს მხატვრული მოვლენის არსს, მაგრამ თუ მივიღებთ მის გავრცელებულ განსაზღვრებებს, თქვენთვისაც კულტურა, მთელი კაცობრიობის კულტურული მემკვიდრეობა ესაა ერთიანობა და მთლიანობა.

— გეთანხმები! მე ისეთი სმენითი აღქმის პროდუქტი ვარ, რომელიც ყველაფრიდან ყველაფერს იღებს და თავისებურ ადაპტაციას ახდენს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არა პოლისტილიკაა (ჩემი დიდი სულიერი მეგობრის შნიტკეს გაგებით), არამედ ახალი ეკლექტიკაა. შესაძლებელია, ასე იმიტომ ვწერ, რომ შინაგანად არა მაქვს სურვილი ვიყო რევოლუციური. შესაბამისად, ჩემს მუსიკალურ ენას და კონცეფციას „ვფუთავ“ გარკვეულ ჩარჩოებში, რომლებიც ჩემთვის უფრო მისაღებია და ლოგიკური. გამომსახველი ხერხები შეიძლება საერთო იყოს ავანგარდთან, მაგრამ ისტორიული ცნობიერება და მეხსიერება ქმნის განსხვავებულ შედეგს.

— დღევანდელი ჩვენი საუბარი მინდა დავასრულოთ ასეთი კითხვით: დღეს ბევრი ხელოვანი, მათ შორის კომპოზიტორები, საუბრობენ მხატვრული იდეის კრიზისზე, კომპოზიტორის მოწოდების, მისი პროფესი-

ის კრიზისზე, თქვენ კი ამდენი ისაუბრეთ კონცეფციაზე, იდეაზე. რას ფიქრობთ ამაზე?

— იდეების კრიზისი მართლაც არსებობს. ახალი თაობის კომპოზიტორები, ერთი შეხედვით, ძალიან საინტერესოდ მუშაობენ, უამრავი ახალი თვისება შეიძინეს, როგორც ბგერათწარმოქმნის, ისე გამომსახველი საშუალებების ფლობის მხრივ, ასევე ტექნიკური მომზადების მხრივაც (რაც სულ ორიოდე კვირის წინ ისრაელში გამართულ აზიის ქვეყნების მუსიკის ფესტივალმაც დამანახა), მაგრამ ისეთი გრძნობა დამრჩა, რომ რაღაც, მთავარი, სიღრმისეული პრობლემა დაგროვდა.

— როგორ ფიქრობთ, რა არის ამის მიზეზი?

— ახალ გლობალურ სამყაროში ინდივიდუალურმა „მე"-მ თითქოს დაკარგა თავისი პირვანდელი მნიშვნელობა. არადა შემოქმედი ხომ პირველ რიგში, ამ განსხვავებული „მე"-ობის შეჯერებაა იდეასთან. ეს ჩემი აზრი ადრე მხატვარ ვოგი ალექსი-მესხიშვილს გავუზიარე და მან მიპასუხა: — სოსო, ჩვენ რომ მოვედით (ამ შემთვვევაში ვოგი გულისხმობდა 60-იან წლებში თეატრში მოსულ ახალ თაობას), ახალი იდეების მატარებლები ვიყავით. ჩვენ მოვედით ჩვენი ახალი იდეით, რომელიც ჩვენი განსაკუთრებული ინდივიდუალური ხედვის ნაყოფი იყო. დღეს კი, ბევრ შემთხვევაში, ჩვენს იდეებს ღებულობენ, სათამაშოსავით ათამაშებენ, ათამაშებენ ათასნაირად, უნდათ რომ იყვნენ ორიგინალურები, მაგრამ იდეა არ აქვთ.

მიზეზები დღესაც, მგონი, იგივეა, რაც საუკუნეების წინ. რომანტიკოსები წუხდნენ, კაპიტალიზმი მოვიდა და ხელოვნება გასართობი, გამოყენებითი გახდაო. ამას წინათ ძალიან საინტერესოდ თქვა ამის შესახებ ერთმა ჩემმა მეგობარმა, აქაურმა ფილოსოფოსმა: — კომპოზიტორები ძალიან განსხვავდებიან XIII, XIV, XV საუკუნეების კომპოზიტორებისაგან რომლებიც ერთ პერსონაჟში აერთიანებდნენ შემოქმედს და შემსრულებელს, მათთვის მთავარი დამკვეთი ღმერთი ან ეკლესია იყო და მასვე უძღვნიდნენ თავის შემოქმედებას. უკვე რენესანსის ხანაში გაჩდნენ სხვა ტიპის საერო დამკვეთები, მაგრამ საკმაოდ დიდი ხანი კიდევ დარჩა ის ძველი სულისკვეთება და თავისუფალი აზროვნების ინერცია და აი, დადგა XIX საუკუნე, როდესაც საბოლოოდ განცალკევდნენ კომპოზიტორი და შემსრულებელი. ახალი „კასტის" შემოსვლამ სცენაზე შეცვალა თამაშის წესები და როცა ეს განცალკევება მოხდა (ხოლო შემოსულმა წარმატების და ფულის გემო გაიგო, დაიწყო მისთვის სასურველის და პუბლიკისთვის მისაღების შერჩევა. დღევანდელ დაკვეთასა და ადრეულ დაკვეთებს შორის პრინციპული განსხვავება დაფიქსირდა. დღეს დაკვეთა თავისთავად უნდა გულისხმობდეს წარმატებას, რაც ბევრ შემთხვევაში კომპოზიტორს წამგებიან სიტუაციაში აყენებს (თუმცა ვიცით სხვა მაგალითებიც, როდესაც შემოქმედი, დამკვეთისთვის მოულოდნელად აწეულ ხელთათმანს ღირსეული წარმატებით აბრუნებს). ყველას ჩვენ გვესაჭიროება ინდივიდი, ხელოვანი შემსრულებელი, რომელიც არაა დაკავებული მხოლოდ თავისი აგენტის მიერ შემოთავაზებული ბიზნეს-პროექტებით და დამკვეთი, რომლისთვისაც შემოქმედის ხელშეწყობა ახალი ეროვნული ფასეულობის შექმნის სურვილია და სულიერი მოთხოვნილება.

ვფიქრობ, რაღაც მწიფდება, სადღაც ამოფეთქავს.

„ჩვენო თბილის–ქალაქო“,ანუ „ძველი თბილისის მუსიკალური ბოჰემა“

“ჩვენო თბილის–ქალაქო” — ასეთი სათაური ახლავს გიორგი და კახა ცაბაძეების სიმღერების კრებულს, (დაიბეჭდა ქალაქ თბილისის მერიის თანადგომით) რომლის გამოცემამაც მხურვალე განცდები გამოიწვია — სიხარულის, მონატრების, სადღაც შეიძლება სევდისა და ტკივილის განცდებიც. სიხარულის განცდა იმის გამო, რომ ცაბაძის სიმღერების ახმიანების შესაძლებლობა ბევრისთვის მისაწვდომი გახდა, მონატრების განცდა უკავშირდება თუნდაც ახლო წარსულის განუმეორებელ თბილისს, სევდასა და ტკივილს იწვევს იმის გაფიქრება, რომ გვინდა– არგვინდა, ამ სამყაროს ხიბლის მეტი წილი გარდასულ დღეთა კუთვნილება გახდა.

სიმღერების კრებულმა, რომელიც გიორგი ცაბაძის სასიმღერო შემოქმედებას ძირითად ნაწილს მოიცავს და კახა ცაბაძის ღირსეულად გაგრძელებული გზის დამადასტურებელი ნიმუშებით გვირგვინდება, თითქოს დააბრუნა ის დრო, როცა გოგი ცაბაძე მოევლინა ქართულ ესტრადას და არამხოლოდ — მოევლინა სამშობლოს, მოევლინა თბილის– ქალაქს და ისე შეესისხლხორცა , რომ უკვე მის განუყოფელ ნაწილად იქცა. მანძილზე ძალიან ნაყოფიერად მოღვაწეობდა მუსიკალური კომედიის ჟანრში).

ფურცლავ სიმღერების კრებულს და კიდევ ერთი განცდა გიპყრობს — გაოცების. გაოცებას იწვევს სიმღერების (ვაჟა–ფშაველას, მორის ფოცხიშვილის, პეტრე გრუზინსკის, ლევან ჭუბაბრიას, შოთა ნიშნიანიძის, ნიაზ დიასამიძის და სხვათა ლექსებზე) ურიცხვი რაოდენობაც — ის, რომ ამდენი შესანიშნავი სიმღერის ავტორი ერთი კომპოზიტორია. კიდევ გაკვირვებს ისიც, რომ მიუხედავად იმისა, რომ ამ სიმღერათა უმრავლესობის ავტორი ყველასათვის ცნობილია, ისეთ ნაცნობ სიმღერებსაც აწყდები, რომელთა ამ კრებულში ხილვა აღმოჩენად იქცევა. ისეა გახალხურებული ეს სიმღერები, ავტორის ვინაობის გარეშე, დარწმუნებული ხარ, თბილისური ფოლკლორის ნიმუშებთან გაქვს საქმე. თვით გოგი ცაბაძის სიმღერები თბილისური ფოლკლორის წიაღიდან ამოიზარდა. შეიძლება იმანაც გაკვირვების განცდა გამოიწვიოს, რომ არანაირად ადგილი არა აქვს ციტირების ფაქტს. გოგი ცაბაძე აგრძელებს საუკუნეების წინანდელი თბილისის ტრუბადურების – საიათნოვას, იეთიმ გურჯის და სხვათა გზას

განგებამ თავად ინება, რომ გიორგი ცაბაძეს თავისი ცხოვრება ძირითადად სასიმღერო ჟანრისათვის მიეძღვნა. კონსერვატორიის საკომპოზიტორო კლასის სტუდენტს (იონა ტუსკიას კლასი) ოჯახური პირობების გამო სწავლის შეწყვეტა მოუხდა და წლების მანძილზე ფილარმონიის დასის ცხოვრებას შეუერთდა, მოგვიანებით კი დაამთავრა საკომპოზიტორო ფაკულტეტი, მაგრამ თავისი შემოქმედებითი გზა უკვე გარკვეული ჰქონდა (აქ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ცაბაძე წლების და თბილისის ტრფიალების მუსიკალური ხორცშესხმის ახალ ეტაპს უდებს დასაბამს.

გოგი ცაბაძის სასიმღერო სტილის ჩამოყალიბებას გარკვეული საფეხურები უძღოდა წინ. ესეც ალბათ კანონზომიერია, რომ პირველი სიმღერები ერთი შეხედვით შეიძლება სხვა წარმოშობისაა, მაგრამ ისინიც ქალაქური ფოლკლორის პირმშონი არიან, თუმცა სხვა განშტოების — სახელდობრ, იტალიურ–ნეაპოლური სულისკვეთებით, რაც ასევე თბილისური ფოლკლორის

ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენდა. ეს ითქმის მის ერთ-ერთ პირველ სიმღერაზე — „მარი", ასევე სიმღერებზე - „შენ სიყვარულს დავიფიცებ", „თუ ვიპოვე თავზე მეტად", „პაემანზე" „დედა" და სხვა. ამ სიმღერებმა, რომლებსაც მერი შილდელი ასრულებდა, თავიდანვე პოპულარობა მოიპოვეს.

ამ კრებულში გოგი ცაბაძის 60- იან წლებში შექმნილი სიმღერებიც არის. მაგ. „ჩემი თბილისის საღამო", „თბილისური სერენადა", „მთაწმინდის მთვარე" და ა.შ. ისინი თავის დროზე უკვე ახალ სიტყვად გაისმა, როგორც თვით კომპოზიტორის შემოქმედებით ცხოვრებაში, ისე ქართულ საესტრადო ხელოვნებაში. ეს არის, მაგალითად, შემდგომში უკვე ცნობილი სიმღერა „გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ" (ვაჟა-ფშაველას ლექსის მიხედვით). ესეც ე.წ. დასავლური ყაიდის ქალაქური ფოლკლორის წიაღიდანაა წარმოქმნილი. იმ სიმღერების მემკვიდრეა, რომელიც დასავლეთევროპული და ქართული ტრადიციული მრავალხმიანობის სინთეზის შედეგად წარმოიქმნა და ორ ან სამ ხმაში სრულდებოდა გიტარის თანხლებით. ამ სიმღერებში განსაკუთრებით ხაზგასმულია ეროვნული კოლორიტი. აქაც სხვადასხვა ფესვები შეიგრძნობა — აღმოსავლეთ საქართველოს თუ მთის ფოლკლორის კილოური მიმოქცევებით. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ "გამოღმით მე ვარ, გაღმით შენ" ქართველი მსმენელის აღქმაში ხშირად შეცდომით ქალაქური ხალხური სიმღერის ნიმუშად მიიჩნევა.

წინამდებარე კრებულის — „ჩვენო თბილის-ქალაქო" სათაურიც უკვე ხაზს უსვამს ფაქტს, რომ აქ ცენტრალური ადგილი თბილისისადმი მიძღვნილ სიმღერებს უკავია. საბოლოოდ ცაბაძის სასიმღერო შემოქმედების თბილისურ თემატიკასთან ასოცირება ხდება. სიმღერათა ეს ნაკადი 70-იანი წლებიდან იძვრება. მაშინ, როდესაც პირველად გაჟღერდება დღეისათვის უკვე ყველასათვის ახლობელი და მშობლიური სიმღერები — „როცა შენ ვერ გხედავ", „უკანასკნელი მეფაიტონე" ...ამ სიმღერებით ახალი ფურცლები იშლება როგორც ქართულ საესტრადო სივრცეში, აგრეთვე თავად თბილისის თემატიკაზე შექმნილ მხატვრულ სამყაროში. რაში მდგომარეობდა ის სიახლე, რომელიც დასახელებულ სიმღერებს ახლდა? ეს გახლდათ ქალაქურ,



აშუღურ საფუძველზე ამოზრდილი რომანსული ტიპის ქმნილებები. მათი მიმზიდველობა მკაფიო და ელვარე სურათოვნებაშია, ამ მომხიბლავ სურათებს პათეტიკური, ზეაწეული მანერა ახლავს, რითიც სახოტბო ობიექტისადმი ემოციის გამოხატვა ხდება.

სიმღერა „უკანასკნელი მეფაიტონე" დღიდან მოვლინებისა, თბილისური ცხოვრების ნაწილად იქცა. მაგრამ რა რეაქცია უნდა გამოეწვია მის მოვლინებას, როცა დაიბადა სიმღერა — ფართო, გაშლილი მელოდიით, დეკლამაციური მანერით, რომელიც მიუხედავად მსუბუქი მღერადობისა, ნოსტალგიასა და ტკივილს

მოიცავს. ნოსტალგიურ განწყობას ამძაფრებს აკომპანემენტის პარტია — აკორდეონისა და გარმონის იმიტაციის გადაძახილით, ერთდროულად სილაღისა და წარსულის დარდის გამომხატველი. აქ, ცხადია, მორის ფოცხიშვილის სიტყვებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სათანადო სულისკვეთების შექმნაში. ეს სიმღერები შთამბეჭდავად ჟღერდა, როგორც ვახტანგ კიკაბიძის, ისე ავტორის შესრულებით.

80-იან წლებში გ. ცაბაძის შემოქმედებაში თბილისისადმი მიძღვნილი სიმღერების ახალი ნაკადი იძვრება. ამ პერიოდში შექმნილი სიმღერა — „ჩვენო თბილის ქალაქო" (მ.ფოცხიშვილის ლექსზე). ამ თემატიკის სასიმღერო ჟანრში ამეტყველების ერთ-ერთ სიმბოლოდ დამკვიდრდა. სწორედ ამ სიმღერით იწყება წინამდებარე კრებული. „ჩვენო თბილის-ქალაქო" უკვე ახალი სულისკვეთების, საზეიმო ჟღერადობის მქონე სადიდებელია. კიდეც ეწოდება მას ოდა. ეს უკვე ნოსტალგია-კაეშანგამოვლილი კომპოზიტორის ახალი ფაზაა. ამგვარ ემოციურ-სახეობრივ პრიზმაში არის გადაწყვეტილი ამ პერიოდში შექმნილი სხვა სიმღერებიც, მაგ. „გული მღერის", „თბილისის უბნებზე", „სადაც გინდა იქ ილოცე" (ეს უკანასკნელი შეიძლება თბილისური მენტალიტეტის გამოხატულებად მივიჩნიოთ).

მანამდე კი ათეული წლების წინ ქართულ პოეზიაშიც დაიძრა თბილისისადმი მეხოტბეობის ახალი ტალღა. აქაც გაგრძელდა საუკუნეების წინანდელი აშუღებისა და საზანდრების — საიათნოვასა და იეთიმ გურჯის ლირიკული ხაზი, მაგრამ ახალი დროის ხედვით და ინტელექტუალურ პრიზმაში გადაწყვეტით. ეს სიახლე იოსებ გრიშაშვილის პოეზიის სახით მოევლინა ქართულ ლიტერატურულ სამყაროს, რომლის ზემოქმედებაც იმდენად ძლიერი იყო, რომ მკითხველთაგან მცირერიცხოვანი დატოვა გულგრილი, მგოსანთაგან კი ცოტაოდენი, ვინც მისი გავლენა არ განიცადა. აქ, ალბათ, მარტო დიდი გალაკტიონის აღიარებაც კმარა, რომელიც აცხადებდა, რომ სიჭაბუკეში მასზე სამმა დიდმა პოეტმა მოახდინა ზეგავლენა — აკაკიმ, ვერლენმა და გრიშაშვილმა.

ერთ-ერთი გამორჩეული თვისება, რამაც გოგი ცაბაძის შემოქმედების მიმზიდველობა განაპირობა, ამ სიმღერების მუსიკალური ტექსტის პოეტურობა და სახიერება გახლდათ, ამაშიც მისი წინაპრები აღმოსავლელი აშუღები იყვნენ, მათი სიმღერებისათვის დამახასიათებელი იყო მუსიკალური ტექსტის პოეტურობა და სიტყვიერი ტექსტის მუსიკალურობა, მაგრამ ცაბაძისეული მუსიკალური ტექსტი თავისი სახიერებითა და ინდივიდუალურობით უკვე ძველი თბილისელი აშუღების შემდგომ წარმოქმნილი მაღალი პოეზიის მადლით არის ნასაზრდოვები. მის სასიმღერო შემოქმედებას მე-20 ს-ის დიდი ქართველი პოეტების თბილისისადმი ტრფობის ნიმუშები უძღოდა წინ. აქედან პირველ რიგში კვლავ იოსებ გრიშაშვილს დავასახელებთ, რომელმაც ამ თემას არა მხოლოდ პოეტური თხზულებები, არამედ გამოკვლევები და მხატვრული ბროშურებიც კი უძღვნა და მიუხედავად ამ სფეროში არსებული წინამორბედებისა, სრულიად ახალი სამყარო შესძინა ქართულ პოეზიას. მგოსნის ამ მოტივზე შექმნილი თხზულებები, ალბათ, შეიძლებოდა მისი ერთი წიგნის სათაურითაც გაერთიანებულიყო — „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა".

გოგი ცაბაძის სიმღერების მოვლინება ქართული საესტრადო მუსიკის კაბადონზე ერთი მხრივ კანონზომიერი იყო და მეორე მხრივ მოულოდნელი. კანონზომიერი იყო იმდენად, რამდენადაც შემდგომში უკვე ადამიანთა ცნობიერებაში წარმოუდგენელი გახდა როგორც ქართული ესტრადის, ისე თავისთავად ძველი თბილისის ფენომენის არსებობა გოგი ცაბაძის ქმნილებების გარეშე. მოულოდნელი იყო იმდენად, რამდენადაც საუკუნეების განმავლობაში ძველმა ტრუბადურებმა, რომლებიც თავიანთი ცხოვრების მანძილზე თბილისისადმი ტრფობაში იღვრებოდნენ, ლამის ამოწურეს კიდეც ეს თემა, ამ დროს დაიბადა ამავე საწყისსა და საფუძველზე სრულიად ახალი სამყარო — მიმზიდველი, ფერადოვანი მხატვრული სახეებით, რომელსაც შეგვიძლია ვუწოდოთ — „ძველი თბილისის მუსიკალური ბოჰემა"...

***

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს კრებული გიორგი და კახა ცაბაძეების სიმღერებისაგან შედგება. კახა ცაბაძის ცხოვრების გზას თუ გადავავლებთ თვალს,

მას მამისგან განსხვავებით საშუალება მიეცა მუსიკის სხვადასხვა ჟანრში ეცადა კალამი, შეიძლება ითქვას საკმაოდ ნაყოფიერადაც. მისი წარმატების ერთ-ერთ დასტურად, ალბათ, ბოლო წლებში მიღებული არაერთი პრემიაც კმარა. ცხადია, გასაკვირი არ არის, რომ სასიმღერო სფერო მისთვისაც საკუთარ სტიქიად იქცა. არც თავის დროზე გაკვირვებია ვინმეს, რომ 18 წლის იყო კახა, როცა მისი სიმღერა „ყვავილების მიწა" ცნობილმა მომღერალმა ვახტანგ კიკაბიძემ შეასრულა და ამ სიმღერამ უმალ მოიპოვა კიდეც პოპულარობა.

ზემოთმოცემულ კრებულში შესულმა სიმღერებმა გამახსენა ამ რამდენიმე წლის წინ გამართული კახა ცაბაძის საიუბილეო საღამო, სადაც სწორედ სასიმღერო ჟანრი იქნა წარმოდგენილი. ვგონებ, არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ ბევრი იქ დამსწრესათვის სასიამოვნო აღმოჩენად იქცა ფაქტი, რომ არაერთი ნაცნობი და ახლობელი სიმღერის ავტორი კახა ცაბაძე ყოფილა.

კახა ცაბაძემ უკვე უშუალო მემკვიდრეობით მიიღო ქართული, თბილისური სიმღერის უჩვეულო მადლი და ხიბლი, ის, რაც გოგი ცაბაძის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული. ამას თავადაც არასოდეს უარყოფს. თუმცა მან უკვე ახალი სუნთქვა შესძინა მემკვიდრეობად მიღებულ „ძველი თბილისის მუსიკალურ ბოჰემას". არსებულ საფუძველზე მან თავისი სათქმელი ჩამოაყალიბა. მისი სიმღერები — „ყვავილების მიწა" (შ. ნიშნიანიძის ლექსზე), „ალიონზე გამიღიმა თბილისმა" (ზ. გოშაძის ლექსზე) გვხიბლავს მგზნებარე, ცოცხალი სახეებით, აქ ძველი თბილისური სურათები უკვე ახალი ეშხით, ახალი ენერგიით არის დატვირთული.

კვლავ ფურცლავ სიმღერების კრებულს და უფიქრდები, კიდევ რაში მდგომარეობს სიახლე, რაც უკვე კახა ცაბაძის სიმღერებს ახლავს? ვფიქრობ, მისი დამოკიდებულება თბილისისადმი თუ სხვა თემისადმი უფრო ინტიმურია, უფრო პირადულია. ის თავის ქალაქს მიმართავს, თავის ასოციაციებს გადმოსცემს. ეს ინტიმური დამოკიდებულება კონცეპტუალურ გამოვლინებასაც იღებს იმ სიმღერებში, სადაც კომპოზიტორი რემინისცენციის ხერხს მიმართავს, ანუ კონკრეტული ინტონაციების შეგნებულ ციტირებას ახდენს. ამის ყველაზე მკაფიო ნიმუშია მორის ფოცხიშვილისადმი მიძღვნილი "სიმღერებით შემოვივლი თბილისს" (ტექსტი ზურაბ გოშაძის). აქ გოგი ცაბაძისა და მორის ფოცხიშვილის არაერთი ერთობლივი სიმღერის ვარირებული ვარიანტია ჩართული: "ჩვენო თბილის-ქალაქო", „უკანასკნელი მეფაიტონე", „როცა შენ ვერ გხედავ", „გული მღერის"... თუნდაც ამ სიმღერითაც დასტურდება, რომ კახა ცაბაძეს გულში აქვს გამოტარებული არა მხოლოდ დასახელებული სიმღერები, არამედ თბილის-ქალაქთან დაკავშირებული ყველა ის მოვლენა თუ სანახაობა, რის სიმბოლიზირებასაც აღნიშნული ინტონაციები წარმოადგენენ.

ამ განცდების გადმოშლისას კვლავ კახა ცაბაძის საღამო მაგონდება, მსგავსი ემოციებით დამუხტული. ამიტომაც გასაკვირი არ იყო მაშინ გადავსებული ოპერის თეატრის დარბაზის ერთსულოვანი აღტაცება. ხსენებული საღამოს ამაღელვებელი ფინალი, თვით ავტორის შესრულებით, გამახსენა ამ კრებულში შესულმა სიმღერამ „აღსარება" (ტექსტი ზურაბ გოშაძის), სადაც კომპოზიტორი გადმოსცემს თავის მრწამსს, განცდებს, ტკივილს, პირდაპირ მიმართავს მამის აჩრდილს, როგორც მისი ცხოვრებისა და შემოქმედების მთავარ ამოსავალს. იმ საღამოს სევდასა და ტკივილთან ერთად სასიხარულო განცდასაც დაესადგურა, რაც გამოწვეული იყო, ალბათ, იმ ფაქტითაც, რომ კახა ცაბაძის შემოქმედების სახით კვლავ გრძელდება და ცოცხლობს, ახალ ენერგიასაც კი იკრებს ის საწყისი თუ ფენომენი, რასაც ვუწოდებთ — „ძველი თბილისის მუსიკალურ ბოჰემას", სწორედ კიდევ ამიტომაც აღძრავს სასიხარულო გრძნობას გამოცემა ზემოხსენებული სიმღერების კრებულისა — „ჩვენო თბილის-ქალაქო"...

თამარ წულუკიძე

ნიჭიერი ბავშვები საქართველოდან

„ნიჭიერი ბავშვები საქართველოდან" – ამ ეგიდით გაიმართა კონცერტები 2 და 3 ნოემბერს შვეიცარიაში — ქალაქ ბერნსა და ციურიხში. კონცერტების ორგანიზატორი იყო საქველმოქმედო ფონდი "ვივაჩე", რომლის დამფუძნებელია შვეიცარიაში მოღვაწე ქართველი პიანისტი, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი თამარ კორძაძე. იგი სწავლობდა ზ. ფალიაშვილის მუსიკალურ გიმნაზიაში პედ. დოდო ცინცაძესთან, შემდგომ ვ. სარაჯიშვილის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფ. მანანა დოიჯაშვილთან და ციურიხის კონსერვატორიაში პროფ. კონსტანტინე შერბაკოვთან. ამჟამად ივი ცხოვრობს ქ. ციურიხში, ეწევა საკონცერტო და პედაგოგიურ მოღვაწეობას. მის მიერ დაარსებულმა ფონდმა უკვე შეძლო 13 პროექტის განხორციელება და 28 ბავშვის დახმარება. ფონდმა უზრუნველჰყო სტიპენდიები, მასტერკლასები საზღვარგარეთ, ქართველი ბავშვების და სტუდენტების კონცერტები იტალიის, გერმანიის და შვეიცარიის სხვადასხვა ქალაქებში. ამ ფონდის ერთ-ერთი ბოლო პროექტი გახლდათ ნიჭიერი პატარა ქართველი მუსიკოსების კონცერტების ორგანიზება შვეიცარიაში. ამ მიზნით ქალბატონი თამარი ჯერ კიდევ გაზაფხულზე ეწვია თბილისს და ჩაატარა წინასწარი მოსმენები თბილისის წამყვან მუსიკალურ სკოლებში, რის შედეგადაც შეარჩია წარმატებული ნორჩი მუსიკოსების პატარა ჯგუფი: ე. მიქელაძის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლიდან: ნატა როინიშვილი (ვიოლინო,

ინალი ჯიოევი, ლანა გულდედავა, თამარ ქორქაძე, ლევან უგულავა

VIII კლ.) პედ. მ. ქანთარია, თამარ ქორქაძე (ვიოლინო, VIII კლ.) პედ. დ ჯაიანი, ლევან უგულავა (ფორტეპიანო, IX კლ.) პედ. ნ. ნაცვლიშვილი, ინალი ჯიოევი (ჰობოი, XI კლ.) პედ. ი. ჯიოევი, ასევე ზ. ფალიაშვილის სახ. ცენტრალური სამუსიკო სკოლის IX კლასის მოსწავლე ლიზი რამიშვილი (ჩელო) პედ. თ. გაბარაშვილი და მუსიკალური სემინარიის IV კლასის მოსწავლე მარიამ ყარყარაშვილი (ფორტეპიანო) პედ. ნ. ჭირაქაძე.

მიუხედავად მცირე ასაკისა, თითოეულმა მათგანმა უკვე მოასწრო გამხდარიყო ეროვნული თუ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, მონაწილეობა მიეღო ფესტივალებსა და მთელ რიგ მნიშვნელოვან საკონცერტო ღონისძიებებში, დაეგროვებინა სასცენო გამოსვლების კარგი გამოცდილება. გარდა ნიჭიერებისა და შესრულების პროფესიული დონისა, ეს გამოცდილებაც იძლეოდა მყარ საფუძველს, რომ შვეიცარიაში გამართული კონცერტები წარმატებით ჩატარებულიყო და მათ მართლაც საუკეთესო მხრიდან წარმოეჩინათ თავიანთი ქვეყანა, მისი კულტურა, საქართველოში კლასიკური მუსიკის საუკეთესო ტრადიციები.

29 ნოემბერს, შვეიცარიაში გამგზავრებამდე რამოდენიმე დღით ადრე, კონსერვატორიის მცირე დარბაზში გაიმართა ამ ბავშვების კონცერტი, რომელიც ერთგვარი გენერალური რეპეტიცია იყო. მან საშუალება მისცა ქართველ მსმენელს შეეფასებინა ნორჩი მუსიკოსების შესრულება, მომზადების დონე, არტისტიზმი, რეპერტუარი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო პატარა მუსიკოსთა ნამდვილი თანავარსკვლავედი. თითოეული მათგანის დაკვრა გამოირჩეოდა მაღალი აკადემიური დონით, მუსიკალური გამომსახველობით, ტექნიკური სრულფასოვნებით. ამასთან ერთად, ყველა მათგანმა გამოავლინა ინდივიდუალობა, რაც ეჭვს არ იწვევდა, რომ დასაფასებელი გახდებოდა უცხოელი მსმენელისათვის დაშტამპული, გარეგნულად მოწესრიგებული, მაგრამ მუსიკალურად არასაინტერესო ნორჩ შემსრულებელთა სიმრავლის ფონზე.

რეპერტუარი, რომლითაც ქართველი ბავშვები უნდა წარმდგარიყვნენ შვეიცარიელი მსმენელის წინაშე, მოიცავდა კლასიკური პერიოდის, რომანტიკოსების და მეოცე საუკუნის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. ეს იყო რონდო ი. ჰაიდნის ჰობოის დო მაჟორული კონცერტიდან, ე. მორიკონეს „გაბრიელის ჰობოი", ა.პიაცოლას „ობლივიონი", რომელიც არაჩვეულებრივი მუსიკალობით, შესანიშნავი ბგერით და არტისტიზმით შეასრულა ინალი ჯიოევმა. ექსპრესიული და გამომსახველი იყო ტ. ა .ვიტალის „ჩაკონა" და ბრამსის „უნგრული ცეკვები" ნატა როინიშვილის შესრულებით. შთაგონებით და დიდი შინაგანი მუხტით იყო გაჯერებული თამარ ქორქაძის მიერ შესრულებული ჰ. ვენიავსკის "რომანსი" მეორე სავიოლინო კონცერტიდან, პ. სარასატეს „ინტროდუქცია და ტარანტელა" და ა. მაჭავარიანის „დოლური". ორკესტრანტებს არც პიანისტებმა დაუდეს ტოლი. ყველაზე პატარა 9 წლის მარიამ ყარყარაშვილმა ლაღად და გატაცებით შეასრულა ი. ალბენისის „მალაგენია", მ. დე ფალიას „ესპანური ცეკვა" და ა. კოპლენდის „კატა და თაგვი", სადაც წარმოაჩინა ამ ასაკისათვის შესაშური ტექნიკური მომზადება და მუსიკალურ ხასიათებში წვდომის უნარი. შთამბეჭდავი იყო ლევან უგულავას მიერ რახმანინოვის ორი პრელუდიის (თხზ.23 №1, №2) და ლისტის №12 რაფსოდიის შესრულება. რახმანინოვის პრელუდიებში წარმოჩენილ ფაქიზ ლირიზმსა და დრამატულ სიღრმეს დაემატა ლისტის რაფსოდიაში გამოვლენილი ფორმის შეგრძნების კარგი უნარი. მან შეძლო ერთ მთლიანობაში შეეკრა და ვირტუოზული ბრწყინვალებით წარმოეჩინა ამ მასშტაბური ნაწარმოების სახეთა მრავალფეროვნება. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ახალგაზრდა ვიოლონჩელისტი ლიზი რამიშვილი, რომლის შინაგანი ენერგეტიკა, სრულფასოვანი ტექნიკა, მუსიკაში სიღრმისეული წვდომის უნარი, ინსტრუმენტთან ურთიერთობის თავისებური მანერა, რაც მისი გამორჩეული ინდივიდუალიზმით არის ნაკარნახევი, ვერავის ტოვებს გულგრილს. მან ნ. რიმსკი-კორსაკოვის „კელას გაფრენა" და დ. პოპერის „უნგრული რაფსოდია" ისეთი ცეცხლოვანი ტემპერამენტით და არტისტიზმით შეასრულა, კიდევ ერთხელ დავვარწმუნა, რომ მისი სახით გვეზრდება გამორჩეული მუსიკოსი.

ინსტრუმენტალისტთა წარმატებაში გარდა პედაგოგებისა დიდი წვლილი შეიტანა კონცერტმაისტერმა ლანა გულდედავამ. მისი მუსიკალურად დახვეწილი, სოლო ინსტრუმენტთან მაქსიმალურად შეწყობილი თანხლება ქმნიდა იმ აუცილებელ მთლიანობას, რომლის გარეშე წარმოუდგენელია შესრულების პროცესში მხატვრული გამომსახველობის მიღწევა.

ჩვენმა მუსიკოსებმა დაიმსახურეს ის წარმატება, რასაც მათგან ველოდით. ბერნსა და ციურიხში გამართულ კონცერტებს დიდძალი მაყურებელი დაესწრო. ისინი ფეხზე ამდგარი უკრავდნენ ტაშს საქართველოდან წარგზავნილებს. მხურვალე მოლოცვებს იღებდნენ არა მარტო ბავშვები, არამედ ამ კონცერტების ორგანიზატორი თამარ კორძაძე, რომელმაც მოგვწერა, რომ კონცერტებმა დიდი წარმატებით ჩაიარა და შვეიცარელი მსმენელი მოხიბლული დარჩა ნორჩი მუსიკოსებით.

ვფიქრობთ, რომ ასეთი ღონისძიებების ჩატარება დიდ სტიმულია ბავშვებისათვის, ხელს უწყობს მათ პროფესიულ წინსვლას და მოტივაციას. ვუსურვებთ ქალბატონ თამარს წარმატებებს, როგორც შემოქმედებით, ასევე საქველმოქმედო საქმიანობაში. გვჯერა, რომ თავისი ფონდის დახმარებით, კიდევ ბევრ პროექტს განახორციელებს ჩვენი ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების სასიკეთოდ.

თინა ღვინერია

ჰიტები აკადემიურ დარბაზში

2012 წლის 7 ოქტომბერს, კონსერვატორიის მცირე დარბაზში მასწავლებლის დღისადმი მიძღვნილი მეტად საინტერესო კონცერტი გაიმართა.

ყველას კარგად მოეხსენება, სამუსიკო სკოლებში თუ სასწავლებლებში წლების მანძილზე სავალდებულო პროგრამა იყო და იშვიათად ხდებოდა ამ პროგრამიდან გადახვევა. მათ შორის იყო კლასიკური მუსიკის აუცილებელი ჟანრები და ფორმები: წლის მანძილზე 4 ეტიუდი, 2 სონატური, 2 პოლიფონიური ფორმა და 2 პიესა; ამასთან, ძირითადად სავალდებულო წლიური პროგრამა მოიცავდა აკადემიური მუსიკის XX საუკუნის დასაწყისამდე პერიოდს, ნაკლებად XX საუკუნეს, ისიც შოსტაკოვიჩით და პროკოფიევით შემოიფარგლებოდა, ნაკლებად ჯაზი, კინომუსიკა თუ სხვა ჟანრები. სხვათა შორის, რენესანსისა და თუ ბაროკოს ეპოქის მუსიკაც, ნაკლებად „ჯდებოდა“ სასწავლო თუ საკონცერტო პროგრამებში. ხშირად ბავშვებს, ყოველ შემთხვევაში, მათ გარკვეულ ნაწილს, სულაც არ ეხალისებოდა ჩერნის, კლემენტის, ლეშგორნის, კულაუს თუ სხვა სავალდებულო პროგრამაში შემავალ კომპოზიტორთა ეტიუდების ან ვენის კლასიკოსთა სონატინებისა თუ სონატების შესრულება. ასეც იყო, რომ ასეთი „შტამპები“ გულს უცრუებდა მოწაფეს და სულაც თავს ანებებდა სწავლას. პროგრამები არ იყო გათვალისწინებული იმ ბავშვებზე, რომლებსაც არ ჰქონდათ გადაწყვეტილი მაინცადამაინც მუსიკოსობა.

ამ პრაგმატულ, ტექნობუმისა და არცთუ რიგიანი „გლობალ-ტელევიზიის“ ეპოქაში, ძალზე მნიშვნელოვანია მოზარდი თაობა ვაზიაროთ აკადემიური მუსიკის ამაღლებულ სამყაროს. მაგრამ ასევე დღევანდელი რეალობა გვკარნახობს იმასაც, რომ ელიტარულ, აკადემიური მუსიკისაკენ მისასვლელად ახლებური გზები უნდა ვეძიოთ: მარტივიდან — რთულისაკენ, სასიამოვნოდან — სიღრმისეულისაკენ; აკადემიური მუსიკა, განსხვავებით პოპ-მუსიკისაგან, არა მხოლოდ მიღებას და მიღებულიდან ტკბობას, არამედ ინტელექტუალური ძალების გაღებას, ჩაღრმავებას, შრომას მოითხოვს და **უზენაესი ტკბობა** მხოლოდ მოგვიანებით მოდის...

აუცილებელია თუ არა ვაზიაროთ მოზარდები მუსიკას? ამისათვის დავიმოწმებ იუნესკოსთან არსებულ საერთაშორისო მუსიკალური საბჭოს კონცეფციიდან ამონარიდს: „მხატვრული განათლების შესაძლებლობები ძალზედ დიდია სოციალური ჩვევების, მოქალაქეობრივი პოზიციის, ფასეულობების, ქცევის მოდელების, ესთეტიკური პრინციპების, მორალური ორიენტირების სასარგებლოდ, რაც შესაძლებლობას იძლება მომავალი თაობები აღიზარდონ და ჩამოყალიბდნენ მსოფ-

ლიოს პასუხისმგებლიან მოქალაქეებად". თუ ასეთი მომავალი თაობა გვინდა, ჩვენს კითხვაზე პასუხი ცალსახაა...

ზემოაღნიშნული კონცერტი, ვფიქრობთ, ამ მიზნის მისაღწევად ერთ-ერთი წარმატებული მცდელობა იყო.

კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდნენ თბილისის მერიის №24-ე ხელოვნების სკოლის მოსწავლეები (თინათინ კობერიძე (IIIკლასი, ფ-ნო), დათო ბეიტრიშვილი (V კლასი, საყვირი)), და ზაქარია ფალიაშვილის ცენტრალური მუსიკალური სასწავლებლის, ,,ნიჭიერთა ათწლედის" მოსწავლეები (თინათინ კობერიძე (VIIკლასი, ვიოლინო), ლიზი რამიშვილი (ვიოლონჩელო, XI კლასი)), ასევე კონსერვატორიის ჩასაბერ საკრავთა ანსამბლი (ილია შიოლაშვილი (საყვირი), ვალერიან საათაშვილი (საყვირი), გიორგი გვალია (ტრომბონი), ნინო ჯამერაშვილი (ტუბა)), გამოირჩეოდა მეტად საინტერესო პროგრამით, რაც განაპირობებდა კიდეც შემსრულებელთა დიდ ენთუზიაზმს. თითოეულს აშკარად ემჩნეოდა, რომ მათთვის ეს რიგითი, სავალდებულო კლასის კონცერტი არ იყო; შემსრულებლებსაც, და სხვათა შორის, მათ მშობლებსაც ეტყობოდათ, ყოველივე ამით უდიდეს სიამოვნებას რომ იღებდნენ. ნამდვილად მნიშვნელოვანია, და ვფიქრობთ, შედეგიანიც სასკოლო პროგრამებისადმი არასტანდარტული მიდგომა, ეს მეტ შედეგს გამოიღებს ბავშვების მუსიკით დაინტერესების კუთხით, მუსიკისადმი მეტ სიყვარულს გააღვივებს მათში, რაც თუ კარგ მუსიკოს-შემსრულებელს არა, კარგ მსმენელს ნამდვილად აღზრდის. ჩანს, კონცერტის იდეისა და პროგრამის ავტორს, თბილისის მერიის №24-ე ხელოვნების სკოლის დირექტირს, ბ-ნ ზურაბ ჩეკურაშვილს მიზნად სწორედაც რომ ეს ჰქონდა დასახული.

პროგრამა საკმაოდ საინტერესო იყო. ძირითადად XXს-ის I და II ნახევრის დასაწყისის ჰიტები. მაგალითად: XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული საესტრადო სიმღერა "My Way", რომელიც შეიქმნა ფრენკ სინატრასთვის და მისი პოპულარიზაციაც სწორედ აქედან იწყება. მას აგრეთვე ასრულებდნენ ელვის პრესლი, ტომ ჯონსი, მირეი მატიე და სხვა მრავალი. ესაა სიმღერა, რომლიც 60-იანი წლებიდან მოყოლებული, მიუხედავად მოდის ცვალებადობისა, დღემდე ინარჩუნებს პოპულარობას; გასული საუკუნის 20-იან წლებში დაწერილი ჰარი ვუდსის სიმღერა "Side by Side", ჯეკ ლოურენსის 40-50-იანი წლების ჰიტი "Linda", არაერთი ჯაზ-ბენდის, მათ შორის ლუი ამსტრონგის მიერ შესრულებული, ჰარი ვუდსის სიმღერა "Mahogany Holl Stomp", რომელიც პირველად ასევე ლუი ამსტრონგმა შეასრულა, ჯერომ კერნის ბროდვეის მიუზიკლისათვის დაწერილი სიმღერა "Smoke Gets in Your Eyes", რომელიც რამდენიმე თანამედროვე ფილმის საუნდტრეკში ჟღერს, მათ შორის ეს სიმღერა გვხვდება სტივენ სპილბერგის ფილმში ,,ყოველთვის"; შესრულდა აგრეთვე თითქმის ყველა თაობისათვის საყვარელი ჰიტი, ჟოზეფ ლეკალის ,,ამაპოლა", რომლის საორკესტრო ვერსია ყველას ახსოვს ფილმიდან ,,ერთხელ ამერიკაში" – ფილმის ერთ-ერთი ლაიტთემა. ასევე აჟღერდა XIX საუკუნის პოპულარული მუსიკა: ჩეზარე პუნის საბალეტო მუსიკა (ბალეტი ,,ესმერალდა"), ინგლისური რომანტიზმის კლასიკოსი ე. ელგარის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პიესა "Salut d' amour", ამერიკული ჯაზის კლასიკა: ჯორჯ გერშვინის უპოპულარულესი "Sammertime", ჯერომ კერნი, სპენსერ უილიამსი, დიუკ ელინგტონი და სხვ. კონცერტზე ახმიანდა მუსიკა კინოფილმებიდან ,,ბზიური ველის სერენადა", საიდანაც დაიწყო საქართველოში ჯაზით საყოველთაო გატაცება, ასევე ტანგო ფილმიდან ,,ქალის სურნელი" და სხვ.

კონცერტი, უდავოდ, წარმატებული იყო, ამას გრძნობდა ყველა: შემსრულებელი თუ მსმენელი, ყველამ ჭეშმარიტად დიდი სიამოვნება მიიღო. იდეის ორგანიზატორისა და პროგრამის ავტორის ზურაბ ჩეკურაშვილის ამოცანამ შედეგი ნამდვილად გამოიღო და მიზანს მიაღწია. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, მივულოცოთ მას და ყველა მონაწილეს ეს წარმატება და ჩვენი მხრივ ვისურვოთ, რომ მსგავსი მუსიკალური ზეიმები კიდევ მრავალჯერ შემდგარიყოს.

ᲨᲣᲥᲠᲘ ᲒᲐᲛᲔᲚᲐᲣᲠᲘ



ასიკო მეგრელიძე

თავდადებული პედაგოგის სიმბოლო

ასიკო მეგრელიძის ხსოვნას

ცოტა ხნის წინ ქართული მუსიკალური საზოგადოება სამუდამოდ გამოემშვიდობა ღვაწლმოსილ მუსიკოსს, სავიოლინო პედაგოგიკის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელს ასიკო (ავქსენტი) მეგრელიძეს.

მართალია, მისი ღვაწლი ქართულ სავიოლინო საშემსრულებლო ხელოვნებაში მხოლოდ პედაგოგიკით არ შემოიფარგლებოდა, მაგრამ სწორედ ეს სფერო იყო, სადაც ყველაზე უკეთ გამოიკვეთა მისი პროფესიული და პიროვნული თვისებები. 50 წელზე მეტი ემდი და ცნობილი ინსტრუმენტალისტი, შემცირებული იყო მოზარდი თაობის მხრიდან საორკესტრო საკრავების მიმართ ინტერესი, რაც მუსიკალურ სკოლებსა და სასწავლებლებში მისაღებ კონტიგენტზეც აისახებოდა. სწორედ ამ პერიოდში, 1991 წელს, თბილისის №9 სამუსიკო სკოლის ბაზაზე დაარსდა ე. მიქელაძის სახ. საკრავიერი ხელოვნების კოლეჯი (ამჟამად ე. მიქელაძის სახ. ცენტრალური სამუსიკო სასწავლებელი), რომლის მთავარი დანიშნულება იყო საორკესტრო საკრავებზე სახურა იგი ახალგაზრდა მევიოლინეთა მთელი თაობების აღზრდას. დღეს მისი მოსწავლეები თავად არიან სხვადასხვა სამუსიკო სკოლების პედაგოგები, უკრავენ სიმფონიურ თუ კამერულ ორკესტრებში — საქართველოში თუ მის საზღვრებს გარეთ.

იგი ათწლეულების მანძილზე ასწავლიდა ვიოლინოს და პარალელურად ხელმძღვანელობდა საორკესტრო განყოფილებებს თბილისის II და III სამუსიკო სასწავლებლებში, თბილისის №4 სამუსიკო სკოლაში, 1991 – 2001 წლებში იყო ვიოლინოს კლასის პედაგოგი თბილისის სახ. კონსერვატორიაში.

პედაგოგიურ საქმიანობას ის ეკიდებოდა არა როგორც მხოლოდ სპეციალობის მასწავლებელი, არამედ როგორც პატრიოტი მამულიშვილი, რომელსაც გასიგრძეგანებული ჰქონდა თავისი მისია — ეკეთებინა ეროვნული საქმე იქ, სადაც მოღვაწეობდა, აღეზარდა პროფესიონალ მევიოლინეთა კადრები, რათა საქართველოში გაგრძელებულიყო საორკესტრო შემსრულებლობის მდიდარი ტრადიციები. ეს გრძნობა მას განსაკუთრებით გაუმძაფრდა 90-იან წლებში, ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმეს პერიოდში, როცა ძნელბედობის გამო საქართველოს ტოვებდა თითქმის ყველა მოქმე-

მოსწავლე ახალგაზრდობის მოზიდვა და მათი პროფესიული ორიენტირება სხვადასხვა საორკესტრო სპეციალობების მიხედვით. ფაქტობრივად ამ დროს მან თავის თავზე იტვირთა გადაერჩინა ეს სფერო და შეევსო ის ვაკუუმი, რომელიც საორკესტრო საკრავების სპეციალისტთა დეფიციტში გამოიხატებოდა. კოლეჯის დაარსების დღიდან მე მომიწია მასთან ერთად გვერდიგვერდ მუშაობა და მისი, როგორც საორკესტრო განყოფილების გამგის ორგანიზატორული ნიჭის და პედაგოგიური თავდადების თვალსაჩინო მაგალითის დანახვა.

ყველას კარგად ახსოვს იმ პერიოდის საქართველო. ეს იყო ტოტალური ნგრევის ხანა — პირდაპირი თუ გადატანითი მნიშვნელობით. თბილისში არ მუშაობდა ტრანსპორტი, არ იყო შუქი, გათბობა, ხელფასები. ფანჯრებიდან ხშირად სროლის ხმები ისმოდა. და მიუხედვად ამისა, ბატონ ასიკოსთვის ეს პრობლემები თითქოს არ არსებობდა. ის როგორც ერთგული ჯარისკაცი ემსახურებოდა თავის საქმეს. არათუ არ გაუცდენია არცერთი გაკვეთილი, არც კი დაუგვიანია, ფეხით მოდიოდა ნუკუბიძის პლატოდან, ზამთარში დილიდან გვიან საღამომდე სიცივისგან გაყინულ კლასში ფეხმოუცვლელად ამეცადინებდა თავის მოსწავლეებს, რომელთა შორის ყველაზე ნიჭიერები ყოველთვის პირველი ადგილის მფლობელები ხდებოდნენ რესპუბლიკურ თუ საქალაქო კონკურსებზე, დელფიადაზე. მისი კლასი ეს იყო ჩაუქრობელი კერა, სადაც ზრუნავდნენ მომავალი თაობის აღზრდაზე. დღეს მისი მოსწავლეები წარმოადგენენ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მევიოლინეთა წამყვან ძალას. მან ამ პერიოდში შეძლო არა მარტო დიდი წვლილი შეეტანა თავისი მოსწავლეების წარმატებებში, არამედ დაეკვალიანებინა და საკუთარი გზის მოძებნაში დახმარებოდა სხვა საკრავებზე შემსრულებელ ნიჭიერ მოსწავლეებს.

პედაგოგიურ მოღვაწეობაში წარმატებას განსაზღვრავდა მისი პროფესიონალიზმი, ერუდიცია, საფუძვლიანი განათლება, მომთხოვნელობა და სიმკაცრე, რომელიც შეზავებული იყო მოსწავლის მიმართ კეთილგანწყობასთან და სიყვარულთან. სასიხარულოა, რომ მისი დამსახურება წოდებებითა და ჯილდოებით აღინიშნა.

სანამ ბატონი ასიკო მთელ საქმიანობას პედაგოგიკისკენ მიმართავდა, იგი აქტიურად იყო ჩაბმული საშემსრულებლო მოღვაწეობაში. ის იყო საქართველოს სახელმწიფო კამერული ორკესტრის ერთერთი დამაარსებელი და მისი უცვლელი წევრი 1963-1981 წლებში. იგი იყო საქართველოს კამერული ორკესტრის გამარჯვების მონაწილე კამერული ირკესტრების I საკავშირო კონკურსზე ვილნიუსში, 1967 წელს; მონაწილეობდა კამერული მუსიკის ფესტივალებში ლაიფციგში და ფინეთში; კონცერტებით მოვლილი ჰქონდა ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა დიდი ქალაქი და საზღვარგარეთის ქვეყნები.; ათეულ წელზე მეტი ხნის მანძილზე მოღვაწეობდა საქართველოს ტელევიზიის და რადიოკომიტეტის ორკესტრში.

1975-1977 წლებში იგი მივლინებული იყო სამხრეთ ამერიკაში, ეკვადორში ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტმაისტერად და კონსერვატორიის პედაგოგად. საზღვარგარეთ მუშაობის მანძილზე გამოიჩინა მისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმი, ენერგია, პასუხისმგებლობა და დიდი შრომისმოყვარეობა.

ორკესტრის ბაზაზე მან დააარსა სიმებიანი კვარტეტი, სადაც ის ასრულებდა პირველი ვიოლინოს პარტიას. ეკვადორში მის მიერ გაზრდილი მოსწავლეები შემდგომში გახდნენ პროფესიონალი მევიოლინეები. ასიკო მეგრელიძის მიერ შეტანილ წვლილზე დიდი მადლიერებით წერდა იმ დროის საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრს ეკვადორის ნაციონალური ორკესტრის პრეზიდენტი: "მაქვს პატივი მოგმართოთ თქვენ და გამოვხატო ჩემი უდიდესი კმაყოფილება, ჩვენს ორკესტრში შესანიშნავი საბჭოთა მევიოლინის ბატონი ავქსენტი მეგრელიძის წარმოგზავნის გამო, რომელიც სამი წლის მანძილზე გამოდიოდა როგორც ორკესტრის წამყვანი — კონცერტმაისტერი... როგორც პედაგოგმა მან გამოიჩინა გაცილებით მეტი ცოდნა, ვიდრე დანარჩენმა ჩვენმა პედაგოგებმა. აღსანიშნავია მისი უდიდესი ყურადღება და კეთილმოსურნეობა ბავშვებისა და სკოლის მიმართ, პასუხისმგებლობა და თავდადება დაკისრებული მოვალეობისადმი". ასეთი შეფასებები ყოველთვის თანმდევი იყო ბატონი ასიკოსათვის. ორგანიზებული, მოწესრიგებული, სიზუსტის მოყვარული, სიტყვის შემსრულებელი - ხასიათის ეს თვისებები მხოლოდ მისი პროფესიული საქმიანობისთვის არ იყო დამახასიათებელი. ეს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც

კარგად ჩანდა.

ბატონ ასიკოს ძალიან უყვარდა თავისი ქვეყანა, მისი ბუნება. ლევ მარკიზის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ "ასიკო იყო თავისი ქვეყნის სიმბოლო". მას შესწავლილი და ფეხით მოვლილი ჰქონდა საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭული. ამ ლაშქრობებიდან მას დარჩა 600 გვერდიანი დღიურები, რომელშიც აღწერილია საქართველოს ყველა კუთხე თავისი ბუნებით და თავისებურებებით. ეს ადგილები მას მეტრებით ჰქონდა აზომილი და ამის საფუძველზე ადგილის რუქები შექმნილი.

ბატონ ასიკოს განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა თავისი წინაპრების მიერ დანატოვებ სახლთან სამაჩაბლოში, სოფელ დისევში, რომელიც დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარეობს. მთლიანად გადამწვარ და ტანკებით გადავლილ სოფლის ადგილზე ამჟამად ოკუპანტთა საჯარო ნაწილია განლაგებული. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი მისთვის ორმაგი ტკივილი იყო. ფესვები გადამიჭრესო – ხშირად ამბობდა , როცა თავის პირწმინდად გადამწვარ სახლს იხსენებდა. არ არის გამორიცხული სწორედ ამ სტრესის და სულიერი ტკივილის შედეგად შეეყარა მას, ჯანმრთელ და ძლიერ ადამიანს, ის უკურნებელი სენი, რომელმაც ბოლო მოუღო მის ამქვეყნიურ ცხოვრებას.

დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი ასიკო მეგრელიძის სახელი მუდამ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგების და მოსწავლეების მეხსიერებაში, როგორც კეთილშობილი, ზნეობრივი ადამიანის და თავდადებული პედაგოგის სიმბოლო.

თინა ღვინერია

[redacted]

დიმიტრი ხვოროსტოვსკი „მეტროპოლიტენ ოპერაში" ბრუნდება. მას ახლახანს 50 წელი შეუსრულდა. ახალ სეზონში ის მონაწილეობას მიიღებს ვერდის ორ ოპერაში. მომღერალი გადის რეპეტიციებს ვერდის „ბალ-მასკარადისათვის", სადაც ის რენატოს პარტიას ასრულებს. ესაა რეჟისორ დევიდ ალდენის ახალი დადგმა, დირიჟორი — ფაბიო ლუიზი. ახალ დადგმაში აგრეთვე მონაწილეობენ მომღერლები: სონდრა რადვანოვსკი, მარსელო ალვარესი, კეტლინ კიმი, დოლორუ ზაჟიკი და სტეფანი ბლიტი.

ხვოროსტოვსკი აგრეთვე ასრულებს როდრიგოს პარტიას ვერდის ოპერაში „დონ კარლოსი", რეჟისორი ნიკოლას ხიტნერი. მონაწილეობენ: ბარბარა ფრიტოლი, რამონ ვარგასი, ფერუჩიო ფურლანეტო, დირიჟორი — ლორინ მააზელი.

10 სპექტაკლისაგან შემდგარი სერია წარმოდგენილი იქნება 8 ნოემბრიდან 14 დეკემბრის ჩათვლით. ხვოროსტოვსკის მონაწილეობით სპექტაკლების ჩვენება შედგება 2013 წლის თებერვალ-მარტში.

[redacted]

აღიარებულმა ესპანელმა ტენორმა პლასიდო დომინგომ, პირველად 20 წლის მანძილზე, გადაწყვიტა თავის თაყვანისმცემლებს სიურპრიზი მოუწყოს — გამოსცეს პოპ-სიმღერების ალბომი. 19 ნოემბერს, მომღერალი მსმენელს წარუდგენს თავის ალბომს სახელწოდებით „Songs". ალბომში შესულია გასული საუკუნის 40-იანი წლების მექსიკური ჰიტები: Chanson des Vieux Amants და ჟაკ ბრელის Besame Mucho, What a Wonderful World, Come What May მხატვრული ფილმიდან „მულენ რუჟი" და სხვ. მომღერალმა ალბომი ჩაწერა ნიჭიერ მუსიკოსებთან ერთად: კრის ბოტთან, სიუზან ბოილთან და სხვ. ახალი ალბომის ცალკეული ფრაგმენტები უკვე განთავსებულია მომღერლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

[redacted]

წელს, 12 ნოემბერს, მილიონიანი ტირაჟის პირველ გრამფირფიტას — ენრიკე კარუზოს ჩანაწერს — 110 წელი შეუსრულდა. 1902 წელს ენრიკე კარუზომ ჩაწერა გრამფირფიტა, რომელიც მილიონიანი ტირაჟით გამოსული პირველი ფირფიტა იყო. კარუზო იყო პირველი საოპერო მომღერალთა შორის, რომელმაც თავისი რეპერტუარის ძირითადი ნაწილი ჩაწერა გრამაფონის ფირფიტებზე.

შეგახსენებთ, რომ მომღერლის დებიუტი შედგა ნეაპოლში, 1895 წლის 15 მარტს. აღიარება მას მოუტანა 1897წელს, პალერმოში შესრულებულმა ენცოს პარტიამ ამილკარე პონკიელის ოპერაში „ჯოკონდა". 1900 წელს იგი პირველად გამოვიდა ლა სკალას თეატრში, გაეტანო დონიცეტის ოპერაში „სიყვარულის ნექტარი". 1902 წელს შედგა მისი დებიუტი ლონდონში, კოვენტ-გარდენის თეატრში (ვერდის „რიგოლეტო", ჰერცოგის პარტია); კარუზომ მსოფლიო აღიარება მოიპოვა მას შემდეგ, რაც ის გახდა ნიუ იორკის მეტროპოლიტენ-ოპერის წამყვანი სოლისტი — 1903-1921წწ.

კარუზო ფლობდა განუმეორებელი ტემბრის ხმას, რომელშიც ბუნებრივი ბარიტონალური, დაბალი და შუა რეგისტრების ხავერდოვანი ჟღერადობა ერწყმოდა ბრწყინვალე ტენორულ მაღლებს. სუნთქვის საოცარი ფლობის, უზადო ინტონირებისა და რაც მთავარია, მაღალი საშემსრულებლო კულტურის წყალობით, იგი XX საუკუნის ვოკალური ხელოვნების ლეგენდად იქცა.

ენრიკო კარუზო გარდაიცვალა 1921 წლის 3 აგვისტოს, 48 წლის ასაკში. მისი გარდაცვალების შემდეგ, მომღერლის პატივსაცემად მადლიერმა ხალხმა საკუთარი შემოწირულობებით დაამზადა გიგანტური ცვილის სანთელი, რომელიც უნდა აინთოს ყოველ წელს ღვთისმშობლის ხატის წინ. გამოთვლებით, ეს სანთელი 500 წლის მანძილზე დაინთება.

[redacted]

გამოქვეყნდა 2013 წლის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო პრემიის (International Classical Music Awards – ICMA) ნომინანტების სია. ამჯერად ჟიურიმ შეარჩია 275 კომპაქტ-დისკი და DVD რელიზები. 86 ლეიბლს შორის ლიდერობს ფრანგული Harmonia Mundi, რომელიც წარდგენილია 24 ნომინაციაში. ცნობილი ხმისჩამწერი კომპანია Naxos-მა პრემიების 10 კატეგორიაში მეორე ადგილი მოიპოვა 18 ნომინაციით. ბრიტანული ლეიბლები Decca da Virgin Classic-ი მესამე ადგილზე აღმოჩნდა 11 ნომინაციით. გამარჯვებული გამოცხადდება 2013 წლის 1 თებერვალს. დაჯილდოების ცერემონია გაიმართება 18 მარტს, მილანში, სადაც საზეიმო გალა-კონცერტში მონაწილეობას იღებს ორკესტრი La Verdi, ჯონ აქსელროდის ხელმძღვანელობით.

ICMA პრემია არის ერთ-ერთი პრესტიჟული ჯილდო კლასიკური მუსიკის სფეროში საერთაშორისო მასშტაბით. პრემიით აჯილდოებენ მუსიკოსებსა და ხმისჩამწერ კომპანიებს, რომლებიც ამდიდრებენ გლობალურ მუსიკალურ ბაზარს საუკეთესო ახალი ჩანაწერებით ან კლასიკური მუსიკის ისტორიული რელიზებით და რომლებიც, ამასთანავე, რეპერტუართან მიმართებაში უპირატესობას ანიჭებენ კრეატიულობას, ნოვატორობას და მაღალი მხატვრული ოსტატობის დემონსტრირებას ახდენენ. დამოუკიდებელი ჟიური, რომელშიც შედიან წამყვანი ჟურნალებისა და რადიოსადგურების წარმომადგენლები 11 ქვეყნიდან, საერთაშორისო დონის კრიტიკოსები და ექსპერტები, ავტორიტეტები თავ-თავიანთ დარგებში: Crescendo (ბელგია), ფონოფორუმი (გერმანია), გრამოფონი (უნგრეთი), IMZ (ავსტრია), MDR-ფიგარო (გერმანია), მუსიკა (იტალია), მუსიკა და თეატრი (შვეიცარია), pizzikato (ლუქსემბურგი), Resmusica.com (საფრანგეთი), სკერცო (ესპანეთი) და ვივა კლასიკა (ფინეთი). ჟიურიში ასევე შედის რუსეთის მუსიკალური ტელერადიოცენტრის გენერალური დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი ირინა გერასიმოვა.

87 წლის ასაკში გარდაიცვალა გერმანელი კომპოზიტორი ჰანს ვერნერ ჰენცე — თანამედროვე მუსიკალური ხელოვნების ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე. ინფორმაცია გავრცელა მუსიკალურმა გამომცემლობა Schott-malaal, რომელიც 50 წლის მანძილზე აქვეყნებდა ჰანს ვერნერ ჰენცეს ნაწარმოებებს. მთელი თავისი შემოქმედების მანძილზე კომპოზიტორმა 200-ზე მეტი სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები დაწერა: სიმფონიები, მუსიკა ბალეტისათვის და ცალკეული ნაწარმოებები ფორტეპიანოს, სასულე და სიმებიანი ინსტრუმენტებისათვის.

ხელოვნებაში შეტანილი წვლილისათვის ჰენცეს მიენიჭა არაერთი ჯილდო, მათ შორის, 1990 წელს მან მიიღო ერნსტ ფონ სიმენსის პრემია — მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდო მუსიკის დარგში, რომელსაც მუსიკოსები ნობელის პრემიას ადარებენ.

კომპოზიტორები - დანიელ ოტტი და მანოს ცანგარისი 2016 წლის მიუნხენის ბიენალეს უხელმძღვანელებენ. მიუნხენის ბიენალე — თანამედროვე მუსიკალური თეატრის ერთ-ერთი ყველაზე ავტორიტეტული ფორუმია, რომელიც 1988 წელს დაარსდა და მისი ხელმძღვანელი 1996 წლამდე იყო ხ. ხენცე, ხოლო 1996 წლიდან 2014 წლამდე მას ხელმძღვანელობს პეტერ რუჟიჩკა.

დანიელ ოტტი და მანოს ცანგარისი სწორედ თანამედროვე მუსიკალური თეატრის სპეციალისტები არიან. ამასთან, ორივე ასწავლის უმაღლეს მუსიკალურ სკოლებში: ოტტი პროფესორია კომპოზიციისა და ექსპერიმენტული მუსიკალური თეატრის განხრით ბერლინში, ხოლო ცანგარისი — დრეზდენის უმაღლესი სკოლის კომპოზიციის პროფესორია. ამ პოსტზე მათთან ერთად განიხილება სხვა კანდიდატურებიც: მიუნხენის უმაღლესი სკოლის რექტორი ზიგფრიდ მაუზერი, კომპოზიტორი დეტლევ გლანერტი და პიანისტი მორიც ეგერტი.

ზუბინ მეტა ჩამოდის მსტისლავ როსტროპოვიჩის VI საერთაშორისო ფესტივალზე, რომელიც ტარდება 3-დან 9 დეკემბრის ჩათვლით ბაქოში. ფესტივალის ბოლო ორი დღე მეტა უხელმძღვანელებს ორკესტრს Adagio Musicale Fiorentino. მუსიკოსები ორი დღის მანძილზე შეასრულებენ ბეთჰოვენის, ვერდის, შუბერტის, დვორჟაკის, რიმსკი-კორსაკოვისა და ჰინდემიტის ნაწარმოებებს. მსოფლიოში სახელგანთქმული დირიჟორი ბაქოში უკვე მეორედ ჩავა. პირველად იგი ბაქოში იყო 2010 წელს, როდესაც მისი დირიჟორობით გამოდიოდა ისრაელის სიმფონიური ორკესტრი. წელს ბაქოში ჩამოვა აგრეთვე იტალიელი ვიოლონჩელისტი ენრიკო დინდო და მევიოლინე სერგეი კრილოვი. ფესტივალის პროგრამაშია სამი ტენორის კონცერტი — ფრანჩესკო დემუროს, პიერო ჯულიაჩის და დიდი თეატრის სოლისტის, ქართველი ტენორის ბადრი მაისურაძის. ფესტივალს გახსნის აზერბაიჯანის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი რაუფ აბდულაევის ხელმძღვანელობით პიანისტ მურად ადიგეზალზადესთან ერთად.

ფესტივალი ბაქოში, მუსიკოსის სამშობლოში, იყო როსტროპოვიჩის სახელობის პირველი ფესტივალი, რომელიც 2007 წელს ჩატარდა. ახლა უკვე მუსიკოსის სახელობის ფესტივალები ტარდება მოსკოვში და სხვა ქალაქებში. ბაქოს ფესტივალის მხატვრული ხელმძღვანელია მსტისლავ როსტროპოვიჩის ქალიშვილი.

ჟურნალ „მუსიკა“-ს რედაქციას და ამავე ჟურნალის
რედაქტორს
თბილისი, 10/10/2012

გავეცანი თქვენი ჟურნალის 3.2012წ. ნომერს, კერძოდ, „ფიქრები ევგენი მიქელაძის ძეგლის გარშემო“ წერილს, რამაც გამოიწვია ჩემი გაკვირვება.

თქვენ მუსიკოსები ბრძანდებით, ამავე დროს საქართველოს მოქალაქენი და თბილისის მობინადრენი. ნუთუ არ გახსოვთ, ან არ იცით ის გარემოება, რომ ე. მიქელაძის ძეგლის დადგმაში ლომის წილი მიუძღვის ე. მიქელაძის სახელობის ორკესტრს, ხოლო კერძოდ მე, ვახტანგ მაჭავარიანს, რომელმაც აღნიშნულ პერიოდში შეძრა საქართველოს მთელი ხელმძღვანელობა ზემოდან ქვევით და ქვემოდან ზევით. სწორედ ამიტომ, მას მერე, რაც ჩვენ ჩავატარეთ ე. მიქელაძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის 75 წლის საიუბილეო კონცერტების სერიალი ოპერის თეატრში (4 კონცერტი), სადაც პირველ დღეს შევასრულეთ ბეთჰოვენის №9 სიმფონია ქალაქ ბონის ფილარმონიულ გუნდთან ერთად, რომელიც მე ჩამოვიყვანე თბილისში და ინტერნაციონალურ მომღერლებთან ერთად, ხოლო მეორე დღეს შევასრულეთ ბრამსის გერმანული რექვიემი, ივივე გუნდთან და ასევე საერთაშორისო სოლისტებთან ერთად. მესამე დღეს კი გ. მალერის და რ.შტრაუსის — თბილისში შეუსრულებელი ქმნილებები, ხოლო დასკვნით კონცერტში: მშველიძის, ღლონტის და მაჭავარიანის ქმნილებები. მეხუთე დღეს კი ჩვენ გავხსენით ოპერის ბაღში ე. მიქელაძის ძეგლი. სწორედ ამიტომ მთხოვეს პირველი სიტყვის წარმოთქმა, მიუხედავად იმისა, რომ იქვე იდგნენ საქართველოს მაშინდელი პრეზიდენტი, ქ. თბილისის მერი, კულტურის მინისტრი, ძეგლის შემქმნელი და კიდევ არა ერთი მოღვაწე. ფაქტიურად, ძეგლი გამახსნევინეს მე, და ამით ორკესტრსაც. არ ვიცი თუ რითი ავხსნა თქვენი გულმავიწყობა: უცოდინრობით, მახსოვრობის დაკარგვით, ფაქტების უგულველყოფით, სრული იგნორირებით, თუ განგებ ქმედებით. ყველა შემთხვევაში ეს ცუდია და პროფესიონალიზმს მოკლებული.

მოვითხოვ, რომ შემდეგ ნომერში გამოასწოროთ აღნიშნული თემა, რაც ჩემთვის პრინციპიალურია და ისტორიისთვის კი აუცილებელი.

იმედს ვიტოვებ, რომ ჩემი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება თქვენი ჟურნალის მიერ.

ვახტანგ მაჭავარიანი
(სტილი დაცულია)

ე.მიქელაძის ძეგლი. ავტორი გ. შხვაცაბაია

რედაქციისაგან:

ჟურნალ „მუსიკის” გასულ ნომერში (№3 2012) გამოქვეყნდა პუბლიკაცია „ფიქრები ევგენი მიქელაძის ძეგლის გარშემო”. ბ-ნმა ვახტანგ მაჭავარიანმა, როგორც ჩანს, მტკივნეულად აღიქვა ის, რომ მისი წვლილი არ იქნა აღნიშნული და რედაქციას მომართა წერილით, რომელსაც ვთავაზობთ ჩვენს მკითხველს.

ვისაც კი აღნიშნული პუბლიკაცია წაუკითხავს, ალბათ, ყველასათვის ნათელია რომ რედაქციის მიზანი არ ყოფილა ძეგლის დადგმის პერიპეტიებში ჩახედვა, ძეგლის დადგმის ინიციატორთა რიგითობის დადგენა და არც ის, თუ ვინ გაჭრა ლენტი. რედაქციის მიზანი იყო გაგვემართა მსჯელობა ამ ლეგენდარული, ტრაგიკული ბედის მქონე შემოქმედის ძეგლის ადგილ-მდებარეობის საკითზე, ვფიქრობთ რა, რომ ევგენი მიქელაძის ძეგლი უპრიანი იქნებოდა უფრო გამოჩინებულ და მისი მასშტაბისათვის შესაბამის ადგილას დადგმულიყო.

ბ-ნ ვახტანგს კი შევახსენებთ იმასაც, რომ ჩვენს მიერ გამოკითხული რესპონდენტები, ყველასათვის კარგად ცნობილი პიროვნებები და არამცთუ „თბილისში მაცხოვრებელნი”, არამედ საპატიო თბილისელები არიან: ძეგლის ავტორი გიორგი შხვაცაბაია, გიგა ლორთქიფანიძე და ნოდარ ანდღულაძე... ვეჭვობთ, საქართველოში ვინმეს ეჭვი ეპარებოდეს მათ კომპეტენციაში და ამ საკითხის ცოდნასა და გულშემატკივრობაში.

Mzia Japaridze

". . . It is the heart that is the first and the most important"

The interview with his Holiness and Beatitude Catholicos Patriarch of All Georgia, Archbishop of Mtskheta-Mtianeti, Metropolitan of Bichvinta (Pitsunda) and Tskhum-Abkhazeti, Ilia II.

Today all Georgia sings the Patriarch's hymns "Holy God", "Ave Maria"; the Georgian people also love the patriarch's other musical-theological works – "Sanctus", Agnus Dei,""Te deum," performed in concert – halls too and having great response. The editorial board of the magazine "Musika" had a chance to visit the Patriarch and to have an interview with him on his musical and composer's activities.

A great number of important events are connected with the name of his Holiness and Beatitude Ilia II; in the first place turning the Georgian nation towards the church after the 70 year-long period of "want of faith" of the Soviet regime; a great number of initiatives are connected with his name: the autocephaly of the holiest church of Georgia was restored, a theological academy was founded in Tbilisi; Gelati theological and scientific academies were restored, many theological schools were opened in different parts of Georgia, by the blessings of his Holiness, churches and monasteries were opened in Georgia, new churches were built, etc.

One can see from the interview that music occupies an important place in the activities of his Holiness and Beatitude Ilia II. There was no more or less musical event in Georgia that the Patriarch did not respond to. A center of restoring the church singing and studying was founded at the Patriarchy with his blessing. At the same time he always assisted the creation of new hymns and their establishing in church.

This year on December 25 of 2012 is the 35th anniversary of the enthronization of his Holiness and Beatitude of All Georgia's Catholicos Patriarch Ilia II, and on January 4, 2013 he will be 80 years old. The editorial board of the magazine "Musika" congratulates the Patriarch on these remarkable jubilee dates and wishes him a long life for the good of our nation.

Annals

Sophio Andguladze

Brothers Karbelashvili

The article is devoted to the brothers Karbelashvili whose merit for the nation and church was discussed at the meeting of the holy synod of Georgia's Orthodox Apostolic Church on December 20, 2011 and they were consecrated saints: Bishop Stephane (Vasili) (1838-1936), archpriests – Polievktos (1855-1936) and Andria (1851-1924), priests – Philimon (1836-1870) and Petre (1860-1924). The Archpriests Andria and priest Petre were called Saint Priest – Martyrs, the archbishop

Stephane, the archpriest Polievktos and priest Philimon were called Saint Confessors. September 6 became the day of their commemorating. This date is the day of the Archpriest Andria's and Priest Petre Karbelashvili's death as martyrs. On September 5-6, 2012 in connection with the commemorating of the Saint brothers Karbelashvilis a presentation of the book-album "Brothers Karbelashvilis", dedicated specially to this day (the author and supervisor of the publication Luarsab Togonidze, the author of the text – Doctor of History Sophio Andguladze) took place.

The main aspects of the brothers' life and activities are reflected in the book against the background of unique historical photo-material.

At the end of the 19th and the beginning of the 20th centuries the brothers Karbelashvili undertook this particularly actual mission of the restoring and the retaining of the Georgian church hymns in the conditions when the Russian Empire carried out its anti-national policy. The brothers took an active part in the work of the Committee of restoring the Georgian hymns. They transferred the hymns to notes, published collections of hymns. One of the brothers, Archpriest Polievktos Karbelashvili's well-known work, "The Historic Review of the Georgian Secular and Ecclesiastic Melodies" is also noteworthy.

Maestro
Revaz Tavadze

Gizi



The author – the pianist and teacher Revaz Tavadze congratulates the prominent Georgian pianist and teacher Tengiz (Gizi) Amirejibi on his 85th jubilee.

The author says that he is known to everybody as Gizi, and this name has turned into an epithet as well.

The best years of G. Amirejibi's activities as a pianist begin from the 70-s of the previous century. At that time his life experience became harmonious with his amazing musicality. The author remarks with regret that recording on audio-tapes was not available in Tbilisi in those days as it was done in the halls of other cities.

Life made Mr. Amirejibi take up the teacher's profession. In this occupation he also revealed a distinguished talent. The ones he brought up became the pride of the Georgian piano-playing. The author considers his aristocratic-democratic form of performing to be his distinguished feature.

Folklore
Manana Kordzaia

A Traditional Symposium

It was the sixth time that a traditional international polyphonic symposium established by the Tbilisi conservatoire and the center of Georgian folk songs, took place in Tbilisi on September 24-28 of this year. The symposium was interesting in many ways. The quantity of participants (33 scholars) in this year's forum and geography – the USA, Canada, Austria, Australia, Albania, China, Japan, Russia, Lithuania, Estonia, the Netherlands, Serbia Portugal, Latvia, France, Spain, Macedonia and Georgia, of course. There were the researchers among the foreign researchers of this year who had visited Georgia in the previous forums as well. The doctor of the University of Sorbonne, Doctor Simha Arom, Georgian musicologists – Nona Lomidze and Nino Tsitsishvili, working abroad at present, etc. were among them. This time the scientific conference was also solidified

by documentary films, reflecting folklore and concerts in which both the folk music of foreign countries and the Georgian melodies, sung by them, sounded. The article reviews this forum in detail and in an interesting manner.

Festival
Nestan Meskhi

Festival Diaries

The article is dedicated to the unique Georgian pianist Eliso Virsaladze and the international musical festival, founded by her (in 1984) in one of the most picturesque towns Telavi – "The Praise of the Vine".

Eliso Virsaladze was brought up by her grandmother Anastasia Virsaladze, one of the founders of the Georgian piano school. It is from here that her refined taste, technique, the feeling of style, balance between intellect and musical sensibleness come from. Eliso not only submits enormous audiences, but also makes people, having different ways of thinking, think like her. Richter wrote about her "She is probably the strongest pianist woman today."

This year a presentation of the book in three languages, dedicated to Eliso, took place at the Telavi Festival. As the author said probably there was no other place in the world where Chopin sounded like this and the drone of the Georgian "Mravalzhamieri" (Wishing a long life) was heard as it was at the final evening of this festival.

From Hight of Last Years
Tsitsino Jervalidze

Something that One Never Forgets (Didim Mirtskhulava – 100)

The author of the article is a faithful reader and

friend of the magazine "Musika", Mrs. Tsitsino Jervalidze, living in the USA at present and who before going there worked at the Tbilisi Opera and Ballet Theatre. Her name is connected with a number of remarkable enterprises: the founding of the museum of the Tbilisi Opera and Ballet Theater, the founding of the newspaper "Lyre" of the same theater and many others.

Mrs. Jervalidze personally knew and knows many famous Georgian musicians.

This time her reminiscences are dedicated to the eminent Georgian conductor, the people's artiste of Georgia, the laureate of the State Prize, the winner of Zakaria Paliashvili Prize, the bearer of the order of Honor Didim Mirtskhulava.

Didim Mirtskhulava worked at the Tbilisi Opera and Ballet Theater for 60 years. During this time he was one of the first, connected with the success of this theater both in Georgia and beyond its borders. This year is a 100th anniversary of Didim Mirtskhulava's birth.

The present article is extremely warm and many-sided reminiscence of this honored Georgian musician.

Resonance
Tsitsino Jervalidze

The Man Who Is Very Fond of the

"Musika"...

The editorial board of the magazine "Musika" was greatly surprised at the response from America. The Georgian emigrant Petre Khvedelidze got in touch with the musical expert Rusudan Kutateladze and shared his impressions with her about the magazine "Musika" which he had obtained with the help of the musicologist Gulbat Toradze and Sophio Jervalidze. Since then this contact has not ceased. A short time ago Mr. Khvedelidze got in touch with our editorial board again. We were greatly pleased with such attention and it also surprised us.

The publication is a response to the magazine "Musika". It was Tsitsino Jervalidze who spoke to Petre Khvedelidze, the oldest Georgian emigrant in America, a great lover and patriot of the Georgian culture and namely of the Georgian music. Petre Khvedelidze entrusted his library and personal archive to Tsitsino Jervalidze.

Portrait
Aleksi Shanidze

The Irony of Fate

The article is dedicated to the well known violinist and teacher Professor Rodam Jandieri who has been doing very interesting and fruitful concert and pedagogical work since 1960. She has become 70 years old this year.

The author reviews the musician's creative life from 1960 when the 1st regional competition of musician-performers of Transcaucasia, playing the piano and bow-instruments, was held in Baku, the capital of the Azerbaijanian Republic where two Georgian violinists – a 17 year-old Rodam Jandieri and an 18 year-old Irine Iashvili won the 1st prize. The musician's characteristic features of life and creative work are presented in an interesting way in the article..

The Date
Gulbat Toradze

Revaz and Ani Takidzes' Benefit Performance



The article is dedicated to the concert of father and daughter – Revaz and Ani Takidzes, held in the Tbilisi Conservatoire on November 9, dedicated to the conductor Revaz Takidze's birthday.

The Georgian conductor Revaz Takidze has been serving opera and ballet and symphony performances for already 40 years faithfully and with equal success. The performance of Victor Dolidze's "Keto and Kote" whose conductor he was, was awarded by Georgia's State Prize in 1992. Since 2000 Mr. Takidze has been a vigorous and authoritative art manager of one of the most important teaching centers of the Conservatoire – the Opera Studio.

As for Mr. Takidze's daughter – pianist Ani Takidze, she has been recognized by the Georgian and foreign musical society for quite a long time and has been the object of their sympathy, especially since she became the laureate of the extremely prestigious S. Richter's competition in 2005.

Features
Maka Virsaladze
"Painted Music and Singing Pictures"

The article is dedicated to one of the gifted

representatives of the Georgian composers' school of the 90-s of the previous century – Eka Chabashvili. Her music is performed in different countries of the world. She actively works in the genres of both the cinema and theater music, apart from that she studies the problems of musical genetics, multi-topophonic composing technique and atomic-nuclear musical system. A number of the composer's published articles are dedicated to these problems; she is fond of painting and literature.

Georgian Musicians Abroad
Rusudan Khojava
"Joyaux Géorgiens"



The author acquaints us with the pianist Tea Dickero-Mariamidze, working in France, who serves music and her homeland Georgia with great care, love, talent and professional devotion.

Tea Dickero-Mariamidze began to do concert and pedagogical work in France; having established the association "Georgian Pearls", she arranges many concerts not only with the participation of Georgian, but also of French musicians: the Georgian music, performed by Tea Mariamidze and "Georgian Pearls" is greatly appreciated. They perform in the baroque center of Versailles, in "Mal Maison", the palace of the empress Josephine, in cultural centers of different countries in Paris, in Alfred Corteau's historic hall, in festival and other halls, etc.

Prémiere
Irakli Tsintsadze's New Work

On October 13 the prémiere of Irakli Tsintsadze's cantata for a mixed chorus, soloists and symphony orchestra was held in the hall of Georgia's National Musical Center, The cantata is written on Nikoloz Baratashvili's verses (the following verses are used: "The Lonely Spirit", "You Wicked Spirit", "My Prayer", and also the hymn of the Iqalto School). The symphony orchestra of the Tbilisi Opera and Ballet Theater, conducted by Janluka Marchiano, the soloists Irine Taboridze (soprano), Irine Aleksidze (mezzo-soprano), Armaz Darashvili (tenor), Gocha Datusani-Jigauri (bas) participated in the concert.

We offer the reader of the magazine "Musika" the impressions of the Georgian musicians musicologists Rusudan Kutateladze, Zurab Oikashvili and composer Ramaz Karukhnishvili of Irakli Tsintsadze's new work

Education
Rusudan Kutateladze
Teacher – Creator

The publication is dedicated to the teacher Nani Sanadze, associated professor of the Tbilisi V. Sarajishvili State Conservatoire and the Z. Paliashvili musical gymnasium (that has restored its former name "The ten-year-long school for the gifted"). She made a name for herself a long time ago. The author reviews one of the concerts of her class and distinguishes the specificities, characterizing her work as a teacher.

A Dialogue with an Artist
Ketevan Bolashvili
Style, Thinking, Conception (A conversation with the composer Ioseb Bardanashvili)

One of the guests of the 2012 festival "Autumn Tbilisi" was composer Ioseb Bardanashvili, working in Israel. He had lived and worked in Georgia till 1995. He achieved recognition both in Georgia and Israel and in many countries of the world long ago.
The author, Ketevan Bolashvili's long conversation with the composer took place in the days of the festival. The interview offers us Ioseb Bardanashvili's answers to the questions which will be interesting for the professional musicians in the first place.

New Publications
Tamar Tsulukidze
Giorgi and Kakha Tsabadzes – Our City Tbilisi

The Article is dedicated to the collection of songs of the prominent Georgian composer Giorgi Tsabadze and his son composer Kakha Tsabadze.



The editorial board: Mikheil Odzeli, Editor-in-Chief; editors: Mmes: Mzia Japaridze and Tamar Tsulukidze;
design: Messrs: Vakhtang Rurua, Vano Kiknadze, Gogi Chepkhodze.
Translated by Ketevan Makalatia.
Address: 123 D. Agmashenebeli str. Tbilisi
Tel:. (+995 32) 295 41 64; (+995 32) 296 75 05
Fax: (+995 32) 96 86 78

CD attached to the magazine, contains a soundtrack only for the first feature. "... It is heart which is the first and the most important" (The interview with his Holiness and Beatitude Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II_ p.2). As the CD format is insufficient for all details: names of works and performers, we offer the complete list of the registered material CD. Here is a complete list of the CD recorded material.

Hymns of the Catholicos-Patriarch of All Georgia Ilia II:

1.Trisagion Hymn; 2. Eis polla; 3. Lord, have mercy; 4. Our Father; 5. Open hastily the gates of repentance (Chant or Hymn of Repentence); 6. Be merry, oh most beautiful (Chant devoted to St. Nino); 7. Sacred is the Lord our God; 8. Come to me, Lord; 9. Kyrie eleison; 10. Anaphora-Eucharistic Canon (I.A mercy of peace; II. And also with your soul; III. We have towards the Lord; IV. Meet and right is it; V. Holy, holy, holy; VI. Amen; VII. We praise Thee); 11. My Entreaty; 12. Come to me, Lord; Kyrie eleison (Live concert recording); 13. Thoughts on the Past and the Future; 14. Kyrie eleison; 15. Sanctus; 16. Agnus Dei; 17. Ave Maria.

Arrangement and Orchestration:

Zviad Bolkvadze (5,7,9, 10, 11, 14, 15, 16); Vakhtang Kakhidze 912, 17); Paata Cecxladze (8).

Performers:

Iano-Tamar (Alibegashvili) (17); Paata Cecxladze (5,8,10,12); Mariam Roinishvili (9,11,14,16); Lado Ataneli (15); Tamar Choxonelidze (11); Anita Rachvelishvili (15); Teona Dvali (15); Irakli Kakhidze (15); Davit Pataridze (16); Svimon Jangulashvili (12);

The Georgian patriarchate's Choir of a Cathedral of a Sv. Trinity, Svimon Jangulashvili, George Donadze (1-11, 12, 14);

Tbilisi Symphony Orchestra Jansug Kakhidze;
Conductor: Vakhtang Kakhidze (12,16,17);

Georgian State Symphony Orchestra Evgeni Mikeladze;
Conductor: Zviad Bolkvadze (11);

Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre _ Symphony Orchestra;
Conductor: Zviad Bolkvadze (12, 14, 15);

Tbilisi Z. Paliashvili Opera and Ballet State Theatre Choir (12, 14,15, 16,17);

V.Sarajishvili Tbilisi State Conservatoire _ student's chorus (12,15);

Children's Folklore ensemble "Mdzlevari" (12)

ᲘᲔᲡᲣᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲥᲠᲘᲡᲢᲔ ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲛᲔᲤᲔ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲛᲝᲜᲐᲠᲥᲘᲐ II